

სახის მომცევა

ივლისი № 18
ფასი 5 ლარი

ეკა ნიჟარაძე
სალომე ზურაბიშვილი
გურამ ლოჩანაშვილი
ელდარ (ლუკა) კურტანიძე
თამარ ნინეა და ირა შარაშიძე
ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

სახ-კროედიგი:
ბოლო ზარი
კანის კინო ფასტივალი





 **Saeco**


BB company

3րմենացան 26

Հեռ.՝ 98 40 24

Թմ.՝ 877 48 40 25

www.lavazza.com





სახურავის ბინალერი
მხატვარი
ავტორი: თაგარ გაგუაძე

32



სპეც-კროექტი:
პოლო ზარი
ფოტო: დავით გესესი

48




83 წელი
საქართველომალი
ავტორი: სანდრო ნავარიანი

66



ივლისი

№ 18



სპეც-კროექტი:
კანის კინოფესივალი
ავტორი: გიორგი გვარალია

102



რედაქტორი შორენა შავერდაშვილი
არტ რედაქტორი ლიზა ასათიანი
აროდისერტი მარიტა ჭანჭალეშვილი
ფოტო დავით მესხი
ლევან ხერხეულიძე
ნიკო ტარიელაშვილი
სტილისტი გაგა ლომიძე
ილუსტრატორი მარა სუმბაძე / გიორგი მარი
დიზაინი დავით თეთრიძე
მიხეილ დგებუაძე
თორმეტე ლიონთქიფანიძე
ვიზაჟი ანუკა მურვანიძე
რეკლამა ნატა ფეოდასევევა
გვანცა გუშარაშვილი

შეხვედრა გურამ დობრანაშვილთან	76
ავტორი: ირა ყრუაშვილი	




„ეპირულბა“, რობორს კომპლექსი	84
ავტორი: სალომ კაკულია	



კათილი ლევანგირი ავტორი: გიგა გურასაშვილი	94
--	----



მაფე საკუთარი სასახლის ნახერევებში	116
ავტორი: გიორგი ლოგუანიძე	



ესპანერი ფოტომომთხრობა	122
ავტორი: დათო ტურაშვილი	



ჩინერი იზავები თარგმანი:	129
გუნდენ ლიუ-ყალერიუმი ანა კორქაია-სამადაშვილი	



ცომარზე მუშაობდეთ:
ანა კორქაია-სამადაშვილი
თამარ ბაბუაძე
სალომე კიკალეიშვილი
გიორგი გვახარია
დათო ტურაშვილი
აკა მორჩილაძე
სანდრო ნავერიანი
სანდრო კაკულია
გიგა გურასაშვილი
ირა ყრუაშვილი

 M-PUBLISHING
გამომცემელი
შპს „ემ ფაბლიშინგი“
მისამართი: თბილისი 0105,
ფალიაშვილის ქ. 108
ტელ./ფაქსი: 23 37 31
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
© "M Publishing" საავტორო უფლებები დაცულია. ურნალში გამოცემული მისალებრივი ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება აკრძალულია.

რეკლამის განთავსება შპს „მსა თბილისი“ მისამართი: ფალიაშვილის ქ. 108 ტელ./ფაქსი: 23 37 31 ელ-ფოსტა: msa@msa.ge	
სტამპა შპს „სეზანი“ მისამართი: თბილისი, ნერეთვის გამზ. 140 ტელ.: 35 70 02 ელ-ფოსტა: lika@cezanne-web.com	

134



134

142



142

რაღომ უსწობი ფახურობი საზოგადო საგადაშეცვლი



ନୀଲାଳ ପରିମଳ
ଜୀବନଶ୍ଵରତୀ
ଆମ୍ବାଦିଗାରୀ-କାନ୍ଦାଳୁଷ୍ଟିଲ୍

დაგაპრინტი
DP
DEGAPRINT



ჭიგნი, უკრნალი, ბროშურა, მოსაწვევი, პლაკატი



...15 წუთში იქნება მზად

დეგაპრინტი
თბილისი, ვირსალაძის 8
ტელ.: 99 50 07, 99 88 43
ფაქსი: 99 56 81

ელ-ფოსტა: degaprint@caucasus.net



EAU FRAÎCHE
VERSACE
MAN

ჩვენი ავტორები



ლათო ტურაშვილი

ზამთრის არდადეგებზე თბილისში რომ ჩამოვედი, ყველანი მოწყენილები, დეპრესიულები და აგრესიულები დამხვდნენ. ახლა, ზაფხულში, სულ სხვანაირია თბილისიც და საქართველოც და ადამიანები გაცილებით მხიარულად გამოიყურებიან, თუნდაც მხოლოდ გარეგნულად, მიუხედავად ყველაფრისა. მღერიან სხვადასხვა ჰიმნს, საყვარელი გუნდების მასიურები აცვიათ და სხვა ქვეყნების დროშებსაც მონდომებით აფრიალებენ. მსოფლიო ჩემპიონატი და ფეხბურთი არაფერ შუაშია, რადგან ამ უცნაურ აღტკინებასა და ეიფორიას, სინამდვილეში საფუძვლად სხვა მიზეზი უდევს და ამ მიზეზის დანახვაც ძნელი არ არის. ჩვენ არ გვაქვს და გვაკლია საკუთარი ფეხბურთი, საკუთარი სიხარული და წარმატება და ამიტომაც იძულებული ვართ, სხვისი ცხოვრებით ვიცხოვროთ, თუნდაც ერთი თვის მანძილზე და სხვისი წარმატებით და სხვისი სიხარულით გავიხაროთ. მართალია საფეხბურთო აუიოტაჟის შესაქმნელად სახელისუფლებო ტელეკომპანიებმა მთავრობისგან პირდაპირი მითითებები მიიღეს (ერთი ჭკვიანი კაცი რომ ჰყავთ, იმის მოგონილს ჰყავს ეს ფა-კლუბები), მაგრამ მგონი არაფერი დაშავდება თუ ამდენი ქართველი ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა), რომელსაც არც სამსახური აქვს და არც სხვა გასართობი, ერთი თვით მაინც დაივიწყებს იმ დამძიმებულ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობთ.

თუმცა, ჩამოსვლისთანავე, აღმფოთებული ინტელიგენტების და ინტელექტუალებისგან ისიც მოვისმინე, რომ რაც ახლა თბილისში მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებით ხდება, უბრალოდ სამარცვინოა. მე კი მინდა რომ საქართველო ისეთი ქვეყანა იყოს, სადაც სიხარული და სიყვარული სამარცხვინო აღარ იქნება და კიდევ კარგი, არც ინტელიგენტი ვარ და არც ინტელექტუალი.

ჯვარიც მწერია...

თამარ ბაბუაძე

ასე მგონია, „ოსეარით“ უნდა დავჯილდოვდე და სამადლობელ ტექსტს ვწერ; არა, იმიტომ არა, რომ სიგიჟე მეტაკა და თავი ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მგონია, არამედ იმიტომ, რომ მართლა ბევრი მადლობა მაქვს გადასახდელი სრულიად „ცხელი შოკოლადისთვის“; დაახლოებით ამ ტიპის მადლობა: „გმადლობთ, რომ არსებობთ!“ და აი, რატომ: იმ პერიოდში, როცა შორენა შავერდაშვილი, საპატიო მისით, დეკრეტში გაემგზავრა — ბიჭი — ლაზარე მოავლინა ქვეყანას და „ოჯახზე“ ზრუნვის პასუხისმგებლობა, სხვებთან ერთად, მეც გადმომაბარა, ყველა „შოკოლადელი“ თავიდან შემიყვარდა, ყველას წერის სტილი თავიდან აღმოვაჩინე და ყველას ამბებით თავიდან ვისიამოვნე:

მწვანე სურაში ჩაფლული ეკა ნიუარაძის ისტორიები ისევე სიამოვნებით იკითხება, როგორც ფოტოების ხილვა ასვენებს თქვენს თვალს.

სალომე ზურაბიშვილის 83-წლიანი მსვლელობაზე საქართველოსკენ ყველაზე კარგად მისი ახლად დასტამბული წიგნი გვიამბობს, მაგრამ სანამ წიგნს მიადგებით, პოლიტიკოსი და დიპლომატი ქალის აპოლიტიკური ცხოვრების შესახებ „ცხელ შოკოლადში“ წაიკითხეთ და ისიც ნახეთ, თუ როგორია ქალბატონი სალომე სამინისტროებისა და კანცელარიის მიღმა.

ამ ნომერში ლევან ხერხეულიძემ მოულოდნელად გაგვაოცა მოჭიდავე ელდარ (ლუკა) კურტანიძის ფოტო-სესიით, რომლითაც დიდხანს „გვემუქრებოდა“ და რომლის შედეგითაც ყველა აღფრთოვანებული დარჩა. ასე რომ, თქვენს წინაშეა მოაზროვნე და კეთილი „დევგმირი“, რომელიც, არნახულად თამამი ფოტოებით საკუთარ თავზე გულწრფელად საუბრობს.

კიდევ ერთი ფოტო-პროექტი, რომელიც განსაკუთრებულად დაატკბობს თქვენს თვალს — დათო მესხისა და სანდრო ნაერიანის „ბოლო ზარი“. სანამ სანდრო თავისი სკოლის პერიოდს მისტირის და გაფრენილ დროს ბავშვებთან ურთიერთობით ინაზღაურებს, დათო მესხი მათ ყველას ერთად აკვირდება და ისეთი განწყობის მქონე ფოტოებს იღებს, რომ თქვენც აუცილებლად გაგახსენდებათ სკოლის დამთავრების დღე და თან ისე ცხადად, რომ ვინ იცის, იქნებ საიდანმე ბოლო ზარის წკარუნიც გაიგოთ. მოკლედ, თავად ნახეთ.

განწყობა — „მადლობა, რომ არსებობთ!“ — ისე მომეძალა, რომ ველარ ვჩურნები, თან უურნალში კიდევ უამრავი საინტერესო რამ დარჩა წასაკითხი: გურამ დოჩანაშვილი და მისი მოგონებების კალეიდოსკოპი, თეატრის სცენაზე განვითარებული სიყვარულის ისტორია, ამბები ცირკის არენიდან, და, რაღა თქმა უნდა, გოგი გვახარია, რომელიც ცრემლიანი სათვალიდან დანახული წარსულის გარდა, კანშიც გვამოგზაურებს და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალის დღიურს ყველაზე პიკანტური ნიუანსებით აღადგენს.


ასე რომ, სწრაფად მონახეთ სარჩევში საწყისი წერტილი და ჩაუჯეეით.



SILK WAY
TED LAPIDUS
PARIS



ჩვენი ავტორები



სახლიო კაკულია

ბავშვობა არც ისე ახლოს იყო, როგორც ჩემს ირგვლივ მყოფთ ჰქონიათ. ამიტომაც ჩემი საცირკო გატაცება შორეულ წარსულს უკავშირდება და აქაურ ანმყოში მისი გახსენება, სინამდვილეში, იქაური ანმყოს დაბრუნებაა, რომელიც ჩვენს დროში წარსულია. ამაზე იქით გვერდებზე ისე-დაც ბევრი წერია. სვეტის წერისას, თავისუფლების “უფლება” საკმაოდ ადვილად მოვიპოვე და... ბოდიშს გიხდით, მაგრამ თუ ვერ გაიგებთ, თავისუფალი ფიქრის უფლება ამ წუთიდან თქვენი! – თქვენი დაჯერებებისა, რომ ცვეტაევებზე და რილკეებზე არაფერი მსმენია; რომ ჩემს თავზე წარმოდგენები მცდარია და თქვენი წარმოდგენები კი – უსაშველოდ წამხდარი; რომ ჩემს ირგვლივ ათასობით ადამიანი ირევა, და შეფასებები, შესაბამისად, ათასნაირია. თქვენ იშვიათად შეგეცვლებათ აზრები, რის გამოც გაგიჩნდებათ დიდი ბზარები....

თქვენ კი იფიქრებთ, რომ ჩემი წარმოდგენები თქვენს მიმართ საპასუხო იქნება, სინამდვილეში კი ასე არასდროს მოხდება. სანამ არ გავა დრო, მანამდე ვერაფერს მიხვდებით, და როცა მიხვდებით, საკმარისზე მეტი დრო იქნება გასული. azer-airlines-ის თვითმფრინავში მოსმენილი გამცილებლის ხმა ისევ უცნაურად მოგეჩვენებათ:

“ზასტეგნიტე რემნი”, “ჩერეზ წესკოლებო მინუტ ნაშ სამალიოტ პრიზემლიტსა ვ აერაპარტუ Charles de Gaulle” – სადაც პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში, ალმოდოვარის ფილმს თავისუფლებასმოწურებული თვალებით შეხედავთ და სახლში დაბრუნებულს, ასეთი კინოს გმირობა მოგინდებათ.

თუ დღეს ვიღაცისთვის გადაწყვეტილების მიღება რთულია, მაშინ ხეალაც ასე იქნება, და “ხვალ” კი, მოგეხსენებათ, რომ მომავლის სიტყვაა...

გამოყენებული ფრაზების გამო, ჩემს სიტყვებს ყველანი საკუთარ თავზე, თქვენივე თავზე უფრო თავისუფლად მიიღებთ. არ იქნება მართალი. ნუ იზამთ ამას. ცირკში სექტემბრამდე ისედაც ვერ წახვალთ!

ანა კორძაია-სამადაშვილი

თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ამ ცხელ ღამეებში დაძინება დიდი პრობლემაა, და გაავებულმა ძველისძველი, დავინწყებული მეგობარი, “მაჟაბჰარატა” გავიხსენე. უზარმაზარია, მთელი ზაფხული რომ არ დავიძინო, მაიც მეყოფა.

იქ, მრავალ სხვა საოცარ ამბავთან ერთად, ისიცაა მოყოლილი, რომ ყმანვილქალობის უამს, დედოფალ კუნტის ერთმა დიდმა ბრაჟმაზმა დიდი წყალობა უბოძა: შელოცვა, რომლის მეშვეობითაც კუნტის ნებისმიერი ღმერთისგან შეეძლო შვილის გაჩენა. მისი შვილები მზის, წყლის, ჭექა-ქუხილის ვაჟები იყვნენ - რა მაგარია!...

...გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, ქალაქიდან ფეხი არ გამიდგამს - ეს რა მომიღიდა! და ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ზამთარმაც და გაზაფხულმაც უჩემოდ ჩაიარა. ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ ზაფხულიც უჩემოდ გადის და ძალიან ვპრაზობ.

ერთადერთი, რითაც თავს ვიმშვიდებ, ისაა, რომ ჩემი ადუდებულ დედაქალაქში ჯდომა ოდნავ მაინცაა გამართლებული. წახეთ, როგორი კარგი ქალებისა და კაცების ამბებს გიყვებით! თან ისეთ ამბებს! აი, მაგალითად, ეკატერინე ნიუარაძე. თუ წაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ მხოლოდ ლამაზი ქალი და მსახიობი კი არაა, არამედ... მოკლედ, წაიკითხეთ, და იმასაც მიხვდებით, რამ გამახსენა დედოფალი კუნტი.

LANCASTER



FEEL FREE,
WE OWN THE SUN.

ლანკასტერის საშუალებები მზის აჩაზანისათვის

ოქროსფერი ნამზეურის მეცნიერება

ლანკასტერის მიერ დაპატენტებული **RPF**
(რადიკალებისაგან დაცვის ფაქტორი) **ტექნოლოგია**;
სრულყოფილი დაცვა კანის ნააღრევი დაბერებისაგან
– ანეიტრალებს თავისუფალი რადიკალების 80%-ზე მეტს;
კომბინირებული საუკეთესო **UVA/UVB ფილტრებთან**;
ლანკასტერი უზრუნველყოფს თქვენი კანის სწრაფ და ხანგძლივ დაცვას
ოქროსფერი, ზღაპრული ნამზეურის მიღების სიამოვნებასთან ერთად.



LANCASTER
MONACO



**„ქალაქურის“ შესახებ
„ქალაქური“.
19 მაისი. 15:00**

მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რამდენად მართებულია ამ ღონისძიების შესახებ დანერა მაშინ, როცა უურნალის გვერდს თავზე დიდად აწერია რუბრიკის სახელწოდება ART-ით...

მაგრამ თუ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ყველაფერი ART-ია: ცუდი და კარგი გამოფენა, უგემოვნო და გემოვნებიანი საღამოები თუ სახურავზე გამართული გაურკვეველი აქციები, მაშინ თავისუფლად შემიძლია გავაგრძელო და ერთ შეხვედრაზე გიამბოთ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ გაუხსნელ რესტორანში „ქალაქური“ გაიმართა.

GMC ჯგუფის რესტორნების ქსელს ნამდვილად არ ჩამოვთვლი, გეცოდინებათ. ერთს გეტჰუით, რომ „ქალაქური“ მათი ახალი რესტორანია, სადაც გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, გურმანთა საბჭოსთან და მოწვეულ უურნალისტებთან ერთად, „ნადიმობა ქალაქურში“ გაიმართა. ჩვენგან განსხვავებით, გურმანთა საბჭოს შენიშვნების და რჩევების მიცემა ევალებოდათ, ჩვენ კი... პირადად მე და ჩემთა ფოტოს კაცმა, უგემოელეს ევროპულ კერძებს და – სომელიეს დახმარებით – საუკეთესო ღინობებასაც გავუსინჯვერთ გემო; წესისამებრ, გემრიელად ვანჯღლრიეთ სასმისში ცივი, თეთრი ლვინო და ნაზად ვჭრიდით თეფშზე განლაგებულ – არა, ამას სხვა სიტყვა არ უხდება – საკვებს! მუქი ხის ინტერიერი, ძველებური, გაჩახახებული ბრები, ვიღონის ნაზი ჰანგები და... მოკლედ, თავი „ტიტანიკში“ მეგონა... ოღონდ მადლობა ღმერთს, ხმელეთზე!

**ATELIE TEN' A
მშენებარე სახლი მელიქიშვილის 10-ში.
8 ივნისი. 21:00**

იქიდან გამოსულს, ქუჩაში, თვალებგაფართოებული ახლობლები შემხვდნენ... – ისაააა, და ხომ არ იცი რა ხდება? შენც იქ იყავიო??? მე, რა თქმა უნდა, წესიერი ადამიანივით, კითხვას ამომზურავი პასუხი გავეცი და მათი ცნობისმოყვარეობა მთლიანად თუ არა, ნაწილი ბრივი მაინც დავაკმაყოფილე. ახლა კი, რადგან ამ ფრაზამდე მოხვედით, ჯერ არ გადაგიფურცლავთ და ე.ი., თქვენც დაინტერესდით სალომეს ახლობლების გაკვირვების მიზეზით, აქ დარჩით, არ დავიზარებ და აუცილებლად მოგიყვებით ყველაფერს.

ისტორია საღამოს 9 საათზე დაიწყო, როცა უკვე საკმაოდ ბნელობდა და ასფალტში გამჯადარი +40 გრადუსი, სიბრძეშიც გინუხებდა გულს. როცა მშენებარე სახლთან, ჩაბნელებულ გამზირზე უაზროვ ჩახერგილი მანქანები იდგა და ტროტუარზე ანთებული სიგარეტებით მოსეირნე 9-10 სანტიმეტრიან ქუსლებზე „შემდგარი“ ქალბატონები შეინიშნებოდნენ...

ამ ყველაფერის მიზეზი დიზაინერების – თეონა თავართქილაძის და იკა ბობოხიძის ახალი სახელოსნოს Atelie ten'a-ს პრეზენტაცია იყო. პრეზენტაცია, რომელიც ერთდროულად, მშენებარე სახლის ორ სართულზე მიმდინარეობდა, საინვესტიციო კომპანია Award-მა დააფინანსა. ეს იყო „სახლი სახლში“, რადგან ერთი მხრივ, იმართებოდა Award-ის მშენებარე სახლში, და მეორე მხრივ, ჩვენებისთვის შექმნილი სივრცე, დეტალებით – ხის იატაკითა და შუშებიანი ჭალით — მაქსიმალურად მიმსგავსებული იყო სახლის ინტერიერს.

ქალის სამოსის ზაფხულის კოლექცია დიზაინერებმა ნიკა მაჩაიძის მუსიკის ფონზე წარმოადგინეს. იქნებოდა ეს საქმიანი ქალის იმიჯი – გრძელი, თავისუფალი შარვლებით და მოკლე პიჯაკებით თუ ლალი, გრძელი კაბები და მუხლამდე სიგრძის სარაფნები – ყველაფერი საოცარი ქალურობით, სექსუალურობით და სისადავით გამოირჩეოდა. მინიმალისტური შტრიხებით შექმნილ სამოსში – ყავისფერი, ოქროსფერი, კრემისფერი, მწვანე, თეთრი, ცისფერი და სტაფილოსფერი ფერები დომინირებდა. თითქმის ყველა მოდელი მსუბუქი მაქმანებით და რუშებით იყო გაწყობილი, მაღალი ქუსლები და მაღალ წელზე ანეული ოქროსფერი ქამრები კი, კოლექციის ქალურობას და სინაზეს უსვამდა ხაზს.

გულახდილად გეტყვით, Atelie ten'a-ს კოლექცია იმდენად სასაიმოვნო, ქალური და მიზიდველი იყო, რომ... დატვირთული სამუშაო დღის მიუხედავად, პრეზენტაციიდან სახლში, ქალაქის სხვადასხვა კუთხეში დაბრუნებულ ორ „შოკოლადელს“ – სალომე კიკალეიშვილს და თამარ ბაბუაძეს, შუალამით, ექსპრომტად გვიბაკუნია ოთახში, კარადიდან ამოქექილ კაბებსა და მაღალუსლიან ფეხსაცმელებში...

P.S. ესეც ასეე, ვინ თქვა განწყობა გადამდები არ არისო?!

Méthode
Jeanne Piaubert
PARIS

მხოლოდ 8 დღეში



2 სახის ექსკლუზიური კრემი
+

აქტიური ინგრედიენტებით
გაჯერებული ქსოვილის ტრესი
=

თებოების გარშემოწერილობის
3-ს მ-ით შემცირებას

EXPRESS LIM

8 დღეში თქვენ ამარცხებთ
ცელულიტს!



ადგილობრივი და სასალის მოსამართის გადახდა:

ცელულიტი კრემი - 71%-ით, "ფრანგიულის კანი" სანიტეტება - 77%-ით,

არასამუშავებული კრემი თებოების გარშემოწერილობის მიზნით - 61%-ით, კანი უფრო გაუყიდველი - 75%-ით, კანი იდეალური სატექნიკო მიზნით - 78%-ით და კანი მ კრემი - 74%-ით.

შედეგი ძალისმინიჭებული ნარჩენების ან ტერპულული ტექნიკის სამუშალების

მიზნით კრემის შემცირებული შემცირება!

(1) ტესტი ჩატარდა 72 ქალისა და 8 ფრენის უფრო სილუეტის იქნებოდა იქნებოდა გადახდის მიზნით 1,72 მ-ით შემცირება.

(2) 8 დღეში დაძირებულებული შედეგი დაზღვრულ ამ თებოების მიზნით გადა მონაბეჭდი.

Beauty has its Method.



ეს ფოტო გამოფენა? მმ, არა!

„თი-ბი-სი“ ბანკის საკონფერენციო დარბაზი.
9 ივნისი. 18:00

- დანა?
- არა!
- რამე მჩხვლეტავი?
- მმ, არა!

ხომ იცით, რომ „თი-ბი-სი“ ბანკის საკონფერენციო დარბაზში სტუმრობა ყოველთვის ასე იწყება? მე და ჩემი ნივთები ყოველთვის ვწრუპუნებთ და მომაბეჭრებელი კითხვებიც იწყებაა... მაგრამ რას იზამ, ეს წესი! წესი კი იმისთვისაა, რომ... დაარღვიო? ჰო, ზოგჯერ, ალბათ! მაგრამ არა „თი-ბი-სი“ ბანკის შესასვლელში, თან დაცვასთან! რისთვის გინდა, თორებ ჰო... ხომ ხედავთ, რაღაც სისულელებს ვბუტბუტებს ჩემთვის, არ ვიცი, რას ვწერ და მით უმეტეს, რა უნდა დავწერო! რატომ? იმიტომ, რომ ყველაზე ცუდი უინტერესო ღონისძიებებზე სიარული, ცუდი ნამუშევრების თვალიერება და მერე მასზე დაწერაა, რასაც ვერც ამჯერად, იყნისი კულტ-ცხოვრების მიმოხილვისას ავცდი.

ბრიტანეთის საბჭომ, „ბრიტიშ ბეტროლიუმთან“ და ქართულ-ინგლისური კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად, სოფი სითველის ფოტოგამოფენა მოაწყო. გამოფენა კომპოზიტორების – გოგა შავერზაშვილისა და მაიქ მოურის კონცერტით დასრულდა. კონცერტზე ვერაფერს გეტყვით, აღარ დავრჩენილვარ (უფრო სწორად, გამოფენის მერე, ამის არანაირი სურვილი აღარ გამჩენია). მაგრამ ფოტოგამოფენას (რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმართება, – ეტყობა კარგად გამოგვდის საქმე (?!!)) ნამდვილად ვერ გამოვტოვებდი და სიამოვნებით წავცუნულდი.

სოფი საქართველოში 1989 წელს ჩამოსულა, ქართველი ხალხი შეყვარებია და მათთვის პორტრეტების გადაღებაც გადაუწყვეტია. ბევრი უმოგზაურია ახალციხეში, რაჭაში, სვანეთში... ქართველები ამაყი ხალხია, მათ იშვიათად აქვთ ფოტოებამერის შიში და მუდამ მზად არიან, საკუთარი ცხოვრების გამოცდილება გაგიზიარონო, – უთქვამს სოფის. ისინი კი მზად არინ, მაგრამ... სითველის ფოტოები სიტყვა „ჩხაკ“-ს ნამდვილად არ ცდებოდა და არაფრისმომცემად, თითქოს რაღაცის ფონად ეკიდნენ დარბაზის კედლებზე.

ISFCA

პრეზენტაცია ბიზნეს-ცენტრში „მეტები“. 10 ივნისი. 20:00

ISFCA სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ კინემატოგრაფისტთა ასოციაციაა, რომელიც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელდება და რომლის მიზანიც ამიერკავკასიის ამ ქვეწნებში კინოსაზოგადოებების დახმარება და კინოს კულტურულად და ეკონომიკურად ძლიერ, დამოუკიდებელ სექტორად ჩამოყალიბებაა. ასოციაცია შევიცარის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, SDC-ის დაფინანსებით შეიქმნა და კონსულტაციას შევიცარის კინოსა და აუდიოვიზუალური მედიის პროფესიული სანავლების ფონდი FOCAL უნდეს.

მთავარი ის არის, რომ 2006-07 წლის პროგრამის გათვალისწინებით და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ISFCA არაერთ საინტერესო ტრეინინგს გამართავს ყველასთვის, ვინც კინოს სფეროში მოღვაწეობს ან ვისაც რეჟისორული, სასცენარო თუ საპროდიუსერო კვალიფიკაციის ამაღლება სურს.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის, თაკო ტატიშვილის განცხადებით, ივლისის პირველ კვირას, თბილისში მსოფლიოში აღიარებული კინოგაყიდვების აგენტი – კრისტა სარედი ორდინაციას ტრეინინგს გამართავს. კრისტა სარედი ისეთ ცნობილ რეჟისორებთან მუშაობდა, როგორებიცაა: ჯიმ ჯარმუში, აკი კაურისმაკი, ლარს ფონ ტრიერი...

საკვალიფიკაციო ტრეინინგს უხელმძღვანელებენ დღესდღეობით საფრანგეთში მოღვაწე, „ოსკარის“ მფლობელი პროდიუსერი სედომირ კოლარი და ევროკავშირის პროდიუსერების ტრეინინგის პროგრამის, EAVE-ს ერთ-ერთი დამტუდნებელი, კანის კინოკადემიის, BAFTA-ს და სან სებასტიანის ფესტივალის არაერთი ჯილდოს მფლობელი ბრიტანელი სცენარისტი კლერ დონსი.

P.S. ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში სემინარები საერთაშორისო კინოფესტივალების პერიოდს დაემთხვევა. ასე რომ, თბილისში საინტერესო შეხვედრები „პრომეთეს“ დროს, შემოდგომაზე გაიმართება.

BVLGARI

BULGARI AQVA POUR HOMME-ის თავბრუდამხვევი წარმატება

მამაკაცის საუკეთესო სუნამო, საუკეთესო შეფუთვა და ინფორმაციის საუკეთესო გავრცელება – ეს ის ნომინაციებია, რომლებშიც BULGARI AQVA POUR HOMME-ი del Profumo-ს აკადემიამ გამარჯვებულად აღიარა! ეს ექსტრაორდინალური ჯილდო მეორეა ბრენდისთვის. პირველი მას ერგო სუნამოსთვის – BLV POUR HOMME-ი, რომელმაც 2001 წლის საუკეთესო სუნამოს ტიტული დაიმსახურა და ასევე გაიმარჯვა ნომინაციებში - საუკეთესო შეფუთვა და ინფორმაციის საუკეთესო გავრცელება.

წლევანდელი დაჯილდოვება, რომელიც სუნამოების ინდუსტრიის ცნობილი იტალიური ასოციაციის Unipro-ის მიერ იყო ორგანიზებული, 8 აპრილს იტალიის ქალაქ ბოლონიაში შედგა. დაჯილდოვების საღამო ემოციური იყო, ამაღლებელი, როგორც თავად იტალია...

მეტად პრესტიჟული კონკურსის შედეგებს წლის 14 საუკეთესო სუნამო ელოდა. ფინალისტი არომატების ჩამონათვალი მართლაც შთამბეჭდავია: **Emanuel Ungaro Apparition Homme, Paco Rabanne BlackXS, Serge Lutens Cedre, Dior Homme, Donna Karan DKNY Be Delicious Man, Emporio Armani City Glam for Him, Jean Paul Gaultier Gaultier² Gaultier to the power of two, Moschino Friends Man, Calvin Klein Obsession Night for Man, Ralph Lauren Polo Black, Davidoff Silver Shadow, Tommy Hilfiger True Star Man, Hermes Un Jardin sur le Nil, and Ermenegildo Zegna ZZegna.**

გამარჯვებული არომატი – BULGARI AQVA POUR HOMME-ი თავბრუდამხვევ წარმატებასა და აპლოდისმენტებს იფერებს... მსოფლიო პარფიუმერულ ბაზარზე მას ყველა ეთაყვანება!





ანტონ ბალახჩივაძე „ჰობი“-ში

გალერეა „ჰობი“.

3 ოქტომბერი. 17:00

მისი ტილოები პირველად, ოთხი წლის წინ, „ქარვასლას“ საგამოფენო დარბაზის კედლებზე ვნახე და დამიჯერეთ, მას მერე სულ მენატრებოდა. მენატრებოდა ის სინაფელე, გულუბრყვილბა, სისადავე და სიკეთე, რასაც ანტონ ბალახჩივაძის თითოეული წამუშვევარი ასხივებდა.

მისი ცხოველები თუ ადამიანები ხომ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ისინი ზოგჯერ ერთნაირი ფორმის, სქესის და ფერისაც კი არიან... თუმცა გასაკვირი არც ესაა – ყველა ხომ ერთი ზღაპრის, მითის თუ შესაშურად ლამაზი სამყაროს გმირები არიან; გმირები, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან სიყვარული, ნატვრა, სევდა და სიკეთე... მასთან ხომ ცილოპის ცალთვალა ძალილიც კეთილია; მურმანსაც გაოგნებული სახით უჭირავს ხელში ეკალი და ალბათ იმასაც ფიქრობს – ეჲ, ნეტა გამაგებინა, ამას აქ რა ჯანდაბა უნდაო; სურვილი და ჩრდილი გვერდიგვერდ სხედან და სანამ საყვარელი თინა საკუთარ მელანქოლიურ გამომეტყველებას უყურებს სარკეში, ტილოზე „შეჰერეზადა“ დიდი ტრაგედია ტრიალდება...

ანტონ ბალახჩივაძე ბავშვობიდნ ხატავს, გამოფენებშიც მონაწილეობს და კონკურსებშიც. დიდი ხნის წინ, გერმანული საბავშვო ბალისა და ფსიქიატრიული კლინიკის „არტ თერაპიის“ დეპარტამენტის კედლები მოხატა; იძსენის დრამისთვის „როდესაც ჩვენ მკვდრები ვიღებიძებთ“ და მოცარტის მუსიკალურ-თეატრალური დადგმისთვის „ჯადოსნური ფლეიტა“ დეკორაციები გააკეთა; სულ ცოტა ხნის წინ კი, მეგობრებთან ერთად, Georgian Art Group-ი დააფუძნა და კაფე-გალერეა „ტაპირი“ გახსნა.

დღეს? დღეს თავის სახელოსნოში ზის, სადაც, ალბათ ბევრი ფუნჯი, საღებავი და ტილო დევს. „ალბათ“ რატომ? იმიტომ, რომ ანტონს კარგად არ ვიცნობ; პოდა, ამიტომაც მის შესახებ დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით... მაგრამ ესეც არა უშავს იმიტომ, რომ როცა „ცხელი შოკოლადის“ მომდევნო ნომერს იყიდით და გადაფურცლავთ, იქ აუცილებლად აღმოჩენთ „შოკოლადურ“ ამბავს ანტონზე, რაც იმას ნიშავს, რომ მე უკვე ანტონიც გაცნობილი მეყოლება, სახელოსნოშიც ნამყოფი ვიქენები და მის შესახებ დაწვრილებით თუ არა, „ალბათ“ მაინც მეცოდინება რაღაცეები.



ყველას, ვისაც წიგნი უყვარს

დიდუბის საგამოფენო პავილიონი

25 მაისს, დიდუბში, საგამოფენო ცენტრის მეთერთმეტე პავილიონში, თბილისის მერვე საერთაშორისო წიგნის ბაზრობა გაიხსნა.

ვინაიდან ისევე, როგორც პოლიტიკასა და ფეხბურთთან დაკავშირებით, წიგნის შესახებაც საქართველოს ყველა მოქალაქეს თავისი საკუთარი, ერთადერთი და განუმეორებელი აზრი აქვს, წლევანდელ ბაზრობასაც მისი სტუმრები სხვადასხვაგარად აფასებდნენ, მაგრამ ერთ საკითხთან მიმართებაში ყველა ერთსულოვანი იყო: წიგნის ბაზრობის რამდენიმე დღე იყო ნამდვილი ზეიმი!

გამომცემლებს და წიგნით მოვაჭრებს, ცხადია, ხეირი, მაგრამ არანაკლებად გაიხსარეს მათაც, ვისაც – სულ უბრალოდ – წიგნი უყვართ. აქ ყველანაირი წიგნი იყო წარმოდგენილი, ჩამოთვლით თავს არ შეგანყენო, და თუ მთლად წყალნალებული ცინიკოსი არ იყო, ნებისმიერი მნახველი თუ მყიდველი გეტყოდათ, რომ ცხოვრებით ფრიად კმაყოფილია.

ბაზრობაზე ჩვენც ვიყავით, „ცხელი შოკოლადი“. მოკრძალებით აღვნიშნავ, რომ ძალიან ლამაზი სტენდი გვქონდა, და თავმდაბლად მოგახსენებთ, რომ ყველას მოვწონდით. ნამდვილად ვიცით, რომ ეს შენი დამსახურებაა, მეოთხველო, და დიდ მაღლობას გიხდით, მეტი რა გვეთქმის?!...



თავისეფლება
თავისეფლება არ არის მოგვარული. არ არის მოგვარული არ არის მოგვარული ...
ხადის სახით არ არის მოგვარული. არ არის მოგვარული არ არის მოგვარული ...
სასამართლო არ არის მოგვარული. არ არის მოგვარული არ არის მოგვარული ...
... არ არის მოგვარული არ არის მოგვარული არ არის მოგვარული ...

მაგტი
MAGTI



... პავილი თავისი სამყაროსთან



იქა, რომორსაც

ავტორი: ანა კორპაია-სამალაშვილი
ფოტო: ლავით მასები
სტილისტი: გიორგი ნალირაძე
ვიზუალი: ანუკა მურვანიძე

მალეორას ვახელით

Atebie ten'a



ԱՐ

ՈՅԵՐՆԱԾ





— ერთი მიამხე, ბეჭზე რა განერია? — ვკითხე ეკატერინე ნიუარაძეს.

— უხერხული სათქმელიც კია. ღორი. წლით ღორი ვარ. როცა ოსტატმა მითხრა, იეროგლიფი აირჩიეო, ეს მომენტი, სადაა და ლამაზი, თან ღორი ყოფილა. ოსტატმა მითხრა, ძალიან გეტკინება, ბეჭზე სვირინგი ძალიან მტკივნეულია, დიდი კაცებიც კი კივიან ხოლმეო. მაგრამ მე ტკივილს მშვიდად ვიტან, თან მაგისტვის სად მეცხელა: მეგობრის ბინაში მიკეთებდა სვირინგს, ჩემი უმცროსი შვილი ბინაში იქით-აქეთ დარბოდა, უფროსებისთვის დროზე უნდა მიმეკითხა... თან ბეჭზე მირჩევნია, სულ რომ არ ვხელავ, არ მომბეზრდება.

...

დოქტორ ფროიდის კვალდაკვალ მოაზროვნეთა მიმართ არც მანამდე მქონია ღრმა სიმპათიები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკატერინე ნიუარაძესთან ხანგრძლივი საუბრის დროს მისი აკვიატებული სიზმრის ამბავი მოვისმინე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ძალიან ჭკვიანი გოგო ვარ: სიზმარი იმიტომაა სიზმარი, რომ ტყუილია, და არაფერი აქვს ნამდვილ, ფერად, შესანიშნავ ცხოვრებასთან საერთო.

“მთელი ბავშვობა მესიზმრებოდა ერთი და იგივე, რომ ყველა ჩემიანი – მშობლები, ბებიები, ბაბუები, ძმა, ნათესავები, – რაღაც კლდოვან მიდამოებში დადიოდნენ, მომთაბარე ტომებივით, ჯგუფ-ჯგუფად, და მეც მინდოდა მათთან ყოფნა, მაგრამ არ მელაპრაებოდნენ. ახლოსაც არ მიშვებდნენ. თავიდან ძალიან გაზიცდიდი, უტიროდი ხოლმე, მერე კი შევეჩვიე ამ სიზმარს, და მერე გაფერმკრთალდა და გაქრა. ალაგ-ალაგლა მახსოვს, კინოკადრებივით...”

გაიხარეთ ხომ, ფსიქოლოგებო და ფსიქოთერაპევტებო? სულ ტყუილად! ხოჯანასრედინისა არ იყოს, სიზმრებისა არაფერი გამეგება, მაგრამ, როგორც ჩანს, გოგოებში თქვენზე უკეთ ვერკვევი.



ნახალოვკაში, 113-ე სკოლაში, ფიზულტურის მასწავლებელი ქალბატონი მაკო ახვლედიანი იყო, ელე-ნე ახვლედიანის და. სიგარეტიანი ქალბატონი, რომელიც მონაფეებს ძალიან შთამბეჭდავი შეძახილით ამხნევებდა: პრინკ! მესამე კლასამდე მისი მოსწავლე იყო ჩვენი გმი-რი, ეკატერინე ნიჟარაძე.

ქალბატონი მაკო ხშირად მართავდა ხოლმე სასკოლო წარმოდგენებს და კონცერტებს, და პირველი იყო, ვინც აღმოაჩინა, რომ პატარა ნიჟარაძის ქალს არცთუ სახუ-მარო მონაცემები ჰქონდა, მისგან აშკარად დადგებო-და კარგი მოცეკვავე. ეს ამბავი ერთ-ერთი კონცერტის დროს ეკას ბებიამაც შენიშნა, რომელიც ახალგაზრდობა-ში თავადაც სტუდიაში დაღიოდა და ცეკვავდა. მან შვი-ლიშვილს ხელი ჩაჰკიდა – სიტყვის სრული მნიშვნელო-ბით, ყოველგვარი წინასწარი რევერანსების გარეშე – და იმხანად პლასანოვზე, ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მილაძლა.

მისალები გამოცდა ეკამ წარმატებით ჩააბარა, მაგრამ მერე, სასწავლო წლის დაწყებამდე, მარცხი მოუვიდა: ან-

„ახლაც გახსოვს, ლოგინილან როგორ მარცდა თავი გადოკილებული, თმა ძირს დამთრევდა, და ლელა მხრისავდა. ვეკითხაბი ხოლო, გული არ გარცდა, ეს როგორ მიქნაო, და ის მპასუხობს, აბა, რა მექნაო?“

გინა შეეყარა და ავად გახდა. იწვა ლოგინში, სიცხიანი, გარედან მოთამაშე ბავშვების ძახილი ესმოდა – დამერწ-მუნებით, ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა. მერე კი, რაღაც, თავი მოეფხანა, და ზარდაცემულმა დედამ გრძელ, საამა-ყო თმაში ტილები უპოვა.

“ახლაც მახსოვს”, – ჰყვება ეკა, – “ლოგინიდან როგორ მქონდა თავი გადმოკიდებული, თმა ძირს დამთრევდა, და დედა მხოტრავდა. ვეკითხები ხოლმე, გული არ გქონდა, ეს როგორ მიქნი, და ის მპასუხობს, აბა, რა მექნაო?” მართლაც, რა ექნა? და ამიტომაა, რომ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გადაღებულ ფოტოსურათებზე ვერ მიხ-ვდებით, ის ბავშვი გოგოა, ბიჭია... არ გამოუვიდა ყველა პატარა ბალერინას საოცნებო ვარცხნილობა...

მაგრამ ეგ არაა სადარდელი. მთავარია, რომ კარგად ცეკვავდა და საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ კარგი მუსიკოსიც დადგებოდა – მოსდგამდა. მის გარშემო სულ მუსიკოსები იყვნენ, თან კარგები.

„ ეკას მამის, ალექსანდრეს მამა სამხედრო ექიმი იყო, ძალიან სერიოზული. ემილ კიოს პირადი ექიმიც ბრძანდე-ბოდა, და შესაბამისად, ცირკის სეზონის დაწყებისთანავე,



მააა გვერდით მოისვამდა ხოლმა, გულშემატკიცრები
მზეს უმზირას იფურთხებოდნენ, ალმოდებულ
გაზეთებს აფრიალებდნენ და იგივებოდნენ, ეკას კი
თავისი, განსაკუთრებული მისია ჰერდი: „მიღი!“ –
დაიძახდა მააა, და ეკაც ყურისწავლებად უსტვედა.



მის შვილს წითელ არენასთან საუკეთესო ადგილი ჰქონდა გამოყოფილი. ბაბუა თავად როკოსოვსკის მკურნალი ყოფილა და მისგან იარაღიც ჰქონდა საჩქერად მიღებული, სამახსოვრო წარწერით. ერთია, ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, კანონმორჩილმა და წესიერმა მამამ გადაწყვიტა, რომ იარაღი უნდა ჩაეპარებინა, და ალბათ ამჟამად ის ვინმეს კერძო კოლექციას ამშვენებს. აფსუსია, მაგრამ ეგ არაფერი.

თავად ბაბუა, მუდამ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, კარაკულის ბოხოხოთ, ჯიბით პატარა წამლის ბოთლს დაატარებდა. ბოთლში ლეგენდარული “ტროინი ოდეკოლონი” ესხა. სუფრასთან დასხდომამდე — მერე რა, რომ ბავშვმა ხელები უკვე დაიბანა?! — ის ოდეკოლონში დასველებული ბამბით გულმოდგინედ უნდენდდა ეკას ხელებს, და ბაბუის გახსნებისას მას დღემდე ეს სუნი ახსოვს.

ბებია ეკას არ ახსოვს, არადა, ძალიან საინტერესო ქალბატონი ყოფილა. ყველაფრის გარდა, თურმე, ვირტუოზულად უსტვენდა, მთლად ტაისია ცააგასავით. ბებიას ხუთი და ჟყავდა, და ეკას მამა, ალექსანდრე, სწორედ დებმა ქიქოძეებმა გაზარდეს.

მამა, რომელიც მუსიკოსი იყო, გულდანწყვეტილი დარჩა იმის გამო, რომ სტვენა არ შეეძლო. თითქოს, რა? მაგრამ მას, ფეხბურთის თავდადებულ გულშემატკიფარს, სწყინდა, რომ სტადიონზე სხვები უსტვენდნენ, ის კი — ვერა. მაგრამ ეკას წამოზრდასთან ერთად გამოსავალი გამოჩნდა: მამამ

თული, ბერძნული და დონელი კაზაკების სისხლით — უცნაურად იჭრება ბანქო, დედოფალო... ბაბუამ ბებია დაინახა და შეუყვარდა, და მათ ზუსტად ორმოცდათი წელი იცხოვრეს ერთად და სხვადასხვა წელს, მაგრამ ერთ დღეს გარდაიცვალნენ.

საგვარეულოს ამსახავი ხე ამჯერად ეკა წიუარაძის სამზარეულოს კედელს ამშვენებს, და მისი უმცროსი ვაჟი, ნოდარი, მას გულმოდგინედ იხილავს ხოლმე: “მე სად ვკიდივარ?” — ხანდახან წამოიძახებს: “ბაბო საყვარელიძე და სიმონ წიუარაძე!” ერთი ისაა, რომ ოდესლაც მრავალრიცხოვნა მოდგმას გვარის გამგრძელებელი ჯერ-ჯერობით არა ჰყავს. ძმებ წიუარაძებზე დიდ იმედებს ამყარებენ, ეგბ კიდევ ეყოლოთ ბიჭები.

ეკა წიუარაძეს კი სამი შვილი ჰყავს: ანასტასია ანუ ტასო, 14 წლისა; გიორგი ანუ ჯეჯი (ჯეჯი კოლხურად გიორგია), 12 წლისა, და 7 წლის ნოდარი. ნოდარს გული სწყდება, რომ მხოლოდ ერთი სახელი ჰქვია. აი, ნახეთ, ეკა ეკაცაა და ეკატერინეც, ბიძია ალექსანდრეცაა და ალიკაც, მისი ქალიშვილი კესოცაა და ესარიაც, ის კი — მხოლოდ ნოდარი! ეკას კიდევ უნდა შვილის გაჩენა, და რატომაც არა? მით უმეტეს, რომ ეს საქმე მშვენივრად გამოსდის. და საერთოდ, ორსულობა ავადმყოფობა არაა, მშობიარობა ოპერაცია არაა — ეს ჩემი ბრძენი ბებიის გამონათქვამებიდან.

საგვარეულოს ამსახავი ხე ამჯერად ეკა წიუარაძის სამზარეულოს კელალს

ამშვენებს, და მისი უმცროსი ვაჟი, ნოდარი, მას გულმოდგინედ იხილავს ხოლმე: „

ხოლმე: „ეს სად ვკიდივარ?” — ხალებას წამოიძახებს: „ბაბო საყვარელი და სიმონ წიუარაძის ერთად ერთად გამოსავალი გამოჩნდა:

აღმოაჩინა, რომ მისი ასული დიდებულად უსტვენს. და მას მერე ეკა, ერთი ციცქა და ნაწილიანი, სტადიონის ხშირი სტუმარი გახდა. მამა გვერდით მოისვამდა ხოლმე, გულშემატკიფარის მშესუმზირას იფურთხებოდნენ, ალმოდებულ გაზეთებს აფრიალებდნენ და იგინებოდნენ, ეკას კი თავისი, განსაკუთრებული მისია ჰქონდა: “მიდი!” — დაიძახებდა მამა, და ეკაც ყურისნამდებად უსტვენდა.

დედის მხრიდან წინაპრების ამბის მოყოლისას ეკამ, ჩემი გულის გასახეთქად, გამომიცხადა, აი, დავბერდიო და ცოტა წაუტირა. მერე, მოყოლისას, კინალამ მეც ავყევი — მეც დავბერდი, როგორც ჩანს. ეკამ მთიანი ყარაბალიდან დევნილი დიდგვაროვანთა ოჯახის ამბავი მიამბო, როგორ მოუწიათ თოთხმეტი ბავშვის მშობლებს გენოციდის დროს ირანისკენ გაქცევა, როგორ შეიკედლა ისინი აზერბაიჯანელმა ქალმა. ოჯახის უფროსს სპარსეთში მევალე ეგულებოდა და იმის იმედად იყო, მაგრამ, რასაკვირველია, პატიოსანმა სპარსმა ინფლაცია მოიმიზება და დევნილები ღვთის ანაბარა დატოვა.

მაგრამ ეგ არაფერი. მთავარია, გადარჩნენ და ცხოვრება განაგრძეს. მრავალრიცხოვნი და-ძმა ლამის მთელს მსოფლიოს მოედო, ჩვენი გმირის ბაბუა კი თბილისში ჩამოვიდა.

სწორედ აქ აღმოაჩინა მან “ჩემი ლამაზი, ქერა ბებია”, ქარ-

...

ერთ მშვენიერ დღეს, ზემოთ ჩამოთვილი საზოგადოება ეკას მანქანით მისი და მისი ძმის საოცნებო მხარისკენ დაიძრა: ახალქალაქი! მანქანაში დიდი აურზაური იყო, დედაქალაქიდან გასვლისთანვე ვილაცას მოშივდა, ვილაცას ფისი მოუნდა, ვილაცამ ფანჯარა ჩანა, ვილაცამ მოითხოვა, ანიეო...

როდესაც ეკა და მისი ძმა ალიკა თავიანთი შვილების ტოლები იყვნენ, ყოველ ზაფხულს იქ ატარებდნენ ხოლმე, და იქ ისეთი ამბები ხდებოდა! ახალქალაქში სამხატვრო აკადემიის სტუდენტები დადიოდნენ, უფროსები, მათ შორის — შემდგომში ეკას მაზლი, გუგა კოტეტიშვილიც. და გუგა, უჩვეულო სანახავი, ჩემებიანი, მთელს მიდამოში უჩვეულო ნივთებს აგროვებდა: სპილენძის ჭურჭელს, ძველებურ, სქელძირიან ბოთლებს... წიუარაძეების აივანზე სულ საღებავის სუნი იდგა, და ეკა გულმოდგინედ თითხნიდა მასტიხინით. მერწმუნეთ, დიდი სიამოვნებაა.

მართალია, მასტიხინებს ერთი ცუდი ზნე აქვთ — იოლად ტყდება. ერთხელაც ასეთი მარცხი ეკასაც მოუვიდა, და აქაოდა, დავიმალებიო, ეზოში მდგომ, სახლის პატრონის საამაყო ლელვის ხეზე ასვლა და იქ დამალვა განიზრახა.

ეს დიდი ძეცდომა იყო — ლელვის ხე ხომ ხე არაა! გაიფურჩქ-



CAPAROL

საღეგავები

ლაშები

დეკორატიული
დანაფარები

კაპაროლ ჯორჯია

ა. წერეთლის გამზ. 118
ტელ.: (+995 32) 35 65 69
ფაქსი: (+995 32) 35 65 70
office@caparol.ge
www.caparol.ge

ყველა ფერი

ა. წერეთლის გამზ. 97 ტელ.: 38 00 37 უიული შარტავას 29ა ტელ.: 69 17 07/00 ა. წერეთლის, 118 მე-III პავ. ტელ.: 34 30 34
სამტრედიის 15 ტელ.: 35 43 82 დ. გამრეკელის 3. (კუტურული ცენტრი) ტელ.: 38 91 04 ელიავას ბაზრობა ტელ.: 899 54 98 76



ეკას უდია ძლიერი მამაკაცი, და როგორს ყველა რცხვებას, ამასაც ახლების
პირი უჩანს – მგრი, ისაა... ამზობენ, ბაყაყს რომ აკოცებ, ზღაპრულ
უფლისწულად გადაიქცევაო... თავად ეკაც არაა სუსტი ქალი, უბრალოდ,
ძლიერი მამაკაცი სფირდება. აი, ისეთი, სულ რომ ესოდინება, რომ გვარდით
ძლიერი მამაკაცი ჰყავს.


ნა, გადაიშალა, მდგომარეობის გამოსწორების ყოველი მცდელობა სულ უფრო დიდ ნგრევას იწვევდა. დარცხვენილმა ეკამ ხის მფლობელს შესთავაზა, თუ გინდა, ხე “ავსკოჩოთო”...

ო, როგორი ადგილი იყო ახალქალაქი! მთაზე, ბრტყელი ქვების ქვეშ, მორიელები ცხოვრობდნენ: დედა, მამა, პატარა მორიელუკები... ეკა და მისი ძმა, რომელსაც ძალიან უყვარს ყველაფერი, რაც მრავალფეხანი, ულვაშებიანი და საერთოდ, საზიზღარია, მორიელებს სიხარულით აგროვებდა, რაღაც გლონდების ამოსაჭრელი საშინელი იარაღიც კი მოაბოვა და შხამიან მწერებზე იმით ნადირობდა. მერე, მინის ქილებში, ორთაბრძოლები იმართებოდა: მორიელი დიდი ობობის წინააღმდეგ.

იქ, ახალქალაქში, გონქაშეზღუდულ და სახიჩარ ბავშვთა სახლიც იყო – სასწაული, სადაც ათასნაირ უცნაურ ადამიანთან ერთად გოჭისფეხებიანი ბიჭი ცხოვრობდა. ნამდვილად

გოჭის ფეხები ჰქონდა, ჩლიქები. ის დიდ, ღონიერ ხელებზე დადიოდა, და ძალიან კეთილი იყო. ზემოთ, სოფლის განაპირას, ჭეჭელაშვილებს დიდი დობერმანი ჰყავდათ, თავისი მოდგმის ძალლების მსგავსად, წადარტყმულო. თუ ღმერთი გაწყრებოდა და დღისით აიწყეტდა, ბავშვებს ტაკოებზე კბენდა ხოლმე, მაგრამ ღამით, აშვებული, მშვიდად ყნოსავდა ხოლმე აივანზე მძინარ და-ძმას. წამოადგებოდა თავზე ეს მხეცი, ბასკერვილების ძალლივით, მაგრამ არ ერჩოდა – ისე, დაყნოსავდა ხოლმე და მიდიოდა თავის გზაზე.

ზემოთ ციხე-სიმაგრე იდგა, ამჟამად არტ-ვილა გარიყულად ცნობილი. ამბობდნენ, ერთ გერმანელ ქალს აუშენებია, ჭლე-ქი ჰქონდა და აქაური ჰაერის იმედად იყოო. სინამდვილეში, სრულიად პროზაული ამბავია, არც კი მოვყვები, მაგრამ იმ წაგოთურო სახლს ასეთი ღამაზი ლეგენდა უფრო უხდებოდა. უჰ, რა იყო! ჭრიალა, დანგრეული კიბეები, გრილი ტალანები,



გასინჯა 8-10



ჩქარისვის გამზ. #31
ტელ: (995 32) 44 19 19
ფაქ: (995 32) 44 29 29

www.telecom.ge





და იქიდან – არნახული ხედი, თეძამის ხეობა, მზით გადამწვარი მთები...

ცხადია, ეკა და ალიკა სულ იხსენებდნენ საოცარ ახალქალაქს და გადაწყდა, რომ ამ საოცრებას თავიანთ შვილებსაც აზიარებდნენ. მაგრამ ახალქალაქის ძველი დიდებისა არაფერი დარჩა. რა იქნა ხალხი? ქუჩებში კაცი-დაბადებული არ ჭაჭანებდა, ეზოები — ჩახერგილი, მიდამო – უკაცრიელი. აღარც ჩვენი გმირები დარჩენილან, მანქანა მოაპრუნეს და თბილისში დაბრუნდნენ.

სამწუხაროა, მაგრამ ეგ არაფერი. უბრალოდ, სადაც ბედნიერი იყავი, იქ ნუ დაბრუნდები – ეს მცოდნე ხალხის გამოცდილებიდან.

...

ვისაც 1989 წელი გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში კინოსა და დრამის ფაკულტეტზე ჩაბარება ბევრი ვერაფერი სიხარული იქნებოდა – რა კინო, რა დრამა... ეკასთვის ეს ფაკულტეტი ყველაფერი იმის გაერთიანება იყო, რაც კი უყვარდა: ცეკვა, მუსიკა, ახალქალაქის აივანზე მასტიხინით საღებავების ზელაც კი. ამიტომ გადაწყვიტა მსახიობობა.

ერთი წლის თავზე, ის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა, საცეკვაოდ. იქ ისწავლა ის, რის გამოც ეკა ნიუარაძემ, მრავალი წლის წინათ, ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა – სტეპი. მართალია, ახლა ის ფეხსაცმელი აღარ აქვს, კაკი-კუკა, საგანგებოდ ამ ცეკვისთვის შექმნილი.

პირველივე წელს აკადემიური შვებულების აღება იმხანად დაუშვებელი იყო, მაგრამ მამამ ივაჟკაცა და მერე ეკას შტატებში დაურეკა – ისწავლი, ნუ გეშინია.

მართალია, ამერიკაში ნასწავლის გაგრძელება ეკას არ დასცალდა, უფრო სწორად, არ დაიცალა: თბილისში დაბრუნებულმა ნიკო გომელაური გაიცნო, ცოლად გაჰყვა და პირველი შვილი მეორე კურსზე გაჩინია, მეორე – მეოთხეზე. აბა, რაღა ესტებებოდა.

მაგრამ მერე იყო „ვერნისაჟი“ და მისი წინაპირობა – 90-იანების დასაწყისის ბნელი, ცივი და უიმედო თბილისი. ინსტიტუტამდე ფეხით სიარული, პაპიროსი „ასტრა“ – მუნდშტკუით! ასეც ხომ არ წავიხდენდით თავს, რომ აკანკალებული ხელებით გვესრისა მყრალი სიგარეტი და სასწავლებლის სარკებიან ბუფეტში თამბაქოს ფურთხება აგვეტეხა! მით უმტეს, რომ იმ სარკეში დიდი თვალების თამაში იყო გამართული...

>> გაზრდელება გ3.148



სახურავის ბინალერი მხატვარი

ავტორი: თამარ ბაბუაძე
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

გამოყენებულია დეკორაციები და კოსტიუმები სკეპტიკლებილან:
„სტიქსი“
„12 განრისხებული მამაკაცი“
„ვარისკაცი, ციყვარული, დაზის ბიჭი და... პრეზიდენტი“
„მილიარდერის ვიზიტი“



პირა მრავალ მოქალაქებად

მოქალაქი გმირები და შემსრულებლები:

ირა შარაშიძე – „კარგი“ პოლიტიკი

თემურ ნინუა – „ცული“ პოლიტიკი

მარავები – მარავები

პირა – თარგი

რეზისორი – თანაშემოქმედი

მსახიობები – თანაშემოქმედები

სცენა – ცხოვრება

შედირარ რუსთაველის თეატრში უკანა კარიდან და დანანებით ფიქრობ: საფუძვლიანმა რემონტმა თეატრს ჯადოსწურობის განცდა ოდნავ მაინც დაუკარგა. მაგრამ გადიხარ გაქათქათებულ ჰოლებს და ბუფეტის მისადგომებთან უკვე მხიარულდები, რაღან გრძნობ — ჯადოქრობა არსადაც არ გამქრალა; აი, ნამდვილი კულისები საიდან იწყება: აქ შეერთებულ მაგიდებზე სიგარეტის კვამლში გახვეული მსახიობები სხედან, რეჟისორთან ერთად; წესით, პიესაზე მსჯელობენ, მაგრამ უფრო ყაყანებენ, ვიდრე მსჯელობენ. თან ყველა შემომსვლელს ესალმებიან და თუ სტუმრით რომელიმე მათგანი განსაკუთრებით დაინტერესდა, შეიძლება ასეც მოიცეს — მის სიმორცეზე განზრას ითამაშოს, ადგეს, მიუახლოვდეს და სრულიად უცხოს, ჩაის ფინჯანში შაქარიც ჩაუყაროს, მერე კოვზით არტისტულად მოურიოს, თან თვალებში მიაშტერდეს და გაურკვეველი წინადადებები სწრაფად მიაყაროს, მაქსიმალურად დატებეს სტუმრის დაბნეულობით და კმაყოფილი ისევ თავის მოყაყანე კომპანიას დაუბრუნდეს.

როცა თემურ ნინუას და ირა შარაშიძეს პირველად ამ ბუფეტში შევხდი, ჩემი ჩაის დატკბობაზე ზაზა პაპუაშვილმა იზრუნა. ირა შარაშიძემ კი დამამშვიდა, — აქ ყველა ასე იქცევა, ეს თეატრის ყველაზე ინტიმური და მართალი ნაწილიაო, მაგრამ კიდევ ერთი ასეთი ადგილიც ვიცი, იქ კარლსონი ცხოვრობსო და თვალით თავის მეულლეზე მანიშნა. მერე სამივენი ერთად, სახურავის ბინადარი თემურ ნინუას სახელოსნოსკენ გავემართეთ. ავიარეთ კიბეები, მივაღწიეთ ბოლო სართულს და მეგონა, აი, მოვედით კიდეც-მეთქი, მაგრამ არა. იქ კიდევ ერთ, ხის რამდენიმესაფეხურიან კიბეს შევუყევით და სხვენში აღმოვჩნდით, თავისი ვერანდით.

თემურ ნინუა — რუსთაველის თეატრის სცენოგრაფი — მართლაც კარლსონივით ყოფილა. მისი ოთახიდან რომ სახურავზე ვერანდა გადის, იქედან გოგი ალექსი-მესხიშვილის სახელოსნოც ჩანს. ნინუას ოთახი კი სავსეა დეკორაციების დეტალებით, ნემსებით, ძაფებით და თარგებით — პერსონაჟების შემოსვაზე ხომ მასთან ერთად მეულლე — ირა შარაშიძეც ზრუნავს.



იქვე ირკვევა ცოლ-ქმრის კიდევ ერთი მეტსახელი, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე მოუქებნეს — “კარგი” და “ცუდი” პოლიციელი. “თემური მკერავებსა და ტექნიკურ პერსონალს არცერთ ნიუანსს არ პატიობს, თითოეული ღილის დაკერებას და თითოეული დეკორაციის გამართვას მაქსიმალური სიზუსტით თხოვს, მე კი მათ შეაში ვდგები და კარგი პოლიციელის როლს ვთამაშობ. ჩემზე რა უნდა დაწერო საერთოდ? უბრალოდ, მე-დიუმი ვარ თემოსა და დანარჩენებს შორის”.

ცოლის ამგვარ თვითშეფასებას სასტიკად აპროტესტებს თე-მურ ნინუა და ამბობს, რომ ირას გარეშე ბევრი რამ შეუძლებელი იქნებოდა. ისინი წლებია, ერთად მუშაობენ, ჰყავთ ორი დიდი ქალიშვილი და მათი სიყვარული დღემდე თეატრალურ სცენებზე გრძელდება.





...

სტიქსი მდინარეა ჰადესში, რომლითაც იმქვეყნიურ სამყოფელში მიცვალებულთა გვამები გადადიან. სტიქსი გია ყანჩელის მუსიკაში იმქვეყნიურსა და ამქვეყნიურს აერთიანებს და ქვეცნობიერის დონეზე, მოგონებებს აცოცხლებს. “სტიქსი” მუსიკაა, რომელზეც რობერტ სტურუამ სპექტაკლი დადგა. ეს სპექტაკლი ან ეზიზლებათ, ან უყვართ, ან ესმით, ან — ვერა, შუალედური პოზიცია არ არსებობს. როცა “სტიქსისთვის” დე-

კორაციებსა და კოსტიუმებს ამზადებდა, თემურ ნინუას ეს ყველაფერი ბოლომდე ნაფიქრი არ ჰქონდა. თუმცა, გარეთ რევოლუცია მძვინვარებდა, რუსთაველის თეატრს არემონტებდნენ, რეპეტიციები სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა — მუხტიც მხატვარს სტურუას და ყანჩელის მოგონებათა მდინარის გასაცოცხლებლად ამ დეტალებმა მისცა. სპორტული დარბაზის სივრცე შავ-თეთრში გადაწყვეტილ სპექტაკლს ისე მოუხდა, რომ ნინუას აზრიც გაუჩინდა — “სტიქ-



სი” სულ აქ გავითამაშოთო... ჰადესის მდინარემ ფიქრებისა და მოგონებების სიღრმე მერე და მერე წამოიღო. და დღეს ცოლ-ქმარი ნინუები თვლიან, რომ “სტიქსი” ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპექტაკლია, რომელიც უნახავთ და რომლის შექმნაშიც თავად მიუღიათ მონაწილეობა. ქმრის დეკორაციებში მოთამაშე პერსონაჟები ირამ შემოსა. ირამვე მოიფიქრა სცენისთვის კონკრეტული დეტალები. ისედაც, ბატონი თემური, განათლებით არქიტექტორი, ცოლის აზრს მუდამ ითვალისწინებს. ფიქრი სპექტაკლზე 24 საათის განმავლობაში გრძელდება. “სტიქსზეც” თავიდანვე იცოდა, რომ მინიმალური ფერები უნდა გამოეყენებინა, მათ შორის, ბევრი თეთრი ჭონი და შემდეგ ეს იდეა მეუღლესთან ერთად დახვენა.

ბოლო პერიოდსვე ეკუთვნის “ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი” და “12 განრისხებული მამაკაცი”. ამ უკანასკნელისთვის თემურ ნინუამ სამი მაკეტი გააკეთა, მესამე — რომელიც დამტკიცდა — ყველაზე ნაკლებად მოსწონს, მაგრამ სინაულის გრძნობა არ დარჩენია. ჩემი აზრით, საამაყო ისედაც ბევრი აქვს და, ალბათ, ამიტომ.







...

თემურ ნინუას მამა არქიტექტორია, ამიტომ სახატავ და სახაზავ მოწყობილობებთან ბავშვობიდანვე ჰქონდა შეხება. სულ ხატავდა, შემდეგ ი. ნიკოლაძის სამხატვრო სკოლაში დაიწყო სწავლა, მალე აკადემიაშიც ჩააბარა და იქვე გაიცნო ირა, რომელიც არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა. თუმცა, რომანი მოგვიანებით განვითარდა. იმ წელს საშა რეხვიაშვილი “მწვანე ველს” ბათუმში იღებდა, ირა ბათუმში ისვენებდა. მათ შეხვედრებზე კი 14 წლის ლიკა ქავუარაძე “ზრუნავდა”, რომელიც ფილმში თავის პირველ როლს ასრულებდა. მცდელობამ გაამართლა, ბათუმში “მწვანე ველზე” დაწყებულ რომანი ბეჭნიერად გაგრძელდა. შემდეგ თემურ ნინუა თეატრშიც მიინვიეს. გრიბოედოვის თეატრი “კომბლეს” დაგამდა. ირა მაშინ პირველად დაეხმარა ქმარს კოსტიუმების შეკერვაში. თეატრში შინიდან უამრავი ფერად-ფერადი ნაჭერი მიზიდა, მაგრამ მეორე დღეს აღარაფერი დახვდა, ვიღაცას ნაჭრები გაურკვეველი


მიზნებით შინ წაელო... თუმცა, “თანამშრომლობა” არ ჩაშლილა. თემურმა წესად დაამკვიდრა – შინდაპრუნებული ირას მუდამ ეკითხებოდა: “როგორ ფიქრობ, იმ სცენაში რა ჯობია?”, “რა პერსპექტივა მოუხდება, რა ფერი, რა აქსესუარი?...”, “როგორი ქუდი დავახურო?”... — ამ შინაურულმა კითხვებმა ოფიციალური პასუხები ცოლისგან მოგვიანებით — ათიოდე ნლის წინ მოითხოვა — როცა ირა საბოლოოდ წამოვიდა ტელევიზიოდან, სადაც გადაცემების დამდგმელ მხატვრად მუშაობდა და რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა, — როგორც თვითონ ამბობს, თემოს და დანარჩენი მხატვრების “მედიუმად”.


თემური: “მე ვხატავ, ვხაზავ. ირა კერავს. თუ რამე გასაფორმებელი ან მოსახატია — აუცილებლად თვითონ აკეთებს. კერვა არსად უსწავლია, მაგრამ თითოეულ დეტალს ინტუიციურად ისე კარგად გრძნობს, რომ როცა მკერავები ამბობენ — ეს არ გამოვა, ირა ეუბნება, როგორ არ გამოვა! და მერე მართლა გამოდის”.



ირა: “თეატრი ბავშვობიდან მიყვარდა. ერთი-ორჯერ მოვხვდი კულისებში და დღე-მდე გამომყვა ის ჯადოსნურობის განცდა. ახლაც, ამ ასაკშიც, ყოველ მორიგ ჯერ-ზე მგონია, რომ კულისებში რაღაც სასწაული ხდება... ამიტომ საბოლოოდ სწორედ იქ აღმოვჩნდი, სადაც ყოველთვის მინდოდა ყოფნა. თავიდანვე გავიაზრე, რომ ყოველ ახალ სპექტაკლზე მუშაობა ჩემთვის შინაგან ზრდას ნიშნავდა. თემოც და გოგი მესხიშვილიც ისეთი ენით მელაპარაკებოდნენ, ისეთ დეტალებს ამჩნევდნენ და ისე ახლებურად აზროვნებდნენ, რომ სხვანაირად არც შეიძლებოდა. მე, უბრალოდ, მათი დამხმარე ძალა ვარ”.

თემური: “არავითარი დამხმარე ძალა! შენ ჩემთვის... მართლა ძალიან კარგი ტან-დემი გამოგვიციდა”.





ერთმანეთი სამსახურშიც რომ ძალიან სჭირდებოდათ, ეს ყველაზე ნათლად მოსკოვში, გოგი ალექსი-მესხიშვილთან ერთად მიუზიკლ “ჩხიკვთა ქორწილზე” მუშაობისას გამოჩნდა. სამასკაციანი დასი იყო, მოსკოვის ცირკი კი უზარმაზარია — ხუთი სცენა აქვს — აქედან რომ ყინულის საფარი გადის, იქედან წყალი შემოდის და ათასი მსგავსი ტექნიკური ჯადო-ქრობა ხდება. ერთად რომ არ ყოფილიყვნენ, თემურ ნინუას, ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა უზარმაზარ მასშტაბებთან გამკლავება. საბოლოო ჯამში, მიუზიკლი ძალიან ფერადი და შთამბეჭდავი გამოვიდა. იყო ერთი, მთელი დეკორაციისგან გამორჩეული ორიგინალური დე-ტალიც: სცენაზე იდგა რამდენიმეტრიანი გამჭვირვალე ხე, და ჩხიკვი ზაქარას ქორწილში დაპატიჟებული ფრინველებიც ამ ხეებში დაფრინავდნენ — ჩიტებადექცეული მსახიობები ხან სქელ, გამჭვირვალე ტოტებში იმაღლებოდნენ, ხანაც მოულოდნელად გამოფრინდებოდნენ იქედან.

...
70-იანი წლების ბოლოა. პრაღაში სცენოგრაფიისა და თეატრის არქიტექტურის კვადრენიალი იმართება. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მხატვრები ერთმანეთს ნოვაციებში, უახლეს სპეც-ეფექტებში, უორიგინალურეს სასცენო დადგმებსა და კოსტიუმებში ეჯიბრებიან. თემურ ნინუა კი თბილისშია და ყოველდღე — სამსახურიდან სახლისკენ ერთსა და იმავე გზას გადის. მერე კუადრენიალი პრაღაში ხმაურიანად, გაცემული პრიზებითა და გაცვლილ-გამოცვლილი ახალი იდეებით მთავრდება. თემური კი ამ დროს ისევ იმავე გზაზე სეირნობს — ვაკედან რუსთაველისკენ. ერთ დღესაც, ქაშუეთის წინ, გაჩერებაზე თეატრის სექციის დირექტორი ხვდება — შლაპითა და იღლიაში ამოჩრილი ტყავის საქაღალდეთი. ერთმანეთს თავაზიანად ესალმებიან. დირექტორი ის-ისაა უნდა დაემშვიდობოს თემურს, რომ უცებ ახსენდება — უი, მოიცადე, შენთვის პრაღიდან გამოგზავნილი ოქროს მედალი მაქვს, აგრე ჩანთაში მიდევს და ბარემ მოგცემო: თემურ ნინუას კოსტიუმების ესკიზები ისე გაუგზავნიათ კუადრენიალზე და ისე მოუპოვებია იქ პირველი პრიზი, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ასეთი დრო იყო, ტროლეიბუსის გაჩერებაზე ირკვეოდა დიდი ამბები. პრაღიდან და მსოფლიოს ცნობილი თეატრების სცენებიდან სიახლეებს მხატვრები ისევე შემთხვევით იგებდნენ, როგორც დირექტორს სრულიად მოულოდნელად ტყავის საქაღალდეში დავინყებული ოქროს მედალი გაახსენდა:

“რა თქმა უნდა, გამეხარდა, მაგრამ ტანსაცმლის მოდელირებაში მაშინ არც არავინ იყო. ერთი სახელი ქუხდა მხოლოდ — ზაიცევი. და მეც, როცა პრაღის ამბავი გავიგე, ვხუმრობდი, ეს რით დამაჯილდოვეს, ზაიცევი ხომ არ ვარ-მეთქი. შემდეგ და შემდეგ უფრო დავაფასე ჯილდო”.

ისევ 70-იანი წლების ბოლოა და იმავე გაჩერებაზე კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა ხდება. თემურ ნინუას ფარაჯანოვი ესალმება. ხუთი მანეთი მოიტაო, ეუბნება. თემურს ხუთი არ აქვს, მაგრამ აძლევს სამს. ფარაჯანოვი პასუხობს: ხорошо, დай три. За три рубля я тебя с Тарковским познакомлю-и და იქვე მდგარი ტარკოვსკი გააცნო...

70-იანი წლები იყო და ასეთ მოულოდნელ კავშირებს უცხოეთთან სულ სხვანაირი სიხარული მოჰქონდა ხოლმე. თუნდაც შტატებში გამოსული უურნალი Soviet Life რად ღირდა! ერთ-ერთ ნომერში, რომელიც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას ეძღვნებოდა, თემურ ნინუასა და მირიან შველიძის სცენებსა და პერსონაჟებზეც დანერეს წერილი. საბჭოთა მკითხველს კი სცენის მხატვრების შესახებ უურნალი "Искусство" ანათლებდა. 1977 წლის ნომერში უურნალისტი წერდა:

"ნინუას მსუსე, მხიარული ფერები უყვარს, მკვეთრი წითელი, ოხრა, ზღვისფერი ლურჯი... მისი უანრი არც ტრაგედია, არც საოპერო დრამა, არა-მედ ფარსი და ტრაგიფარსი, ტრაგიკო-მედია და ალეგორია. მისი ტონი, ძირითადად, ირონიულია... ის ფანტაზიორია.

ის ილუზიონისტია, გასაიდუმლოებული ტრიუკების გარეშე. ნინუას ასე სჩვევია — უონგლიორობისთვის აბსოლუტურად ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ ნივთებს იჩჩევს, მაგრამ მის ხელში ისინი ჯადოსნურ ფორმას იძენენ... სპექტაკლებში თამაშის საკუთარი წესების გამოყენება — ეს ნინუას სტილია..."

საკუთარი თამაშის წესების გამოყენება? გადაჭრით "ზოს" ან "არას" ამ შეფასებაზე თემურ ნინუა არ ამბობს, თუმცა მაინც "ზო" გამოდის: "ჩვენზე ამბობენ, სცენის მხატვრები არიანო, ანდა გამფორმებლებიო და ამ სტატუსს შტამპივით გვარტყამენ ზურგზე. ჩემი მიდგომა კი ასეთია: თეატრში ინდივიდი უნდა იყო. როცა სტურუა დგამს შექსპირს, იქ უკვე მარტო შექსპირი აღარ არის. იქ ავტორთან ერთად სტურუაცაა. როცა "რიჩარდი" წაიღეს ინგლისში, თვითონ ინგლისელებმა თქვეს, აი, აქედან უნდა ვისწავლოთ, როგორ დავდგათ შექსპირიო. და თუ შემოქმედებით პროცესში რეჟისორი ინდივიდია, ინდივიდია მხატვარიც, ის მესამე კაცია — მწერალთან და დამდგმელ რეჟისორთან ერთად. მხატვარი გარემოს უქმნის პიესას და მან შეიძლება ისეთი დეტალი ან მთელი სცენაც კი მოიფიქროს, რომ სპექტაკლი



ЧР. ВЕТ. ГОД





რეჟისორს სულ სხვანაირად წააყვანინოს. თუ ტომ სტოპარდმა როზენკრანცის და გილდენ-სტერნის ცალკე გამოყოფა და მათზე პიესის დაწერა მოისურვა და მერე რეჟისორმა ამ პიესის დადგმა გადაწყვიტა, მხატვარმა რატომ არ უნდა თქვას თავისი სიტყვა?"

ხომგაბსოვთ, თემურ ნინუა "ცუდიპოლიციელია", რაც იმას ნიშნავს, რომ ის მაქსიმალისტია და ყველაზე მეტად მცდარ განსაზღვრებებს ვერ იტანს – ისეთს, როგორიც იგივე "სცენის გამფორმებელია", ანდა — სიტყვა "ფორმა": "ერთხელ „ჩენიკვთა ქორწილზე“ მსახიობების შერჩევა მიღიოდა. ერთი გოგო მოვიდა და მეუბნება, აბა, მანახეთ, მერა ფორმა უნდა ჩავიცვაო. ვუთხარი, ფორმა მიღიციონერებს აცვიათ, შენ კოსტიუმი უნდა ჩაგაცვა-მეთქი".

„ მუშაობა კი ასე იწყება: სახლში მოაქვს პიესა და იწყებს კითხვას. რამდენჯერმე კითხულობს და მერე რასაც არ უნდა აკეთებდეს, ფიქრით მუდამ პიესაში რჩება: საჭესთან, სუფრასთან, ტელევიზორთან, ერთმა პატარა საყოფაცხოვებო დეტალმა შეიძლება მთელი დეკორაცია ნარმოადგენინოს. პყავს თავისი საყვარელი დრამატურგებიც. და რადგან თავისუფლება უყვარს, პირველ რიგში, უყვარს შექსპირი, რომელიც არასდროს არ მიუთითებს დეკორის დეტალებს — სად უნდა იდგას მაგიდა და სკამი. მოქმედება მასთან ან სასახლეში ხდება, ან ბაღში და მერე ვიზუალურ შემოქმედებაში უკვე თვითონ მხატვარი შელის ფრთხებს. სიტუაციას თავად თემურ ნინუა ქმნის.

ეს სასცენო სიტუაციები კი, როგორც წესი, მაქსიმალურად ორიგინალურია:

ოთარ ჭილაძის „ნახვის დღეში“ სცენაზე უზარმაზარი გაჭრილი ვაშლი დადო და ბოლოს თავისი „სუძუკის“ ჯიპიც გამოაგორა.

მანამდე, ჯერ კიდევ წითელ საქართველოში, „ბურატინოს“ კატას ბეისბოლისტის მასური ჩააცვა და ბეისბოლისტისვე ჯოხი დააჭერინა — მაშინ, როცა მოსახლეობის ნახევარს, ალბათ, ეს თამაში ნანახიც არ ჰქონდა.

„რობინ ჰუდი“ კი — ყველა მხატვრის წარმოდგენაში ულრან ტყესა და მწვანე ბუნებაში გაშლილი სპექტაკლი — თემურ ნინუამ ხის უჯრებში გაშალა. დიახ, სცენა ერთი დიდი ხის კარადა იყო, ბევრი უფრით და იქ თამაშდებოდა შერვუდის ტყის სიყვარულები, საგმირო საქმეები და ინტრიგები — უჯრიდან უჯრაში. რატომ უჯრები? „არ ვიცი, ალბათ, დავინახე სადმე“.

კიდევ ერთი მაგალითი: როცა რობერტ სტურუაში თერერაში „შუშანიკის წამება“ დადგა, იმ პერიოდში თემურ ნინუა აუზზე დადიოდა და სტურუას შესთავაზა, მოდი, სცენაზეც აუზი დავდგათო. ეს ავანტიურა იყო, სტურუას კი ავანტიურები უყვარს და მხატვრის შემოთავაზებას იოლად დათანხმდა. ასე გაჩნდა ოპერის






სცენაზე აუზი, თავისი ლითონის კიბეებით, კაფელითა და რიგებს შორის ბილიკებით. ერთი სიტყვით, ნინუამ ისეთი გარემო შექმნა, იაკობ ცურტაველს მეოცე საუკუნეში რომც ეცხოვრა, სიზმრადაც კი ვერ ნახავდა.

სპექტაკლმა შოკი გამოიწვია. პრემიერის დღეს კურიოზიც კი მოხდა. დასასრულს, სცენაზე გამოსულმა რობერტ სტურუამ, აპლოდისმენტების ფონზე, უკან-უკან დაიზია და აუზში ჩავარდა. დარბაზიდან კი ასეთი შეძახილები გაისმა: მანდვე დარჩიილი! – პუბლიკის დიდმა ნაწილმა სკანდალური სპექტაკლი ვერ მიიღო.

“საზოგადოებრივ მაუწყებელს” ერთი სიკეთე სჩვევია: თუ ნოსტალგიურ განწყობაზე ხარ, ათას რაღაცას გაგახსენებს, მა-გალითად ძველი სპექტაკლების ვიდეოჩანანწერებს. რამდენიმე

ხნის წინ, სტურუას “დაკრძალვა კალიფორნიაში” აჩვენეს. თემურ ნინუამ ვიდეოჩანანწერი თავიდან ნახა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ წლების წინ ზუსტი გადაწყვეტილება მიიღო: ქართულ სცენაზე კოვბოებით სავსე პროვინციული ამერიკული ქალაქისათვის დამახასიათებელი რეალობა რომ გადმიეტანა, სცენაზე კინოგადაღებები მოაწყო, თავისი ბილიკებით, კამერებით, ჰაერში ჩამოკიდებული განათებებით; ვიღაც კიბეზე ადიოდა, ვიღაც ჩამოდიოდა. უკან კი ფანერაზე ამოქრილი კოვბოები იდგნენ და მოწყენით გაპყურებდნენ მოედანს, სადაც მოქმედება თამაშდებოდა. თემური ამბობს: “სტურუამ სცენაც და კოსტიუმებიც უყოფანოდ მიიღო და მერე ისეთი სპექტაკლი დადგა, რომ…”



...

რუსთაველის თეატრის სხვენზე, სახელოსნოში ახლაც გახურებული მუშაობა მიმდინარეობს. თემური სატავს, ირა კერავს და ორივე ერთად თამაშობს მრავალმოქმედებიან პიესაში, რომელშიც ფურცელზე დაწერილი ტექსტი — თარგს ნიმნავს, სცენა — ცხოვრებასავითაა, რეჟისორები და მსახიობები კი — თანაშემოქმედები არიან.


ეს პიესა ყოველ დღლას ნინუების სახლში იწყება. ამ სახლის კედლებიც დეკორაციას ჰგავს. კედლები თემურის ნახატებით, ესკაზებითა და ირას კოლაჟებითაა დაფარული. ეს ყველაფერი რომ უკეთ დაინახოთ, ირას სანათურს ჩამოჰკარით ხელი — საკიდის დაგრეხილ ოვალზე ლამაზი ქსოვილის ჭალი დაუმაგრებია. თუ მეორე ოთახშიც შეიხედავთ, იქ უკვე ირას და თემურის

ქალიშვილის, ანას მიერ მოხატული კედლები დაგხვდებათ — ბევრი ყვავილი და ფერადი ორნამენტები იატაკიდან ჭერამდე. ანაც სცენის მხატვარია. 12-მდე სპექტაკლი გააფორმა. მისი ბოლო ნამუშევარი — გახმაურებული “პიტლერია”. თავისუფალ დროს, საოჯახო რიტუალშიც მონანილეობს: მამას პიესებს უკითხავს და მერე ყველანი ერთად მსჯელობენ დეტალებზე — “რა აქსესუარი?”, “რა ფერი?”, “რა ქუდი?”

ამ პიესას, სახურავის ბინადარი მხატვრის შესახებ, დასასრული არ აქვს. ამიტომ არც მე დავსვამ წერტილს და ახალ სპექტაკლს დაველოდები — იმ კაცისგან, რომელიც სრულიად ჩვეულებრივი ნივთებით იწყებს უონგლიორობას და რომლის ხელშიც ეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნივთები სრულიად განსაკუთრებულ ფორმას და მიმზიდველობას იძენენ ხოლმე.

Ճոշտ Պահն

Յօշին: Եսքը իմ բազինուն
յոշին: Պօջու պղին



99-ის მაისის ბოლო იყო — რიცხვი ზუსტად არ მახსოვს. დაახლოებით სამი საათი იქნებოდა, ათასნაირი ფერით აჭრელებულ თეთრ პერანგში გამოწყობილი, პეტრიაშვილის ქუჩით მელიქიშვილზე რომ ჩავედი, ტაქსი გავაჩერე და სახლში წავედი. გახარებული ვიყავი.

ისე მიხაროდა, ისე, რომ მთელი დღე ყურებამდე გაღიმებული დავდიოდი.

99-ის მაისის ბოლოს, — ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, — სკოლა დავამთავრე.

ბოლო ზარი მქონდა.

ბოლო ზარი, ბოლო.

იცით, მართლა ძალიან მიხაროდა!

სკოლა დავამთავრე და მიხაროდა!

იცით, რატომ მიხაროდა? იმიტომ, რომ უკვე შემეძლო:

დღის სამ საათამდე ძილი;

ღამის ოთხ საათამდე გართობა;

კერძოდ არ მოვმზადებულიყავი ფიზიკაში, მათემატიკაში, ეთიკაში, ლოგიკაში და ფიზიულტურაში;

აღარ მევლო მოსაწყენ ექსკურსიებზე ბოტანიკურ ბაღში, სტალინის სახლ-მუზეუმში და “კინგ-კონგზე” კინოთეატრ “აპოლოში”;

წავსულიყავი გუდაურში, როცა მომინდებოდა და რამდენი ხნითაც მომინდებოდა;

გავმხდარიყავი სტუდენტი და მქონოდა ჩემი, საკუთარი სტუდილეთი;

ჩამებარებინა სარეჟისოროზე და გავმხდარიყავი ფრანსუა ტრიუფო, ან ჯარმუში მაინც;

და ოჯახში მეთქვა სიტყვა, რომელიც სკოლის მოსწავლის კი არა, სტუდენტის, უკვე კაცის სიტყვა იქნებოდა — ანგარიშგასანევი, მხედველობაში მისაღები და დაფასებული სიტყვა იქნებოდა;

ზაფხულში მარტო წავსულიყავი ბათუმში, ან ბორჯომში (იბიცას და ასპენს დღესაც ვერ ვქაჩავ).

მოკლედ, მაგრად მიხაროდა.

მაგრამ, თურმე სად ხარ, რა ბათუმები, რა ჯარმუშები და რაის სამ საათამდე ძილი... ყველაფერი ისე წავიდა, დღემდე სკოლას ვნატრობ — ნეტა, ყოველ წელს მეთერთმეტე კლასში ვბრუნდებოდე და დიდი სიამოვნებით ვივლიდი ბოტანიკურ ბაღში, ქიმიაშიც მოვემზადებოდი და ანატომიაშიც, „კინგ-კონგის“ სანახავადაც წავიდოდი და მითხუმ ჩაერაბორტის საღამოებზეც... ერთი სიტყვით, თურმე, უსაფუძვლოდ მიხაროდა.

როგორც არ უნდა იყოს, სკოლაში ვეღარ დავბრუნდები — მინდა-არ მინდა, სკოლას გარედან უნდა ვუყურო და გავიხსენო ის დრო, როცა გუგა ფუტკარაძესთან და ნოდარიკო ბაკურაძესთან ერთად, ტერმინატორობანას ვთამაშობდი, სკოლის კედლებზე Queen-ს ვწერდი და ჯანა ამირეჯიბს, ჩემს საყვარელ მასწავლებელს, „ამბავი როსტევან მეფისა“-ს სპორტის სასახლესთან, გუდაურში წასვლამდე ერთი საათით ადრე ვაბარებდი. თურმე, მაშინ მიხაროდა ყველაზე მეტად, მაშინ ვიყავი ბედნიერი და ახლა...





Prinect 4GS Dipco 2.0 Format 52 © 2003 Heidelberger Druckmaschinen AG









Prinect 4GS Dipco 2.0 Format 52 © 2003 Heidelberg Druckmaschinen AG





Prinect 4GS Dipco 2.0 Format:52 © 2003 Heidelberger Druckmaschinen AG

















გელიერი ვარ... ჩოდესაც სკოლაზე ვფიქრობ. ალბათ, ამან განაპირობა, ჩომ სკოლასთან გაიცე მაქვს შეხება – ჩალიან გევრი მირვე-, მისწრე-, მიათე- და მითართხაზეალასელი მიგობარი მყავს. ჰოლა, ორ ივნისს, აი, იმ მითართხაზე კლასელიაზთან ვიყავი... ბოლო ზარზე.



ორ ივნისს ჩემთვის სამჯერ დაირჩა ბოლო ზარი და ვხელავდი ჩემს მეგობრებს,
რომელთაც ბოლო ზარი ისევე უსაროდათ, როგორც მე 99-ში, მაისის ბოლოს...



83

ნილი

საქართველოს

ავტორი: სადრო ნავორიანი

ფოტო: ნიკო ჭარიალაშვილი

მაღლობას ვუძიროთ

Atelier ten'a

ქალაქის სალოას ცხრვრებაში იყო ვაჭიშვილი, რომი, ნიუ

იორკი, ვენა და პარიზი • პარალელურად არსებობდა

საქართველოს - 25-ე კალივით. ეს ყველაფარი იყო, ახლა

კი : "თვითმმაფრინავში ვარ, რომელიც იმ ქვეყანაში უდეა

ჩამიყვანოს, რომელიც ჩემის ნოტის მისამართი წლის

შენ დატოვას „. ის ახლა იქ არის, საღაც მისი ნინაპრები

უდეა ყოფილიყვნენ.

იპოდრომზე თქმულის შემდეგ, მის დანახვაზე ქაჯები ელანდებათ. და ვინაა ქაჯი? თქვა ის, რასაც ფიქრობდა და რაც საქართველოში ჩამოსულს დაანახეს.

საგარეო საქმეთა მინისტრობისას, ოფიციალურ შეხვედრებზე ყველასგან გამორჩეული იყო, როგორც ქალი და როგორც მინისტრი. ქართულ პოლიტიკურ სამყაროში აშკარად გამორჩეული გემოვნება აქვს. ყოველთვის მოწესრიგებულია და რაც მთავარია, დღევანდელი ქართველი ქალებისგან განსხვავებით, სამკაულებით არ იხუნძლება.

წარმატებული დიპლომატია და პოლიტიკური აზროვნებაც განსხვავებული აქვს — დიპლომატიაზე აგებული. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მაინც ახალგაზრდების ფავორიტია. მან მოახერხა ის, რაც ორასი წლის განმავლობაში ვერცერთმა მეფემ, გენერალმა თუ პრეზიდენტმა ვერ შეძლო — საქართველო რუსის ჯარისაგან გაათავისუფლა.

მისი საუბარი ზოგს ლიმილს (კეთილ ლიმილს) ჰქვრის — ფრანგული აქცენტით საუბრობს. ჰყავს ძალიან ბევრი მომხრე, ძირითადად ახალგაზრდები. ბევრს მისი არ სჯერა და ათასგვარ ჭორს უგონებენ, ფსევდოპატრიოტიზმში სდებენ ბრალს და ა.შ.

სულ რაღაც სამი დღის წინ, მისი ავტობიოგრაფიული წიგნი გამოვიდა, სადაც დაწურილებით არის აღნერილი გზა, რომელიც მან საქართველომდე გამოიარა.

ის არ არის ორატორი და ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. მასში ვერ ვხედავ სიყალბეს და ამიტომაც, ქართველი პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტად მისი მჯერა. მისი სახელია სალომე ზურაბიშვილი.

ქალბატონ სალომესთან ლიზასთან — ჩვენი არტ-რედაქტორია — ერთად მივედი, ფოტოგადაღებებზე უნდა მოლაპარაკებოდა. სანამ ისინი საუბრობდნენ, მისალებში ვიჯექი თეთრ, ფუმფულა სავარძელში და ველოდებოდი.

გვერდზე ოთახიდან ფრანგულნარევი ქართული ისმოდა. ძალიან სასიამოვნო მოსასმენი იყო — თან ემიგრაციის ელფერი დაკრავს და საუკუნეზე მეტი ხნისაა; სადაც ეს ხმა ისმის, იქ ნოსტალგია ჩნდება, სამშობლოს სიყვარული ერთიათად გიმძაფრდება და ცოტათი გიხარია კიდეც, რომ ღმერთმა ის ტკივილი აგაცილა, რასაც ემიგრაცია ჰქვია.

ეს იყო პირველი ემოცია, რაც სალომე ზურაბიშვილთან მისვლის შემდეგ გამიჩნდა. ხომ იცი, ფიქრი წამიერია — ერთს გაიფიქრებ და შემდეგ შეგიძლია შენი ფიქრი ფურცელზე გადაიტანო — ერთზე, ორზე, სამზე, ათ ფურცელზე გადაიტანო.

ლიზამ დაამთავრა თავისი საქმე, დაგვემშვიდობა და წავიდა. მარტონი დავრჩით.

მოდი, ასე დავინწყებ: ამას დაბრუნება არ ჰქვია — სალომე ზურაბიშვილს არასოდეს დაუტოვებია საქართველო. თავი არასოდეს უგრძენია ემიგრანტად და არც ახლა თვლის, რომ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტია. მისი საქართველო იყო ლევილი, პარიზის წმინდა ნინოს ტაძარი და კვირაობით იქ, წირვაზე მისული ქართველები. მისი საქართველო იყო ბებიების, მშობლების ნაამბობი ისტორიები...

მამა, ლევან ზურაბიშვილი ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი იყო. საფრანგეთი 15 წლისამ, მშობლებთან ერთად დატოვა. პარიზის უმაღლესი საინჟინრო სკოლის დამთავრების შემდეგ, დიდი თანამდებობა შესთავაზეს, თუმცა ამისათვის საფრანგეთის მოქალაქეობა უნდა მიეღო. თუმცა ლევანმა უარი თქვა — ქართველად დავიბადე, ქართველად დავრჩიებო. ლევანს იურიდიულ ფაკულტეტზე უნდოდა სწავლა, მაგრამ ლტოლვილის სტატუსი ამის საშუალებას არ აძლევდა.

დედა, ზეინაბ კედია 1921 წელს, ოჯახის იძულებით ემიგრაციის შემდეგ, სტამბოლში გაჩნდა და როცა თურქეთში ცხოვრება გაჭირდა და ოჯახი მიხვდა, საქართველოში დაბრუნება შეუძლებელი იყო, პარიზში წავიდნენ. ლევან ზურაბიშვილმა სწორედ პარიზში




ში გაიცნო ზეინაბ კედია და ეს გაცნობა ოჯახის შექმნით დასრულდა.

პარიზში, სამოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ. ერთ ოთახში ბებიები იყვნენ, მეორეში – მშობლები, მესამეში – ბავშვები. ბავშვებთან ყველაზე დიდ დროს ბებიები ატარებდნენ – არ მუშაობდნენ და მთელი დღეები მათთან იყვნენ. სახლში ყველა ქართულად საუბრობდა, რაც ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სანამ სკოლაში არ შევიდა, სალომე სულ ქართულად ლაპარაკობდა. სკოლამდე ფრანგული არც ვიციოდი. სკოლაში რომ შეიყვანეს, ოთხი წლის იყო. ძმაც იმ სკოლაში სწავლობდა; უბრალოდ, ერთ კლასში არ იყვნენ – ოთარი წლინახევრით უფროსია.

პირველივე დღეს ჩხუბი დაიწყო, ჩემს ძმასთან ერთად მინდა, აქ ქართული არავინ იცის, ჩემი არ ესმითო. თუმცა, დროთა განმავლობაში, ყველაფერი მოგვარდა. ქალბატონმა სალომემ ძალიან მალე აითვისა ფრანგული და ენობრივი ბარიერი გადალახა.

ბავშვობის წლებიდან კარგად ახსოვს კონკრეტული დღეები – ოთხშაბათო, პარასკევი და კვირა. ოთხშაბათობით მასთან სკოლის მეგობრები მიდიოდნენ. ეს დღე სალომესთვის მნიშვნელოვანი იყო – მეგობრებთან ურთიერთობა და თან ფრანგული ენის გატეხვა აუცილებელი გახლდათ. პარასკევით კი, კედია-ზურაბიშვილების სახლში, პარიზში მყოფი ქართველები იკრიბებოდნენ და საქართველოზე საუბრობდნენ; ყვებოდნენ ისტორიებს იმ ადამიანებზე, რომლებიც საქართველოსთვის იბრძოდნენ და რომელთაც სამშობლოს სიყვარულის გამო დევნიდნენ. ფაქტობრივად, ეს ისტორიები და ამბები იყო სალომეს საქართველო. კვირა დღეს კი, ყველა ქართველი ქართულ ეკლესიაში მიდიოდა. იქ იყვნენ ისეთები, რომელთაც არაფრის სწამდათ, მაგრამ მაინც დადიოდნენ, საქართველო ენატრებოდათ და ამ ნოსტალგიას ქართველებთან ურთიერთობით იოკებდნენ.

18 წლამდე, სალომე ოფიციალურადაც ქართველი იყო – პასპორტში ლტოლვილი ენერა. მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, საფრანგეთის მოქალაქეობა მიეღო, რომ სწავლაში ხელი არ შეშლოდა. ეს ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება არ ყოფილა, რადგან საკითხი ასე იდგა: ან ლტოლვილად უნდა დარჩენილიყო ან საფრანგეთის მოქალაქეობა მიეღო. ამაზე უარის თქმა არ გამოვიდოდა – მთელი ცხოვრება დისკრიმინირებული იქნებოდა. ქალბატონ სალომესთან ერთად, საფრანგეთის მოქალაქეობა მისმა ძმამაც მიიღო. დღეს, საფრანგეთში



“ ქალბატონი სალომე პირველი

გამოცდის შემდეგ წააყდა

დაბრკოლებას. სტელზე

კონკურსანტების სახელები

და გვარები იყო გამოკრული,

რომელიც თავისი გვარი ვერ

ამოიკითხა. ამის შემდეგა, ის

დაიბარეს და უთხრეს, ტყუილად

ნე მოემზადები, გამოცდაზე ვერ

დაგიშვებოთო. ”





მცხოვრებ ყველა ახალგაზრდას საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული. მაშინაც ასე იყო. ბოლომდე საქართველოს მოქალაქეებად მხოლოდ უფროსი თაობა დარჩა.

მოქალაქეობის გამოცვლის შემდეგ, ქალბატონ სალომეს საშუალება მიეცა, სრულფასოვანი განათლება მიეღო. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის კარგად სწავლობდა და ნიჭიერი იყო, მაინც დიდი პრობლემები შეექმნა: როცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოცდებს აბარებდა, საბჭოთა ხელისუფლებამ, ქართველი ემიგრანტის შვილობის გამო, სალომე გამოცდიდან მოახსნევინა. გამოცდა ორ ეტაპად ტარდებოდა – წერა და ზეპირი. იგი პირველი, წერითი გამოცდის შემდეგ წააწყოლებას. სტენდზე

კონკურსანტების სახელები და გვარები იყო გამოკრული, რომელშიც ქალბატონმა სალომემ თავისი გვარი ვერ ამოიკითხა. ამის შემდეგ, ის დაიბარეს და უთხრეს, ტყუილად ნუ მოემზადები, გამოცდაზე ვერ დაგიშვებთო. საქმეში ერთი ადამიანი ჩარია, გვარად ანდრონიკაშვილი, ლევან ზურაბიშვილის მეგობარი, – ჯერ შარლ დე გოლის და შემდეგ პომპილუს თარჯიმანი. მან ფრანგებს მიანიშნა, რომ საბჭოთა კავშირი საფრანგეთზე, მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან “დერჟავაზე” ასეთ ზენოლას ვერ უნდა ახდენდეს. ამის შემდეგ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვეტილება შეცვალა და სალომე ზურაბიშვილი გამოცდაზე დაუშვა. დრო ძალიან ცოტა ჰქონდა – ორი კვირა. დღე და ლამე მცადინე-



აქსის მარკი

ეპულაცია პროექტი

აქსის ქარდი – პლასტიკური, უვადო ფასდაკლების ბარათი შეიქმნა აქსისში და იგი საჩუქრად გადაეცემა მხოლოდ აქსისის კლიენტებს.

ტელ: 91 46 45, ფაქსი: 25 34 34
axiscard@axis.ge
www.axis.ge



LAPIN HOUSE

მუზეუმი

FRANKE

ვ ვილეზ-ვიუ

TENT.განა

დეკორი

Panasonic

ბარათი უზრუნველყოფს ფასდაკლებასა და განსაკუთრებულ პირობებს სხვადასხვა პროფილის კომპანიაში.



პირველი დღეები სიზმარს ჰგავდა. ფარნეზის სასახლის ბალში – “სტუმრობის პატარა სახლში” დააბინავდა. ზღაპრული თვე გაატარა: ათვალითი რომის დაცარიელებულ ქუჩებს, ქვაფენილებს, ჩიხებს. მთელი ქალაქი მას ეკუთვნოდა.

ობდა, თან ხმამალლა. ზეინაბი სახლიდანაც კი წავიდა, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა და შედეგმაც არ დააყოვნა – რუსების გულის გასახეთქად, სალომე ზურაბიშვილმა გამოცდა ჩააბარა.

აქედან დაიწყო დიპლომატიური კარიერა.

რომი...

რომი ღია ქალაქია!

რომი მარადიული ქალაქია!

ყველა გზა რომში მიდის!

22 წლის ასაკში, საშუალება მიეცა აღმოეჩინა რომი, მის-თვის უცნობი, ფელინისდრონდელი ქალაქი. არ ავინაყდება პირველი გაოცება, როდესაც აეროპორტიდან პირდაპირ ფორუმისკენ წაიყვანეს და ფორუმი სადღაც, რომის გალავნებს გარეთ, რომელიმე სოფელში ეგულებოდა; ის კი, თურმე იქვე, მთვარის შუქით განათებულ მოსახვევში ყოფილა. ის, რომ სწორედ ამ დიად, უკვდავ ქალაქში უნდა გადაედგა თავისი პირველი პროფესიული ნაბიჯები, საოცრად აქსებდა.

რომში ჩასვლას ერთი უხერხული ფაქტი დაერთო. საქმე ისაა, რომ ელჩის, სანამ მის დანიშნაზე დათანხმდებოდა, მისი გაცნობა პქონდა გადაწყვეტილი – აქაოდა, ვინ არის ის გოგო, რომელიც 74 წლის მარტში 22 წლის გახდა და სწავლა სულ რამდენიმე დღის წინ დაამთავრაო. შესვედრაზე სალომე ზურაბიშვილმა ატმის დაჭრა სუფრის ეტიკეტის მიხედვით გადაწყვიტა, რის შემდეგაც ერთი ნაჭერი ასხლტა და მისი მომავალი ელჩის, შარლ ლუსეტის მუხლებზე გასრიალდა. ეს ინციდენტი ნერვიულობის ბრალი იყო, თუმცა უარყოფითი შედეგი არ მოუტანია – პარიზში დაბრუნდა და დადებითი პასუხი მიიღო.

როდესაც რომში მეორეჯერ – უკვე ოფიციალურად – ჩავიდა, ქალაქმა ძალზე უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. იმ დღეს, 1974 წლის 8 ივლისი იყო; რომის ოლიმპიურ სტადიონზე გახურებული ფეხბურთი მიდიოდა. ქალაქში ვერავის ვერ ნახავდით და შიგადაშიგ თუ გაისმოდა გოლების გატანის თანმხლები ოვაციები. მეორედ ნანახი რომი რადიკალურად განსხვავდებოდა პირველად ნანახისგან.



პირველი პარანი რომელი შედგა, რომანტიკული დიალოგის ნაცვლად,
ქალბატონია სალომეა საქართველოზე ისაუბრა. აინტერესების, რომორ
მიღლებლა მის გატაცებას აღამიანი, ვისთვისაც, შესაძლოა, მომავალი
დაკავშირებინა.

პირველი დღეები სიზმარს ჰერცოგის სასახლის ბაღში – “სტუმრების პატარა სახლში” დააბინავეს. ზღაპრული თვე გაატარა: დადიოდა და ათვალიერებდა რომის დაცარიელებულ ქუჩებს, მოედნებს, ქვაფენილებს, ჩიხებს. ამ ყველაფერს ათვალიერებდა და აღმოჩენებს აკეთებდა. მთელი რომი მისი იყო – მას ეკუთვნოდა.

შთაბეჭდილებებით უხვ პირველსავე დღეებში, რომაულ სალონებში ნამდვილი რომაელი დონნასავით თავის დაჭერაც ისნავლა, ლამპიონებით განათებულ ქუჩებში რომაული სიდინჯით, შარმით და სიმსუბუქით სიარულიც; საოცარ სიამოვნებას იღებდა მაშინ, როდესაც ამ ულამაზეს ენას ითვისებდა... ერთი სიტყვით, ძალიან, ძალიან სწრაფად გარომაელდა.

ძალიან მალე, ბინა გამოიცვალა და ლანჩელოტის სასახლის სხვენზე მდებარე ბინაში გადავიდა, რომელიც ნავონას მოედნის უკან მდებარეობდა. თურმე, ადრე ზუსტად იმ სახლში უცხოვრია შატობრიანს. სწორედ ამ სახლში, ვია დე კორონა-რიზე, თავი შინაურულად იგრძნო. “ვია დე კორონარი 189” –

იყო ბინა, რომელიც სამუდამოდ მის პირველ საცხოვრებლად დარჩება. იმ სახლში მოხვდება მისი 58 მეგობარი – სალომე ზურაბიშვილმა ისინი დათვალა. იმ სახლმა მას და მის მეგობრებს დაუვინარი საღამოები აჩუქა და არაერთი ტკბილი მოგონებაც დაუტოვა. 22 წლის იყო, უამრავი მეგობარი ჰყავდა, რომში ცხოვრობდა, მზე ანათებდა, ბედნიერი მომავალი ესახებოდა და უხაროდა. არ ფიქრობდა არაფერზე – არც საქართველოზე, არც საფრანგეთზე...

ბედნიერი იყო იქამდე, სანამ მამა გარდაეცვალა. იცოდა, რომ მამის ხველება მარტო ფილტვების ბრალი არ იყო. მაგრამ შვილის წინათგრძნობა მშობლებმა დაივინეს.

ერთ დღეს, ოთარმა, სალომეს ძმამ დარეკა – მამა უკურნებელი სენით არის დაავადებულიო. ექვსი თვის შემდეგ კი, ძმამ უკვე მამის გარდაცვალება შეატყობინა.

სწორედ ამის შემდეგ გამძაფრდა მასში საქართველოს უკმარისობა. ალბათ, მამის სამშობლოს მიმართ სიყვარული და ნოსტალგია მას მემკვიდრეობით გადაეცა.

>>> გაზრდელება გ3.148





კუბი, როგოლსაც ლიზანიშვილი ძლიერ უყვარება

შესველია გურიაშ დოჩანაშილთან

ავტორი: ირა ყრუაშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე
ილუსტრაცია: ჩიკო გიგაური



ჯოხით მოდიოდა – ხომ არ დავაგვიანეო. ერთი ბოთლი ლუდი ეჭირა და მოაქანავებდა ისე, რაღაცნაირად ახალგაზრდულად. ამ ფეხის ტკივილმა მიშველა... დიდი მოცეკვავე და სიგრძეზე მხტომელი მე არ ვიყავიო... ისე გამეხარდა მისი ნახვა, აღარ მახსოვეს რაზე თქვა, ფეხის ტკივილმა მიშველაო. გაკვრით, ბოდიშისმაგვარი ჩაიღაპარაკა, ჩვენ ისე ფართოდ არ ვცხოვრობთო.

გამახსენდა გალაკტიონის სახლი რომ ვნახე პირველად, ცხადია, სასახლეს არ მოველოდი, მაგრამ იმ ოთახმა, სარკმელმა გამაოგნა (თან, როგორ მომწონს და მიყვარს, რომ ზუსტად ასეთია). მერე რა... იჯდა გენიოსი, იხედებოდა ყველაზე პატარა სარკმლიდან, მაგრამ როგორ? „სიო არხევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს“.

ბავშვობა

დავინწყოთ იქედან, საიდანაც საერთოდ იწყება ხოლმე. ბავშვობა დიდ, ძველ, ულამაზეს თბილისურ სახლში გაატარა. მის ეზოში ფოტოატელიეც იყო, ვოროშილოვის კლუბიც (ვოროშილოვს სსენებაზე ნუ შეშინდებით. გაგანია კომუნისტური წლებია და აბა, კლუბს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს ხომ არ დაარქევდნენ?!). იმ კლუბში კი ყველაფერი კარგი ხდებოდა. იყო კონსა და ესტრადის დარბაზი, მრავალი წრე და, რაც მთავარია, ეზოში თეატრი იყო. დიახ, გრიბოედოვის სახელობის თეატრი. ალბათ მიხვდით, რომ იმ ლამაზი სახლის ადგილას, მედუზასავით უფორმო და უნიჭო შენობა დგას – თბილისის ცენტრალური უნივერმაღლი. გინდა თბილისი მიახატე და გინდა პარიზი, მაინც უნიჭობაა.

იქ კი, იმ ძველ სახლში, ისეთი თვალშისცემი იყო კეთილშობილება!... ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ თავ-თავიანთ უსამზარეულო, პატარა, უბოქლომო ოთახებში.

დოჩანაშვილები ცოტანი არიან, იმდენად, რომ ოჯახის წევრების გარდა, არც არავის იცნობს. ადრე ნაცნობმა უთხრა – კი, როგორ არა, ერთ დოჩანაშვილს ვიცნობ, მამაჩემის მეგობარიანო. გაუხარდა, მაგრამ რა, ის უცნობი დოჩანაშვილი მისთვის ძალიანაც ნაცნობი – მამამისი აღმოჩნდა.

დედა ემხუარი ჰყავდა. ბაბუა – სილოვან ემხუარი ქუთაისში იზრდებოდა. დედით ობოლი იყო და დეიდა, ანეტა დადიანი (რომელიც, სხვათა შორის, აკაკი წერეთლის დისშვილი იყო) ზრდიდა. სილოვანის ძმა სოხუმში ემხუარებმა გაზარდეს, ერთი ძმა ქართველობდა, მეორე – აფხაზობდა. მერე რა, ემხუარები ხომ ყველაზე კარგი ქართველები და ყველაზე კარგი აფხაზები იყვნენ. საერთოდაც, ეს გვარი ქართულ-

დოჩანაშვილები ცოტანი არიან, იმდენად, რომ ოჯახის წევრების გარდა, არც არავის იცნობს. ადრე ნაცნობმა უთხრა – კი, როგორ არა, ერთ დოჩანაშვილს ვიცნობ, მამაჩემის მეგობარიანო. გაუხარდა, მაგრამ რა, ის უცნობი დოჩანაშვილი მისთვის ძალიანაც ნაცნობი – მამამისი აღმოჩნდა.

დოჩანაშვილები ცოტანი არიან, იმდენად, რომ იმ ლამაზი სახლის ადგილას, მედუზასავით უფორმო და უნიჭო შენობა დგას – თბილისის ცენტრალური უნივერმაღლი. გინდა თბილისი მიახატე და გინდა პარიზი, მაინც უნიჭობაა.

აფხაზური სიყვარულისა და მეგობრობის მაგალითი იყო. ბაბუა საოცრად ღირსეული კაცი გახლდათ, ყველაფერს აკეთებდა, რომ შვილიშვილს არაფერი არ მოკლებოდა. სმელ პურს ისე ჩაანობდა წყალში და ისე მიირთმევდა, ღირსება არ ელახებოდა. არა-ჩერეულებრივი მეგობრები ჰყავდა: დადიანი, ჩიქოვანი. ბავშვობისდროინდელი მეგობრები კი ერთმანეთს ხმადაბლა „ბატონობით“ ესაუბრებოდნენ. ხმადაბლა იმიტომ, რომ ავადსახსენებელი კომუნისტური რეჟიმის დროს, მოგეხსენებათ, ამ სიტყვას მძიმე ბედი ხვდა წილად – ამხანაგოთი შეცვალეს. მაშინ, იმ ძნელ დროში, „ბატონი“ ღირსეულს ნიშნავდა.

ნინაპრებზე საუბარმა სოხუმი გაახსენა. ენატრება. ეგეც არ იყოს, ხუმრობა ხომ არ არის აფხაზური და ქართული სისხლი ერთად. ძველი ამბავი გაახსენდა: გურამ დოჩანაშვილი და გია ჭირაქაძე ასე, მეოთხე-მეხუთე კლასელები იქნებოდნენ. სოხუმში, ზღვასთან გვიანობამდე შემობარბაცდა და დაეხეტებოდა.

ბიჭებს რომ გადაანუდა, გამოელაპარაკა, გვარები ჰქითხა – დოჩანაშვილი ისე რა, არ მოეწონა, ჭირაქაძეზე გადაირია. ჭირი იქა გამიგია, მაგრამ ჭირი აქა რა უბედურებაა. ბიჭები იყვნენ, გაპრაზდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. მერე, მოცლილმა მთვრალმა დედების გვარებიც იყითხა. აქ კი გამამაყებულმა გიამ, დედაჩემი დადიანია, გურამმა – ემხუარიო და რომ ეგონა, ბიჭებს ნიშნი მოვუგეო, სულ გადაირია მთვრალი. იმას კიდევ გაგიუება უნდოდა? შევარცხვინე დადიანები და ემხუარები, ჭირაქაძეს და დოჩანაშვილს რომ მისცეს შვილები.

მისი დაბადებისას, ბებია 38 წლის ქალი იყო, თან ძალიან ლამაზი და გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ბებია არასოდეს შორდებოდა გვერდიდან და როცა ეკითხებოდნენ, დედა როგორ არისო, ხვდებოდა, ბებია დედაში ეშლებოდათ. დედას სხვა ოჯახი ჰქონდა, ბებია კი სულ მასთან იყო.

კარგად ახსოვს, ასე, თოთხმეტისა იქნებოდა, ვაჟუაცობდა უკვე და ვიოლინოს ტარე-

კარგად ახსოვს, ასე, თოთხმეტისა იქნებოდა, ვაჟკაცობდა უკვე და ვიოლინოს ტარება ეხამუშებოდა. ბებიას კი გაპრაზულად, ხაზგასლული სიახაყით მიკერძოდა ინსტრუმენტი. თვითონ ქართული მარტინი მასთან მიღინდა, ვითომ არც იცნობდნენ ერთმანეთს...

ბა ეხამუშებოდა. ბებიას კი გაპრაზულად, ხაზგასმული სიამაყით მიჰქონდა ინსტრუმენტი. თვითონ ქუჩის მეორე მხარეს მიღიოდა, ვითომ არც იცნობდნენ ერთმანეთს...

თბილად გაულიმა წარსულს. მეც თანდათან მივყევი.

ერთი კლასიდან სამი ბიჭი საქართველოს ისტორიაში სამუდამოდ ჩატარდა. გამსახურდია, კოსტავა...

– დოჩანაშვილი, – დავამატე. თვითონ კი რა მითხრა?! "ჩვენ არაფერი, კლასელი გვყავდა – ნუგზარ ჩანტლაძე, სამივეს ერთად გვჯობდა – ნიჭიერებით, ხასიათითო.

მეგობრების გახსენებამ დაალონა: „ანტისაბჭოთა პროვოკაციების გამო, 56-ში პირველად რომ დაგვიჭირეს, 16-17 წლის ბიჭები ვიყავით. ექვსი მათგანი – ანატოლ მიქა-ძე, მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ჯონდო მეტრეველი, ვლადიმერ სიხარულიძე, თამაზ გუნჯუა ალარ არიან. თუმურ ცერცვაძე და გურამ სხირტლაძე ცოცხლები არიან. იცით, რა ბიჭები იყვნენ? ჯერ მარტო გარეგნობით – არაჩვეულებრივები. მერე მეგობრობა გვქონდა სამაგალითო. როგორც წესი, ორ კაცს რომ იჭერენ, მერე ერთმანეთში მოსდით უსიამოვნება. ერთმანეთზე გადაბრალებას იწყებენ. ჩვენ არა, ყველანი სუფთად გამოვედით. იცით, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი? და გვიყვარს, წასულებზე წარსულ დროში ვერ ვლაპარაკობ. სულ ახლახანს, თამაზ გუნჯუა წავიდა. ხულიგნები არ ვყოფილვართ, მაგრამ ისე, ვაჟუაცური ჩხუბი ყველაზე კარგად თამაზს გამოდიოდა. გარეგნობითაც შემკული კაცი იყო. რაც მთავარია, კარგი ექიმი იყო. ექიმი რომ არ გაცვდეს და ყველა ოპერაცია არ განიცალოს, შეუძლებელია. მაგრამ თამაზს შერჩა ღვთის წყალობა და ბავშვები რომ რთულ ოპერაციას გაუკეთებდა, მთელი ღამე თავთან ეჯდა და მისი ხელი ხელში ეჭირა. ვიცი, ჩემს მეგობრებს – არც წასულებს, არც დარჩენილებს არ ეწყინებათ – ყველას გვჯობდა თამაზ გუნჯუა. ამ ბოლო დროს, ცუდად რომ გავხდებოდი, ვფიქრობდი, რა მოხდა მერე, თუ ალარ ვიქნები, სამაგიროდ, თა-მაზი მრჩება-მეტქი. მისი საქციელი ისე მამხნევებდა.“

ძალიან გულნატკენს, ვთხოვე, რაიმე ღიმილისმომგვრელი გაეხსენებინა და მეორედ რომ დაიჭირეს, ის ამბავი მოიგონა. სოლოლაკიდან მოდიოდნენ, მერაბის ბებიას სტუმრობდნენ და ოდნავ შექეიფიანებულები – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ჯონდო მეტრეველი და თვითონ, რაღაცაზე მხიარულად, უდარდელად კამათობდნენ. მაგრამ უნივერმალის ყარაულს რატომლაც შეეშინდა და გაისროლა. სწორედ ყარაულის თოფი გახდა ბიჭების დაჭერის მიზეზი. მაშინ ტყვიებიც კი აღრიცხვით იყო და ყველა გასროლა გარკვეული შედეგით მთავრდებოდა და დამთავრდა კიდეც.



მეგობრებს ციხეში უკრეს თავი. მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ახლობლები ციხის საავადმყოფოში გადაყვანას უპირებდნენ, რასაკვირველია, კეთილი ნაცნობების დახმარებით. ასე გადაიყვანეს ზვიადიც, გურამიც და მერაბის ჯერი რომ დადგა, ბიჭებს დაუძახეს, „*ც ვეჟამი*“-ო! ნასალები კი რა ექნებოდათ?! „*ტელოგრეიკები*“ ეცვათ და რაღაც ფუთები ეჭირათ. გახარებულები დგანან და იციან, უკვე თავისუფლები არიან. პროკურორის ხელმოწერას ელიან და ამ დროს, ექიმი ქალი ჰყავდათ იქ – ცივი, უსისხლო. გამოიარა და გაუკვირდა, ბიჭები რომ გარეთ დაინახა. ამათ კი მიახარეს, თავისუფლები ვართო. ექიმი მიუბრუნდა მერაბს და ეუბნება, ბედი არ გქონია, ხვალ ციხის საავადმყოფოში უნდა გადაგვეყვანეო. ესლა უნდოდათ, ისედაც გახარებულებს?! როგორ იცინოდნენ... ის სიცილი და სიხარული კარგად ახსოვს.

კირველი პროკლასია, ისით, რომელ სახლზე გააკრა? – რომელის მისი მომავალი მაულელი ცხოვრილი არია. მაგრამ პერ 17 ნებისაა და არ იცნობს. მოგვიანებით, სტულეტობისას უნივერსიტეტში შეხვება. მხოლოდ ეს მითხრა – გაშინევა მომენტი. მატი არაფერობდა.

სიყვარული

მისი ბავშვობისდროინდელი სიყვარული მძაფრი და შორეული იყო – „ყოვლად მოწყალეო ქალბატონო, თანაც შვებავ და თანაც ვაებად დატეხილო, სიყვარული და დაფასება სად მოგვლებიათ, განსაუთორებით თქვენს სამშობლოში, იტალიაში, და ერთი ქართველი-საც ღრმა და მუდმივი რჩმენით, მთელი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა თქვენისთანა ქალი, ვისი სახელი და გვარიც ცალ-ცალკე არ მოიხსენება, რადგან საერთოდ, ყველა-ფერში, საოცრად მთლიანი და ერთიანი ბრძანდებოდით, დიდო სენიორა ანნა... მანიანი!

ამ ქართველმა თავდაპირველად რომ შეგიყვარათ, შვიდიოდე ნლისა იქნებოდა მაშინ, და ყველაფერთან ერთად, რაღა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, თუ როგორია ის ყოვლად დამბნევი სიყვარული, მხოლოდ ამ ასაკისას რომ შეიძლება ჩამოგვენოდოს, კურთხევასავით მოხდეს, და „აი ია“-ს, „თოხი“-ას და „ეს ნუში კუხე“ – სთანა სიტყვების ჩხრევის ნაცვლად, სულ თქვენი სახე ედგა თვალნინ, დაბნეულიყო; რა მოსდიოდა არ იცოდა და, არც „დედა ენა“-ში არსად ენერა ძალიან ტევადი სიტყვა – „სიყვარული“ და სწორიც იყო ეს, რადგან ამ ყოვლად დაუკითხავად თავსდატეხილ ბედნიერებას, კეთილვინებოთ უნდა და, ჩვენ-ჩვენით მიეცვდეთ.

ყოვლად დამპყრობელო ქალბატონო, დიდო სენიორა ანნა მანიანი!..

ას ქართველი ცოტათი რომ მოგვიყვინჩილდა, რამდენი ნლით გადაავინყდით, ნარმოგიდენიათ? მაიც როგორ გაგიბედათ ეს, სრულიად იტალიის დედოფალსა და დამპყრობს, მფლობელს ამ ქვეყნისა, რომელსაც რომ ისეთი პირმშოები ჰყავდა... რომელი ას-ერთი.

ისევ შეგიდგათ, მერე.

არ გეგონოთ, რომ თავისი ქვეყნის, ანუ საქართველოს დიადი ქალები გადაავინყეთ. არა, ბატონი, იმას სხვებსავით ეამაყებოდა თამარ მეფე და ბევრზე მეტად ეთაყვანებოდა ქეთავან ნამებულს, იმას სულში ძალირ ჩაპეჭჭდვოდა ისევე როგორც მოყმის ამაღლებულზე ამაღლებული დედა, ვეფხვის დედასთან მისასამძიმრებლად მიმავალი, ასევ – კოტად უბრალო გოგო თებრონე, მხარკეიანი... მაგრამ სახე და, რაც მთავარია, მოძრაობები არ იცოდა მათიდა, უფანტაზოს, რა ექნა, საწყალს... – თქვენ შემოგიდგათ, მაგრამ ისე ძალიან, რომ განუყოფელ, ამაღლებულ ნაწილად რასმეს გთვლიდათ თავის თავისას, და ხანდახან კი ისე შეტოპავდა, თქვენზე თქმული რამ – პირში მიხლილ საკუთარ ქებადაც კი მიაჩნდა და, აი ეს-ისე, რომ როცა ერთმა დარბაზის წინ ნარმსდგარმა კინომცოდნებმ ერთ ძალიან გამოჩენილ კინოვარსკვლავზე თქვა „ის, რა თქმა უნდა, ვერაა ანნა მანიანი, მაგრამ უდიდესი მსახიობია“ – ამ ქართველმა ასეთი პირშიმთქმელური შექებისათვის, ერთი ისეთი დაირცხვინა? – განითლდა და თავი ჩაღუნა. ხოლო მაშინ კი რა დაემართებოდა, როცა თვით კოსმოსში, თავად კოსმოსში, სულ-სუ-პირველად სახელებიდან და გვარებიდან თქვენი სახელი და გვარი გაისმა, და ჩამოგვენოდა აქ, უერთლადკაცოდ ორიოდ საათით



იპოთეკური საბაზო

-1%

+4 უფასო საპანპო სერვისი

აიღოთ 1 სექტემბრისთვის იმოგებაური სასხი თიბისი ბანკი, გაფაინადათ 1%-ით რაჭაში და
მიმღებად საჩიპრის შემსრულებელ სარგებლივ სერვისები:

- ♦ საკრედიტო ბარათი შემცირებული პროცენტით **-1%**
- ♦ ინტერნეტ ბანკი
- ♦ ავტომატური კომუნიკაციური გადარიცხვები
- ♦ ვიზუალური მიმღებელი

თიბისი ბანკი გთავაზობს იმოგებაურ სასხავს განახლებაში პირობებით:

სესხის თანხა	\$2,000 - \$250,000
სესხის მაქს. ვადა	20 წელი
საპროცენტო განაკვეთი	14%-19% -1%
მინ. ყოველთვიური ხელფასი	\$400

დარჩენილ ადამიანებს, რადგანაც თურმე იმ მართლა კაცმა, იმ უდიდესი გამოცდისა და განსაცდელისას, თურმე: „დე, გაუმარჯოს მთელ კაცობრიობას, და ანნა მანიანის“. – ! – როგორი იქნებოდა იმ ქართველისათვის ამის გაგება: იქით – მთელი კაცობრიობა და აქეთ – თქვენ, ყოვლის დამპყრობელი სენიორა, დიდო ქალბატონო ანნა, მანიანი, და რაღაც გასაკვირი, კაცობრიობიდან ერთი ქართველისაც შედგომილი გული რომ დაიპყარით.“

ნაწყვეტი მოთხოვიდან „მხოლოდ ერთი კაცი“.

„გურამ, მე წაველი და მოველი“ – ეს თინათინის წერილი. მრბვალი, ლამაზი ასრებით გამოყვანილი, ოლოცლ სოფა აჩხა-ბაჩხა. ბავშვები ხომალური არის, ასე წერი. ბაბუას წიგნების კარალაზე გაუკრავს. ოლოცლებისას შემოვარი, წერილის შინაარსის გამო, მითხოვა: „ჰო, წავლა არ მიყვარს და რომ მოვიდა, ვთხოვა, მიეცირა – მოველი“.

პირველი პროკლამაცია, იცით, რომელ სახლზე გააკრა? – რომელშიც მისი მომავალი მეუღლე ცხოვრობდა. მაგრამ ჯერ 17 წლისაა და არ იცნობს. მოგვიანებით, სტუდენტობისას უნივერსიტეტში შეხვდება. მხოლოდ ეს მითხრა – მაშინვე მომეწონაო. მეტი არაფერი.

სტილი

ამ ბოლო დროს, რაღაც სხვანაირად წერს – არამისებურად, ძალიან განელილ-გაზრდილ-გართულებული სიტყვებით. მეითხველებს ხომ არ გვიბრაზდებით-მეთქი. „არა, რას ამბობთ, მაგიტო არა. სანდახან მოითხოვს. მაქვს ნაწარმოებები, რომელიც მარტივად იყითხება. თვითონ შეიძლება მარტივი არ იყოს, მაგრამ ნასაკითხად იოლია. ეს ისეთი პროცესია, ხანდახან დამძიმება სჭირდება. იმას არ ვამბობ, რომ სწორად ვაკეთებ. შეიძლება ზედმეტი მომდის. შეიძლება კი არა, ნამდვილად ზედმეტი მომდის. მაგრამ როცა ბოროტ ძალაზე ვწერ, ღვარჭნილად გამომდის. „ლოდი ნასაყდრალში“ შვიდი ფინალია – მესამეა – მტერმა იყითხა ის, მაგრამ რა ვქნა, ბოროტ ძალაზეა და ასე გამოდის. შემდეგ კი, ჩემთვის უფაქიზესი და ძვირფასი პროზა მოდის – ქრისტეზე ვწერ და აბა, ქრისტეზე ღვარძლიანად ხომ არ დავწერ?! სიფაქიზეც და სისპეტაკეც როგორი დაბალი სიტყვებია ქრისტესთან შედარებით, მაგრამ ვცდილობ. საერთოდ კი ძალიან ვწვალობ. გვერდი არა მაქვს, რომ ათჯერ,

თორმეტჯერ არ გადავწერო, ხანდახან ოცამდეც ავსულვარ. მერე უკვე ვატყობ, რომ ფუჭდება და თავს ვანებებს. ვჩერდები. ისე კი, მეხუთე-მეექვსე, მეათე გადაწერაზე სათქმელი ყალიბდება. ხასიათების დახატვისას კი, ერთი თუ წარმოვიდგინე, მერე უკვე ვიცი არამარტო ის, თუ ჩემმა პერსონაჟმა რა გააკეთა, არამედ ისიც, რა შეიძლებოდა გაეკეთებინა.

წიგნის გავლენაზე ჩამოვარდა სიტყვა და ჩემი მოვუყევი. უფრო ძნელ დროს, 1992-93-ში რომ გაზი გამოგვირთეს, შუქიც რომ არ იყო. სწორედ მაშინ, ხშირად და თი-

თქმის განუწყვეტლივ ვკითხულობდი რევაზ ინანიშვილის მოთხოვებს. ეს ვუთხარი და როგორ გაუხარდა?! ჩემი უფროსი მეგობარი იყო. კაცი ასე რომ ჰერვედეს თავის ნაწერებს, არ მინახავს და ერთი ამბავი გაიხსენა: „მივედი ერთხელ რეზოსთან. ვატყობ, დალონებულია. მიდი-მოდის, ვლაპარაკობთ. თქვა, შვილიშვილი სამი წლის გახდა და ვერ ლაპარაკობს. ექიმთან მისვლაც გადავადებინე. გული მისკდება შიშით. იმ დღეს ჯავრისა და-ვლიეთ. რამდენიმე დღის შემდეგ, ისევ მომინია მისვლა. ეზოში დამხვდა, შვილიშვილს ასეირნებდა. დამინახა ბავშვმა, დაქაჩა ბაბუას ხელზე და ანიშნებს ჩემზე – „პაპი, ლინო-ლინო“ – პირველად ამოილო ბავშვმა ხმა. რეზო გადაირია სიხარულისგან, შენ ამოადგმევინე ენაო. გავიხარეთ სუყველამ. იმ დღესაც დავლიეთ, ოლონდ სიხა-რულისა.“

ორი რამის მადლიერია ძალიან – იმის, მუსიკალური განათლება რომ აქვს, რომელსაც თვითონ დილეტანტურს ეძახის და არქეოლოგიის, რომელმაც საქართველო გააცნო. 30 ექსპედიციაში მონაწილეობდა. ეს კი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში გატარებულ მრავალ წელიწადს ნიშნავს. დაოჯახებამდე, ნელიწადიდან ათი თვე ექსპედიციაში იყო. ამიტომ მეგობრები თითქმის მთელ საქართველოში ჰყავს. ბევრი ადგილი გამორჩეულად უყვარს, მაგრამ განსაკუთრებით კვეტარი. როცა ისეთ ხასიათზეა, რომ თვალის გახელა და ვინმეს ნახვა არ უნდა, კვეტარზე მაინც ვერასოდეს ამბობს უარს.

>>> გაგრძელება გვ.152

შეამოწმე მხედველობა

ციფრული აკარატების ცენტრი

უ ყ პ რ ს

ბ ქ რ ნ ჰ

ს ჯ პ რ ბ

ყ ხ ბ ს ჭ

ვ რ ბ რ გ

შ რ ი ჯ ვ

Kodak



Kodak EasyShare P880



Kodak EasyShare Z850



Kodak EasyShare V570



Kodak EasyShare C653

„უცირკობა“,
როგორც
კომპლექსი,
ან
ლილამიწის
საუკათასო მოუ

ავტორი: სანდრო კაჯულია





იმართლე რომ გითხრათ, ბავშვობაში ცირკში არც ისე ხშირად დავდიოდი. დავდიოდი მანამ, სანამ მამაჩემს სამსახურში „ამხანაგად“ მოიხსენიებდნენ; სანამ ჩემს სახლში სიგარეტ „კოსმოსის“ კოლოფებით ვთამაშობდი, და სანამ ტელევიზორში საინფორმაციო გადაცემა „ვრემიას“ დაწყებას მეც უფროსებთან ერთად სულგანაბული ველოდი.

ჩემი ბავშვობა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა მშობლებს ბავშვები ნავთქურებთან და სანთლებთან ახლოს ჰყავდათ გადამალული, გარეთ რატომდაც მუდმივად ზამთარი იყო, და ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით, სათამაშოდ გასულს, ეზოში ბავშვები აღარ მხვდებოდნენ.

თუმცა, მიუხედავად ამისა, ცირკი ჩემთვის მაინც ყოველთვის ზღაპრულ სამყაროდ რჩებოდა. განსაკუთრებით მოგზაური ცირკი იწვევდა აღფრთოვანებას. სულ მინდოდა, რომ ჩვენს ქალაქში, რაც შეიძლება ხშირად გამოჩენილიყო ცხენებშემული ვაგონები, გასაძლები კარვებით და უცნაური წარმოდგენებით. მაგრამ როგორც დასაწყისში ვთქვი, ასეთი რამ არასდროს მინახავს.

ბავშვობის შემდეგ, დრო სწრაფად გავიდა და როცა ქალაქში მდგომარეობა მოწვენებითად მაინც დამშვიდდა, უკვე იმასაკის ვიყავი, რომ ცირკში სიარული არაკორექტული იყო. ასე მაშინ ვფიქრობდი, მაგრამ ახლა სხვა დროა. საუკუნე შეიცვალა და აზრიც შევიცვალე. ცირკი ჩემთვის კვლავ ზღაპრულ სამყაროდ რჩება.


ცირკის წარმოშობით დაინტერესება ჩემი წარსული სურვილების ახდენა და უცირკობის იდიოტური კომპლექსისგან გათავისუფლებაა.

ისტორია

ისტორიის გარკვევა რთული აღმოჩნდა იმის გამო, რომ არ არსებობს პირველწერობი და არც რაიმე სახის დოკუმენტები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად დაადგენდნენ და დაადასტურებდნენ ცირკის წარმოშობის მიზეზს ან ზუსტ თარიღს. მაგრამ მისი, როგორც გასართობი წარმოდგენის ცნება, ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში არსებობდა. ამბობენ, ეგვიპტელები გასართობ წარმოდგენებს გარეთ, უმეტესად მონების ქალაქებში აწყობდნენ. ჯერ მთელი დღეები პირამიდებს აშენებდნენ, მერე კი ღია ცის ქვეშ, აკრობატულ ილეთებს ასრულებდნენ.

თუმცა, ეგვიპტური ცირკის ნაკლებად მჯერა და ამიტომ ცირკად ვერ მივიჩნევ. მოკლედ, მივდივართ წინ. სავარაუდოდ, ქრისტეს შობამდე მე-2 საუკუნეში ვჩერდებით – საბერძნეთსა და რომში... რომი ჯობია.

ეგვიპტურთან შედარებით, აქ ბევრად უფრო დახვეწილ რამეს



მოგზაური ცირკი - ჩემი დაბრუნების
მიზანი, ბავშვობის დროისთვის
გაღიარები წარადგინებული იყო. რომელიც
გვიჩვის, რომ არასდროს გაქრება,
მაგრამ გადის დრო და... გიშირს იმის
დაჯერება, რისიც ზოგჯერ საკუთარი
თვალით ნანახვა მიზადას გვიროდა.



**გულდასანუვებია, რომ ჩვენ არს
გამლილი კარავი გვინახავს და არს
შეოველებით გადაჭალილი გალია-
ეტლები; არ გვინახავს ლია ცის ქვეშ
მოშეკვავა ლამაზი ქალები და არს
ვირჩეობი აკრობატები. სამღლიანი
ლაპანაკები და ქალაქში გაკრული
ლამაზი აფიშები.**

ვხვდებით. თვითონ სიტყვაც შესაბამისი ხდება — „წრე“ ანუ ლათინურად — „Circus“. მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ეს ის ცირკია, რომელიც ასე ძლიერ მენატრება. ყველაფერი წინ არის. უბრალოდ, იქამდე ხომ უნდა მივიდე... ერთი სიტყვით, წრე. აქ ვერ იპოვით დიდ განსხვავებას. რომაული ცირკი, ხშირ შემთხვევაში, 1000 ადამიანზე გათვლილი ამფითეატრებია. ელინისტური ხანის ცირკი რომში, საპერძეთში, შემდგომში ბიზანტიაში – თითქმის ერთნაირი იყო, წარმოდგენებიც დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგრამ რომზე იმიტომ ვწერდები, რომ აქ იქმნება ყველაზე დიდი საცირკო არენა, რომელსაც Circus Maximus (ლათ. უდიდესი არენა) ეწოდა. Circus Maximus – 1500 ადამიანზე მეტს იტევდა. ეს იყო წრიული არენა, სადაც უმეტესად ეტლშებმული ცხენების შეჯიბრი იმართებოდა. მერე ნელ-ნელა, დროის სვლასთან ერთად, ეტლები მოსცილდა, ცხენებზე ადამიანები შემოსხდნენ და წრიულ არენაზე, დიდი აუდიტორიის წინაშე, საჩვენებელ გამოსვლებს აწყობდნენ.

ნუ გეგონებათ, რომ ადრეული რომაული ცირკი მხოლოდ ცხენთა ჯირითით შემოიფარგლებოდა. არა, ის იყო იმ

დროისათვის ყველაზე განვითარებული და ყველაზე მრავალფეროვანი. დროთა განმავლობაში, არენაზე, სავარაუდოდ, ცუდად გაწვრთნილი ცხოველები და საქმაოდ კარგად გაწვრთნილი ათლეტები გამოჩნდნენ, რომლებსაც უფრო კარგად წარმოიდგენთ, თუ გეტვით, რომ ისინი გლადიატორები იყვნენ. დიახ, ეს ზუსტად ის ადამიანები გახლავთ, რომლებიც საცირკო წარმოდგენების შემადგენლობაში შედიოდნენ. Circus Maximus-ის არენაზე ეს ადამიანები თავისუფლებისათვის სიკვდილს ებრძოდნენ. ზოგჯერ იმარჯვებდნენ, ზოგჯერ მარცხდებოდნენ, თუმცა ცირკი და მაყურებელი ორივე შემთხვევაში გამარჯვებული რჩებოდა.

როგორც ყველგან, მაშინაც და დღესაც, ბურჟუაზისა და უთანასწორობის დონე თვით ცირკსაც შეეხო. პირველიდან მეოთხე რიგის ჩათვლით, მხოლოდ თანამდებობის პირები სხდებოდნენ, მათი სოციალური სტატუსის მიხედვით. მერე კი სხვა დანარჩენი. არა, მეშლება, მეხუთე რიგი თავისუფლებისათვის მებრძოლი და უბრალო ცირკის მსახიობების ახლობლებისათვის იყო განკუთვნილი; ე.ი დამშეულ ცხოველებთან მებრძოლი გლადიატორის ახლობელი მისი მეგობრის სიკვდილს უფრო შორიდან ხედავდა, ვიდრე ქალაქის მმართველობის რომელიმე, თუნდაც უბრალო ჩინოვნიკი. თუმცა, ამის მიუხედავად, გენდერული თანასწორობა საცირკო წარმოდგენის მაყურებელთა შორის იმთავითვე დაცული იყო. ეს გახლდათ ერთადერთი ადგილი, სადაც ქალებს და მამაკაცებს ერთდროულად შეეძლოთ დასწრება.

Circus Maximus-ის მერე იყო Circus Flaminius, მერე Circus Neroni და ბოლოს, Circus Maxentius-ი, რომელიც, სხვათა შორის, მე-19 საუკუნის ბოლოს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ცირკის პოპულარობაც ეცემა. მისი, როგორც გასართობი ადგილის როლი, სადაც ყველა ფენის ადამიანი იყრიდა თავს, ნელ-ნელა სუსტდება. აკრიბატული ილეთების შესასრულებლად, სულ უფრო ნაკლები ადამიანი იცლის.

მას შემდეგ ასწლეულები გავიდა...

მოგზაური ცირკი

(„ცირკაჩები“)

მოგზაური ცირკი. ჩემი დაბრუნების მიზეზი, ზღაპრები და ბავშვობისდროინდელი ბედნიერი წუთები. შეგრძნებები, რომლებიც გვიჩნია, რომ არასდროს გაქრება, მაგრამ გადის დრო და... და... გიჭირს იმის დაჯერება, რისიც იმ დროს, ზოგჯერ საკუთარი თვალით ნანახზე მეტადაც გჯეროდა.



მოგზაური ცირკი დავიწყებულის გახსენების, ძველის დაბრუნების და ახლის შექმნის საბაბი გახდა.

ანტიკური ცივილიზაციიდან, როგორც ხედავთ, შუა საუკუნეებში მივდივართ, სადაც ჩვენი სანაქებო ევროპა არცთუ



CASINO DE PARIS

16, RUE DE CLICHY
13&15, RUE BLANCHE




TOUS LES SOIRS

8 h 1/2

LES FRÈRES

RASSO

CIRCUS



პამბო კანალის ქალაქ
 ოჩიარიოს რკინიგზის
 საფერავი ტრანისულად
 დაიღუა... იმ ცლის გაზეთიაზა
 ცხობა პამბოს სიკვდილის
 შესახებ პირველ
 გვერდზეც კი დაბაზლეს.
 85-ში დაიღუა
 მსოფლიოს ყველაზე
 კეთილი და ყველაზე
 გონიერი სპილო –
 პამბო!...



ისე კარგ მდგომარეობაშია (ოლონდ, რასაც ახლა გიამბობთ, ამის გამო არა), მის მიწაზე „ცუდი“ ხალხი ჩნდება, რომლებიც ერთ კარგ საქმეს აკეთებენ. „ცირკაჩობენ“! (ასეთი განმარტება 1869 წლის გაზეთ „დროებაში“ ამოვიკითხე, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისში ჩამოსული მოგზაური ცირკის ამბავს იტყობინებოდა).

ეს მოგზაური „ცირკაჩები“ — უბრალო ბოშები გახლდათ. მოგზაურობით ეგენი ისედაც სულ მოგზაურობდნენ, ქურდობითაც სულ ქურდობდნენ და ცივილიზებული ქალაქებს მოსახლეობაშიც მუდამდელე ზიზღისა და შიშის სტერეოფიპულ ასოციაციებს იწვევდნენ. მკვლევარი რომ ვყოფილიყავი, ცირკის ისტორიის შესწავლას ალბათ კიდევ ბევრ დროს დავუთმობდი; ბოშური ცირკის ფენომენსაც და, საერთოდ, იმდროინდელ სოციო-პოლიტიკურ ვითარებას. თუმცა რადგან ეს ასე არ არის, დასკვნებისა და მიგნებების გაკეთება, ვფიქრობ, გამიჭირდება, თუმცა რაც ძველ დოკუმენტებსა და ისტორიულ წყაროებში ვიქექე, ერთ აზრს გაგანდობთ:

იმის გამო, რომ ბოშების, როგორც მოხეტიალე, უსარგებლო, გაურკვეველი ერის ავტორიტეტი, იმთავითვე წახდებილი იყო. მათ ერთი, საკმაოდ გონებამახვილური (მათ ეს გონებამახვილობა არასდროს აკლდა, და არც ახლა აკლია) გამოსავალი მოიგონეს... სიმღერითა და ცეკვით შედიოდნენ ქალაქებში. ხალხს ართობდნენ, შუა საუკენეების ევროპელი გლეხისათვის კი ეს სანახაობა, უდავოდ, სახალისო მოვლენა იქნებოდა. სულ ცოტა ხანში კი, მათ ცხოველების მოთვინიერება, უონგლიორიბა და საცირკო ხელოვნების სხვა ილეთების შესრულება დაიწყეს. ისინი უკვე დასებად დადიოდნენ და არა ჯგროდ.

რამდენიმე ათწლეულის (20-25 წლის) შემდეგ, უკვე მთელმა ევროპამ იცოდა, რომ თუ ბოშები მათ ქალაქში ჩავიდოდნენ, მაშინ სადმე, ქალაქის გარეუბანში, ისინი აუცილებლად გაშლიდნენ კარვებს, ეტლებითა და ურმებით ჩამოიყანდნენ უამრავ ცხოველს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც შეიძლება პირველად ენახათ... ბავშვები ბოშებს ისე ელოდნენ, როგორც ახლა სანტა-კლაუსს ელოდებიან.. იქაური ბავშვები სულ სხვანაირად ელოდებიან... მოკლედ, მოგზაურმა ცირკმა რომაული გამქრალი ცირკის აჩრდილი და ნისტალგია ერთდროულად გააცოცხლა.

გვულდასანწყვეტია, რომ ჩვენ არც გაშლილი კარავი არ გვინახავს და არც ცხოველებით გადაჭედილი გალია-ეტლები; არ გვინახავს ღია ცის ქვეშ მოცეკვავე ლამაზი ქალები და არც ვირტუოზი აკრობატები. სამდლიანი დაბანაკებები და ქალაქში გაკრული ლამაზი აფიშები, სენსაციური წარწერებით:

„ურჩხულთა სამყარო!“
 „სასიკვდილო გასროლა“
 „პირველად ქალაქში!!! – ადამიანი მოჩვენება“;
 ან „დედამიწის საუკეთესო შოუ“.





ნაყინი "კამპარა" – ის რაც გსენს!



CAMPARA CAMPARA CAMPARA CAMPARA CAMPARA CAMPARA



ამ უკანასკნელზე უნდა გითხრათ, რომ თუ რომელიმე თქვენგანი ოდესმე ცირკზე საუბარს გადაწყვეტთ, მაშინ იცოდეთ და არ დაივიწყოთ, რომ ეს შოუ, რომელიც მე-19 საუკუნის 80-იანი წლებში შეიქმნა, იმ დროს მართლაც საუკეთესო იყო.

უფრო ნათელი რომ გახდეს, გეტყვით, ეს ცირკი უნიკალურობას ერთ ჩვეულებრივ სპილოს უნდა უმადლოდეს, რომელიც სინამდვილეში ჩვეულებრივი არ ყოფილა.

საქმე სპილო ჯამბოს ეხება. თუ არ იცით, ახლა გაიგებთ; ხოლო თუ იმ ასაკის შვილები გყავთ, რომლებსაც საუბარი შეუძლიათ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ – თქვენმა ბავშვმა ამ ლეგენდარული სპილოს სახელი უკვე იცის.

ჯამბო აფრიკული სპილო იყო, რომელიც 1861 წელს სუ-

ც უკვე მომზადება,
ცირკი ამ საუკუნიში
ხელოვნებაა. მას ჰყავს
ისეთივე ვარსკვლავები,
რომელს, მაგალითად,
იმდროინდებ თეატრს ან
ესტრადას...



ASTLEY – ხილქის „მამა“

დანში დაიბადა. 64-ში ის მშობლიურ მიწას მოსწყვიტეს და საფრანგეთში გადაიყვანეს, საიდანაც ერთი წლის შემდეგ, ჯამბო ლონდონის ზოოპარკში აღმოჩნდა (სახელიც სწორედ აქ შეარქვა ზოოპარკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა). ჯამბომ სახელი საკუთარი კეთილშობილებითა და ცხოველი-სათვის გასაოცარი გონიერებით გაითქვა. ჯამბო ლონდონში ყველას უყვარდა... თუმცა მას შემდეგ, რაც 1882 წელს იგი ცირკის ხელმძღვანელმა ბარნუმმა იყიდა, იგი მთელს ევროპას და არამარტო ევროპას შეუყვარდა. ბარნუმი სწორედ ის ადამიანი იყო, რომელმაც „დედამიწის უდიდესი შოუ“ შექმნა. მისი ცირკი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მართავდა წარმოდგენებს და საკუთარ წარმატებითაც, თუმცა მას შემდეგ, რაც მან ცირკის არენაზე ჯამბო გამოიყვანა, წარმატებები ერთიორად გაიზარდა.

ამ ისტორიის მთელი ხიბლი და მიზიდველობა ჯამბოს გასტროლს უკავშირდება. ერთ-ერთი გასტროლის დროს, რომელიც 1885 წელს კანადაში მოეწყო, ჯამბო კანადის ქალაქ ონტარიოს რეინიგზის სადგურში ტრაგიკულად დაიღუპა... იმ წლის გაზეთებმა ცნობა ჯამბოს სიკვდილის შესახებ პირველ გვერდზეც კი დაბეჭდეს. 85-ში დაიღუპა მსოფლიოს ყველაზე კეთილი და ყველაზე გონიერი სპილო – ჯამბო!... ისე, ცნობისათვის, არსებობს ჯამბოს გარადაცვალების ერთი უცნაური ვერსია. იმ დღეს ცირკთან, ჯამბოსთან ერთად, 6 თვის პატარა სპილოც ჩაიყვანეს. ვაგონებიდან მათი ჩამოყვანის დროს, უმცროსი სპილო, რომელსაც ტომ-ტუმბი ერქა, რელსებზე გადავიდა, ჯამბოში დედურმა ინსტინქტმა გაიღვიძა და პატარის გადასარჩენად გაიქცა. სამწუხაროდ, ამ დროს მატარებელმა ჩაიქროლა და...

მისი გული გამოსაკვლევად Cornell University-ს გადაეცა, მისი ჩონჩხი – ნიუ იორკის ნაციონალურ მუზეუმს; ხოლო ქალაქ ონტარიოს ცენტრალური რეინიგზის სადგურთან თუ მოხვდებით, აუცილებლად შენიშნავთ საბრალო ჯამბოს დიდ ქანდაკებას, რომელიც ამ ქალაქის სიმბოლოდ იქცა.

ფილიპ ასტლის სახელი ამ სფეროში ჩახედული ნებისმიერი ადამიანისთვის ცნობილია. ეს იყო ინგლისელი გადამდგარი მაიორი, რომელიც ცხენზე ჯირითის ხელოვნებას საოცრად კარგად ფლობდა. ინგლის-ინდოეთის ომის შემდეგ, 1768 წელს ასტლი ლონდონში ხსნის სკოლას, სადაც ცხენზე ჯირით ასწავლის. პარალელურად, იგი ხვეწს საკუთარ გამოცდილებას და სხვადასხვა აკრობატული ილეთის შემუშავებას იწყებს. 1787 წელს ასტლი ხსნის პირველ ამფითეატრს, რომელსაც ცირკს არქმევს და რომლის წარმოშობაზეც უკვე მოგახსენეთ. არენას წრიული ფორმა აქვს.

თავდაპირველად, ასტლის მიერ აგებული ცირკის არენის დიამეტრი 19 მეტრი იყო, შემდგომში მან ეს მანძილი 13 მეტრამდე შეამცირა, რადგანაც ეს სწორედ ის საუკეთესო ფართობი იყო, სადაც ცხენის მართვა ყველაზე ადვილად შეიძლებოდა. 13 მეტრიანი არენა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტად იქცა და მას შემდეგ აღარც შეცვლილა. ასტლიმ მოგვიანებით არენას შემაღლებული პლატფორმა დაუმატა, შემდგომში კი ღია ამფითეატრი სახურავითაც გადახურა. მერე მაყურებელთა ადგილები ორჯერ გაზარდა და საბოლოოდ შეკრა ის ჯადოსნური წრე, რომელიც ასე ძლიერ მენატრება... გავიდა ხანი და ასტლიმ ცირკს გაწვრთნილი ძაღლები და აკრობატები დამატა, მერე მასხარები და საბოლოოდ, მე-18 საუკუნის მიწირულს, ცირკის საჩვენებელი რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი გახდა.

ასტლიმ სულ მაღალ დიდი პოსულარობა მოიპოვა. იგი ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად იქცა. ასტლი თვით საფრანგეთის მეფე ლუი XV-მ მიიწვია ვერსალში. მსოფლიოს მასშტაბით, ასტლიმ 18 ცირკი გახსნა. მათ შორის პარიზში, ვენაში, ირლინგტონში და ა.შ. ასტლის ცირკებში არასდროს გამოჰყავდათ გარეული ცხოველები – ეს თვით ასტლის მოთხოვნა ყოფილა, რადგან მას უზომოდ უყვარდა ცხოველები; ცხენებს კი ისეთივე მსახიობებად მიიჩნევდა, როგორც ადამიანებს. ამიტომაც, მთელ მის წარმატებებს მხოლოდ ცხენებს მიაწერდა. დაუბარებია კიდეც, რომ გარდაცვალების შემდეგ, ჩემს საფლავზე ცხენის ფიგურები ამოკვეთეთ, ასე უფრო მშვიდად ვიქნებიო. თუმცა, არა მგონია, რომ ეს სურვილი მისთვის შეესრულებინათ, იმიტომ, რომ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წელიწადში, ცირკი ცხოველების გამოყენება დაიწყეს. იქედან დაწყებული კი, მთელი წარმოდგენის აქცენტი სწორედ ცხოველებზე კეთდებოდა.

კათილე ლევანიშვილი

პრეზენტაცია
ფოტო: ლევან გურიას ფოტო





როდენის ქანდაკებას ჰგავს –
მოუხეშავს და ძლიერს. ძა-
ლიან, ძალიან ღონიერია. პროპორციე-
ბით ჰერაკლეს ჩამოჰგავს. კეთილია და
ზედმეტად მორიდებული.

მუსიკას, რიტმს განწყობის მიხედვით
ირჩევს. მუსიკალურ მიმდინარეობებში
გარკვევა კარგა ხანს უჭირდა.
ვარჯიშისას ტექნის, ტრანსს უსმენს,
სხვა დროს – უფრო მშვიდ მუსიკას.

აფხაზეთში, გულრიფშის რაიონის
სოფელ ქვემოფშაფში დაიბადა და გაი-
ზარდა. ბავშვობაში მწყემსობაზე ოცნე-
ბობდა, მერე და მერე ოცნებებმა ტრანს-
ფორმაცია განიცადა.

13 წელიწადია, რაც თბილისში ცხო-
ვრობს, მიზანი ბევრი აქცეს, ნატვრა კი
ერთი – სტუმრად ყოფნა გამიგრძელდა,
ჩემს მშობლიურ კუთხეში – აფხაზეთში
დაბრუნება მინდაო.

ელდარ კურტანიძე იმდენად საინტე-
რესო ადამიანია, რომ მისი სპორტსმენო-
ბის შესახებ იქნებ არც არაფერი მეთქვა,
ჭიდაობა მისი ცხოვრების განუყოფელი
ნაწილი რომ არ იყოს.

მსოფლიოს ორგზის, ევროპის ხუთ-
გზის, ოლიმპიური თამაშების ორგზის
ბრინჯაოსანს და კიდევ არაერთი ტი-
ტულის პატრონს, მრავალი წელიწადია
ვიცნობ, მაგრამ მასთან საუბარი თვით-
დან მაინც მძიმედ წავიდა, მერე და მერე
კი, უფრო გაიხსნა და ალაპარაკდა, თუმ-
ცა ეტყობოდა, რომ რაღაც ბოჭავდა. მო-
გვიანებით მითხრა კიდეც, “დაგრუზუ-
ლი” ვინმე ვარო. მე კი ქართველი ფალა-
ვანი რაღაცით კეთილ დევს მაგონებს.

ჭიდაობას რა უნდა...

, ძლიერი ვიყავი. ჩემს ფიზიკურ ძა-
ლაზე მეზობლებიც ლაპარაკობდნენ.
ამბობდნენ, ლუკასთვის ძალისმიერი
სპორტი ზედგამოჭრილი იქნებაო. ჩემი
ფიზიკური მონაცემების მიუხედავად,
ჭიდაობაში ყველა მიგებდა, მე კი უინი
და გამარჯვების წყურვილი მკლავდა.
ვიცოდი, რომ შიშველი ხელებით ვერა-
ფერს გავხდებოდი. საჭიდოო ოსტატობის
დაუფლება იყო საჭირო.

ადამიანი, რომელსაც
შიშის ზრდნობა
არ აქვს, საშიშია.]

ერთი სიტყვით, ვინც მე-
რეოდა, მათთან გამკლავების
წყურვილმა სპორტულ დარ-
ბაზამდე მიმიყვანა. იქ ჩემი მე-
ზობელი ბიჭებიც დადიოდნენ.

ცხრა წლის ვიყავი, როდესაც
გულრიფშის რაიონში საჭიდაო
სკოლას მივაკითხე, სპორტული
დარბაზი ეკლესიაში იყო – ქვედა
სართულს საწყობად იყენებდნენ,
მეორეზე კი ხალის გაეშალათ.

მას შემდეგ, რაც ჭიდაობას ვეზია-
რე, გამიჩნდა მიზნები, რომლებიც
დროთა განმავლობაში მატულობდა
და მატულობდა, მანამდე კი ის ბიჭები
დავამარცხე, რომლებიც სისხლს მიშ-
რობდნენ.

თავდაპირველად მიზნად სპორტის

დარს აფრთხილებს. ამასობაში დარბაზი ხმაურისგან ლა-
მის ჩამოიქცეს. მიუხედავად ამისა, კურტანიძე სიმშვიდეს
ინარჩუნებს და მეტოქეს გასაქანს არ აძლევს. შეხვედრა
ხეირიანად დასრულებულიც არაა, რომ ქართველები
გამარჯვებას ზეიმობენ. ელდარი მუხლებზე ეცემა. ოც-
ნება ასრულებულია. ქართველი ფალავანი მსოფლიოს
ჩემპიონია!

„რომ მცოდნოდა, მიზნის მისაღწევად როგორი
ჯოჯოხეთური გზა მელოდა და რამდენ რამეზე მო-
მინებდა უარის თქმა, ალბათ, გულიც გამისკდებო-
და. შეუძლებელია, ადამიანმა ყოველივე წარმოიდ-
გინოს და შემდეგ თქვას, მე ამას შევძლებ, ამას გა-
ვაკეთებ. ამ ხნის განმავლობაში, მართლაც ბევრი
რამ გადავიტანე: აფხაზეთის ომი, ფუძის მოშლა
და დაკარგვა, „გოლგოთას გზა“, რომელიც ჩვენ
გამოვიარეთ, შემდგომ სამოქალაქო დაპირის-
პირება, განუკითხაობა. მიუხედავად ამისა, ხე-
ლებით, ფეხებით, კბილებით ჩემი ოცნებისკენ

კურტანიძემ ბალაშვილა სხოვრების დინების სანიცაალიეროდ ეცხო. მანამდე კი, ტიბაანის ბერთა
მონასტრის წინამდლვარს, მამა სერაფიმეს გააცილო ის, რაც გულს უღრღილა და წლების გამავლობაში
დაგროვილი ცვირთისგან გათავისუფლდა. ელდარი ლუკალ გადაინათლა და საკუთარ თავს უთხო:

დღეიდან ახალ სხოვრებას ვიწყებ!

ოსტატობის კანდიდატობა მქონდა, მერე სპორ-
ტის ოსტატობისა; როდესაც ამას მივაღწიე,
საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონონო-
ბა მომინდა. მართალი გითხრათ, ზუსტად არ
ვიცოდი, რას ნიშნავდა მსოფლიოს ჩემპიონობა.
მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ეს ძალიან მაგარი რამე
იქნებოდა.

თეირანი. 2002 წელი. პირთამდე გადაჭედილი 20-
ათასიანი დარბაზი. ფინალში, მასპინძელი ალირეზა
ჰეიდარის სახით, კურტანიძეს ძალზე ძლიერი მეტო-
ქე ჰყავს. როთულია გაუძლო ფსიქოლოგიურ ზეზოლას
მაშინ, როდესაც ყველა შენს ნინააღმდეგაა, მაგრამ
ელდარ კურტანიძე ყველას უმტკიცებს, რომ მისი და-
მმარცხებელი იმდღეს არავინაა.

პაექრობის დასრულებამდე ათი წამით ადრე, კურტა-
ნიძე 2:0-ს იგბას. ჰეიდარმა პოლოს იძალა და ქართველს
ქულა გამოსტაცა. მსაჯი დამატებით სამ წუთს ნიშნავს.
ირანელი პროფესიონებას ცდილობს. რაოდენ გასაკვირიც
არ უნდა იყოს, მსაჯს ეს შეუმჩნეველი არ რჩება და ჰეი-

მივიწევდი. რომ არ მებრძოლა, დღეს
ლუკა კურტანიძე არავინ არ იქნებო-
და. უფლება არ მქონდა, უკან დამეხია.
ჩემი საქმე უნდა მეკეთებინა“.

სიდწის ოლიმპიური თამაშებიდან
ბრინჯაოს მედლით დაბრუნებულს,
უბანში ტრანსპარანტი დავაზვე-
დრეთ: „ელდარ, შენს ბრინჯაოს
ჩვენთვის ოქროს ფასი აქვს!“ დარწ-
მუნებული ვიყავი, რომ მთელს ქუ-
ჩაზე გადაჭიმული ტრანსპარანტი
ელდარს უნდა შეემჩნია, მაგრამ
დანამდვილებით არაფერი ვი-
ცოდი და ცნობისმოყვარეობა
მკლავდა.

მოგვიანებით, როდესაც ჩვე-
ნი ნახელავი ყველას დაგვა-
ვიწყდა, კურტანიძემ ერთ-ერთ
ინტერვიუში თქვა, აეროპორ-





ტიდან შინისეკენ მიმავალი ქუჩას რომ ავუყევი, თვალში რაღაც უჩვეულო მომხვდა. მანქანა დავამუხრუჭე და უკან დავხიდე, ხომ არ მომერჩვნა-მეოქი – ავიხედე და...

ჩვენდა უზებურად, პატარა დევს თურმე გული ავუ-
ჩუყეთ. არადა, რატომძლაც, ზოგი მას გულჩათხობილ
კაცად, ზოგი კი ლამის ცივსისხლიან, უგრძნობ ადამია-
ნად თვლის.

ჩემს უბანში ახალი გადმოსული იყო, როდესაც რა-
ლაც საქმეზე შინ ავაკითხე.

– მაშ, “ნახალოვენი” გახდი, არა?

— სადაც კაცი ხეს დარგავს, იქედან როგორ უნდა წავიდეს?! — მითხრა ელითარმა.

საკუთარი სახლის წინ, ქუჩაში, თუთის ხე დაერგო, მაგრამ მაინც წავიდა.

თავს რატომდაც ყოველთვის დავალებულად
მიიჩნევს. ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ამას
ამბობდა და ახლაც იმეორებს, რომ ხალხის გალი

თქოს ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი; სახელი გადაირქვა – ახლა ის ლუკაა – და სხვა, უფრო მძიმე ყალბებორიაშიც გადავიდა.

„ყველაზე ტკბილად ბავშვობა
მაგონდება. მაშინ სრულიად თა-
ვისუფალი ვიყავი და ყველაფერს
მპატიონბდნენ. არც ომი იყო და არც
გაჭირვება, ბავშვების საფიქრალი
მხოლოდ ის იყო, სად და როგორ
გვეთამაშა. მეც, ყველა ბავშვივით,
ცელქი ვიყავი, თან ძალიან. მიყვარდა
მეზობლის ბალებში გადაპარვა. ამი-
ტომ ყველა ხილის გემო კარგად ვიცი.
კიდევ ძალიან მიყვარდა მდინარეზე
სიარული, თევზაობა, ზღვის ტალღებ-
თან ჭიდოლი. ასეთი გატაცება ერთხელ

„ალგათ, ბევრი ფიცრობს, რომ ასთი ფიზიკური ძალის პატრონი რაცომლაშ უხეშის უდეა ვიყო, მაგრამ მირწმუნოთ, ასე არაა. ალგათ, იმ ზღაპრის გმირს ვგავარ, რომელიც ჯერ საქათარ თავში ებრძვის ბოროტებას და მირთ სხვაგან”.

აქვს. ეტყობა, ვიდაცებმა მისი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს და სახლი პირწმინდად გაუძარცვეს. ალბათ ამიტომაც გადავიდა სხვაგან.

განვლილ ცხოვრებას სამ ნაწილად ყოფს. პირველი იყო ცნობისმოყვარე ბავშვობა – უდარდელი, ლალი. მეორე ჰეგავდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას – იყო აფხაზეთის ომი, რომელშიც მამა დაკარგა. ამას მოყვა წლები, როცა თბილისში გადმოსახლებული, წელში გამართვას

ცდილობდა, თავდაუზიოგავად
ვარჯიშობდა და მსოფლიოს ერთ-
ერთი საუკეთესო სპორტსმენი
გახდა. ამჟნის 2004 წლის ოლიმ-
პიური თამაშების შემდეგ, თი-

კინალამ ძვირი დამიკვდა. ტალღამ ჩამითრია და რომ არა უფროსი ბიჭები, არ ვიცი, რა მოხდებოდა. ერთი სიტყვით, სრული თავისუფლება მქონდა (პალობისთვის).

ნარჩინებული მოსწავლე ვიყავი-მეთქი, რომ
ვთქვა, ნამდვილად მოგატყუებთ. თუმცა ეს ყველა
საგანს არ ეხება. სხვა საგნებისგან განსხვავებით,
ბუნებას, ისტორიას, ასტრონომიას და ანატომიას
უფრო ერთალობდი. საშინლად ვერ ვიტანდი ალგე-
ბრა-გეომეტრიასა და ფიზიკას. თუმცა იმდენი ვიცი,
რამდენიც ჩეულებრივ ადამიანს ყოველდღიურ
(კხოვრიბაში სჭირდება).

საერთოდ, მასწავლებელზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მოგანვდის ინთორმა/კიას.

მათემატიკა სწორედ მასინვლებელმა შემატულა. ერთ
დღეს მითხრა, რომ გაკვეთილს თუ კარგად ჩამაპარებ,
ხუთიანს დაგინერო. მეც მთელი ღამე თავდაუზოგავად
ვმეცადინეობდი. მეორე დღეს კი, როდესაც გაკვეთილი ჩა-
ვაპარე, ნიშანი მაინც არ დამინერა. სამაგიროდ, ხუთიანები

>>> የኢትዮጵያውያን ቁ3.152





ფარისევლობის მოქადალებული ხიზლი (კანი – 2006)

ავტორი: გიორგი გვასარია
ფოტო: რომელი



მინილიალოგები ითხოვ სალიჩასთან, სეასის დაცუბაზე ირთი საათით აღრი:

(ფრანგულად)

— რაზეა ალმოდოვარი?

— გოგო კლავს მამას, რომლის ცხე-დარს დედამისი დამარხავს. ამასობაში გაცოცხლდება ბებია, რომელმაც დიდი ხნის წინ, თავისი ქმარი მოკლა.

— ფანტასტიკაა?

— არა, ნეორეალისტური კომედია”.

(ფრანგულად)

— ელტონ ჯონი ნახე?

— მის ქმარს მოვკარი თვალი

— ქმარი არაა, უფრო ცოლი უნდა იყოს.

— რა იცი? — მამიდაჩემმა წაიკითხა სადღაც”.

(ფრანგულად)

— ქეით ბლანშეტს ეგ კაბა გუშინ უყიდია, რომელილაც აქაურ ბუტიკში.

— რა სისულელეა, შარშანწინაც იგივე ეცვა.

— შარშანწინ შარვალში არ იყო? —

წითელი შარვალი იზაპელ იუპერს ეცვა, ნუ ურევ ყველაფერს”.

(რუსულად)

— გუშინ “Du Cap”-ში წაომი ქემფებელმა დაბადების დღე გადაიხადა. პრიუს უილისი იყო. ვასიამ შემიყვანა.

— აუ... როგორ ვთხოვე ერთი მოსაწვევი. არ შეგეძლო, რომ დაგერექა?

— მობილური გამორთული გქონდა, ეტყობა კინოში იჯექი.

— ა... არა, გამახსენდა. მაგ დროს ჰოსის მაღაზიაში ვიყავი. “კინოტავრის” ბიჭებმა წამიყვანეს. დენის ჰოპერმა ვენეციური მინის კოლექცია და უორჰოლის უცნობი რამეები წარმოადგინა”.

(რუსულად)

— მოსკოვში დიდი ამბავი ატეხილა “და ვინჩის კოდზე”. არადა, გუშინ 15 წუთში დაიცალა დარბაზი.

— მე ბოლომდე გავუძელი. შეამჩნიე, რა ხორხოცი ატყდა დარბაზში, ოდრი ტატუმ რომ იკითხა,

— გამოდის, რომ მე იესო ქრისტეს უკანასკნელი მემკვიდრე ვარო?

— მე ინგლისელ მონაზონ ქალს მივაქციე ყურადღება; საწყალი, მარტო იდგა „წითელ სალიჩასთან”, უზარმაზარი ჯვრით ხელში.

— მოსკოვში უნდა გაგეგზავნა, თანამოაზრებს იპოვიდა”.

(რუსულად)

— დარწმუნებული ვარ, “პალმას” წელს “ბაბილონი” აიღებს. პოლიტკორექტულია და თანაც, პუბლიკას მოსწონს.

— ვონგ კარ ვაი პოლიტიკას არ დაუშვებს, ესთეტიკა!

— სახეზე ვუყურებ ხოლმე სეანსის დროს, “ბაბილონზე” ტაში დაუკრა.

— ხომ არ მოგეწვენა? უიურის არა აქვს აპლოდისმენტების უფლება.

— იმის უფლება ხომ ჰქონდა, “ლეონარდოს კოდის” მეხუთე წუთზე რომ დატოვა დარბაზი?

— ეგ არასაკონკურსო იყო”.





კრუაზების კლაშზე გაშიშვლებულ მღელისას და მამასას ერთი მიზანი აქვს – თავისი ფიზურით რომორხე დააინტერესოს კანის ფესტივალზე ჩამოსული კროლისერები, კინორეჟისორები, მსახიობები. მაგრამ ამ ხალხს ქვიშიან კლაშზე რა უდეა? სად აქვთ მზეზე გარუავისა და გაისის სიც ზღვაში ჭყავალაობის დრო?

ცხოვრებაში ერთი დიდი პრობლემა მაქვს – ინგლისურს ვერ ვსწავლობ. ნუ... ასე გამოვიდა; ჩემს თაობას ეს ენა არ ჭირდებოდა – რუსულის ცოდნა კარგ ტონად ითვლებოდა, ინგლისურის, ფრანგულისა და გერმანულის სწავლას მაინცდამაინც არავინ გვაძალებდა. ფრანგულ ენასაც იმიტომ შეგვეჭიდე, რომ მასწავლებელი მყავდა კარგი – ტანტ ნანიკი. პროფესიით ანი-მატორი, „ნუნა და ნრუნუნას“ ერთერთი მხატვარი, სომეხი ქალი, რომელიც ბავშვობიდან მეუბნებოდა, კინოს ენა ფრანგულია, კინოს სამშობლო კი – კანის კინოფესტივალიო. საშინაო და-

ვალებას წარმატებით როცა ჩავაბარებდი, ტანტ ნანიკი მაიმედებდა, ოდესმე აუცილებლად მოხვდები კანშიო, ხოლო საკმარისია ფრანგული ზმნები ერთმანეთში ამრეოდა (კიდევ ერთი პრობლემა!), მეაცრად შემომხედავდა, ასე კანში ვერ წავალთო, დამემდურებოდა ხოლმე. პირველად სწორედ ტანტ ნანიკმა მიამბო კანის ფესტივალის ისტორია – ზღაპარი ლაუგარდოვან ნაპირზე, სადაც 1939 წელს დიდი კინოფორუმი უნდა გამართულიყო, მაგრამ ფესტივალი ომის დაწყებამ ჩაშალა. ტანტ ნანიკი, მართალია, მთელი ცხოვრება კინოსტუდიაში მუშაობდა, თავის თავს

მაინც მხატვარ-დიზაინერად მიიჩნევდა. ამიტომ, როცა კანის ფესტივალზე ყვებოდა, უფრო ფესტივალის გარემოზე, ატმოსფეროზე ამახვილებდა ყურადღებას, ვიდრე ფილმებზე. მაშინ შევიტყვე სწორედ, რომ 1947 წელს, კანში, მოდელიორმა ლუი რეარმა კრუაზების სანაპიროზე პირველად უჩვენა პუბლიკას ქალის ორად გაყოფილი საპანაო კოსტიუმი, რომელსაც კანში „ბიკინი“ შეარქვეს (ერთ-ერთი აქაური კუნძულის პატივსაცემად)... სხვა რაღაცებიც მიამბო; 1948 წლის ფესტივალზე ფოტოგამერა „პოლაროიდის“ პრეზენტაციაზე, ლია ცის ქვეშ გამართულ სეანსებზე





ეს მხოლოდ პირველი ეტაპია დარჩაზე მოსახველია. შემდეგ, „ცისფერია“ „ცისფრიაზის“ რიგი უდა დაიკავოს, „ყვითელი“ თავისიანებს მოუღის უკან და ელოდოს, სანამ „ვარდისფრიაზი“ არ ინიციატივა მოვცლას. ერთ-ორ „ცისფერის“ შეიძლება ზემო გაულიმოს, თუკი ერთი საათით აღრი დაიკავებს რიგს...
სხვაგვარი, გი, ბოლიში... თავში აკა გიხელიათ. თუ გეხავთ, „წითელი ხალიჩის“ წინ დაღით სკამია, კიჩა, ველოსიპედი... და ასე დაიკავეთ აღგილი, რათა ცოცხალ ვარსკვლავს დაუკიროთ ხელი და ვის, იქნებ ავტომატიკურ დასიცლოთ.

(კინოდარბაზები კანში მოგვიანებით ააშენეს) და მონიკა ვიტიზე, რომელმაც 1960 წელს კანი ტირილით დატოვა, როცა აქაურმა პუბლიკამ ანტონიონის „თავგადასავლის“ ჩვენების დროს, სტვენა დაიწყო. საფრანგეთს სტუდენტური მოძრაობის ტალღამ სწორედ მაშინ გადაუარა, როცა მეჩინიკოვის ქუჩაზე, ფრანგულის გაკვეთილებზე ტანტ ნანიკთან დავდიოდი. ჩემი მასწავლებელი გულდანწყვეტილი მიყვებოდა, როგორ ჩამალეს 1968 წლის კინოფორუმი ფრანგმა კინემატოგრაფისტებმა, როგორ მიიმაგრეს სმოკინგებზე წითელი მიხაკები, სტუდენტებთან სოლიდარობის ნიშნად. მას შემდეგ, რაც კანის ფესტივალის ბიუროკრატებთან ტელეფონით ფრანგულის ცოდნის „ტესტი“ გავიარე (ხედავთ, სად გამომადგა ტანტ ნანიკი?) და 59-ე კინოფორუმის აკრედიტაციით ხელამშვენებული, კრუაზეტის სააპიროზე მოვხვდი, ეგრევე „ბიკინის“ ისტორია გამახსენდა; „წითელ ხალიჩასთან“ ყველაზე ახლოს მოწყობილ პლაზზე „ორად გაყიდვილ“ საბანაო კოსტიუმი დიდი იმგიათობა გახდა – „სუსტი სქესი“ აქ რაღაც წარმოუდგენებული მონდომებით ცდილობს მერდის გაშიშვლებას... პლაზი სავსეა სიღლიკონიანი ქალბატონებით, აი, სულ ახლახანს რომ მიაღწიეს ევროპელებისთვის სანუკვარ საპენსიო ასაკს („გაუმარჯოს უსაქმურობას, ცხოვრება ახლა იწყება!“) და საკუთარი სხეულის გაუმჯობესება-გამშვენიერებისთვის რომ გამონახეს დრო და ფული. აქვე გაშოტილან მაგრად ნავარჯიშები და დაკუნთული ჭაბუკებიც, რომლებიც „პლაზის გოგოებს“ საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას. კრუაზეტის პლაზზე გაშიშვლებულ მდედრსაც და მამრსაც ერთი მიზანი აქვს – თავისი ფიგურით

როგორმე დააინტერესოს კანის ფესტივალზე ჩამოსული პროდიუსერები, კინორეჟისორები, მსახიობები. მაგრამ ამ ხალხს ქვიშიან პლაზზე რა უნდა? სად აქვთ მზეზე გარუჯვისა და მაისის ცივზღვაში ჭყუმპალაობის დრო? აქაური სასტუმროების მფლობელები ფესტივალის პირველივე დღიდან აორმაგებენ (ზოგან ასამმაგებენ) ნომრების ფასებს, კაფეებისა და რესტორნების მებატრონებს ახალი, საფესტივალი მენიუ გამოაქვთ, ასევე გაორმაგებულ-გასამმაგებული ფასებით. „ა“ კლასის ოტელებში კი ნომერი იმდენად ძვირი ლირს, რომ ვარსკვლავებსაც კი არა აქვთ საშუალება, ფესტივალის დაწყებიდან ბოლო დღემდე კანის ძალიან სუფთა ჰაერი ისუნთქონ. წესით და რიგით, პლაზზე ნებივრობის დრო უურნალისტებსაც არ უნდა ჰქონდეთ; ფესტივალის პროგრამა ისეა გადატვირთული, რომ სეანსის დასრულებისთანავე, კანის კინოფორუმზე წარმოდგენილი სხვა ფილმების სანახავად, კრიტიკოსებს დარბაზიდან დარბაზში გადარბენა უწევთ. თუმცა სირბილს აზრი აქვს მხოლოდ „ვარდისფერებისთვის“, ე.ი. ყოველდღიური პრესის წარმომადგენლებისთვის. ამ ხალხისთვის კანის კინოფორუმის ყველა დარბაზი ლიაა. სხვებს კი, „არაპრიორიტული პრესის“ წარმომადგენლებს (ასეთი დაყოფის იდიოტიზმი იმაშია, რომ მსოფლიოში ყველა ცნობილი კინოურნალი თვეში ერთხელ გამოდის, ე.ი. „არაპრიორიტულის“), ვისაც „ცისფერი“ და „ყვითელი“ აკრედიტაციები აქვს, დარბაზში შესვლის უფლება მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როცა ძმები ლიუმიერების, დებიუსის, ანდრე ბაზენის, ბუნებელის კინოდარბაზებში „ვარდისფერები“ საბოლოოდ დაიკავებენ

ადგილებს. რას ვიფიქრებდი, ბაზენისა და ბუნებელის სახელები ჩემში ოდეს-მე უარყოფით ემოციებს თუ აღძრავდა? ბაზენის წიგნები მსოფლიოს ყველა კრიტიკოსისთვის ბიბლიაა, ბუნებელზე რომ აღარფერი ვთქვათ – უკვდავი რეჟისორია! მაგრამ კანში, ბუნებელისა და ბაზენის დარბაზებში მოხვედრა იმდენი ბარიერის გადალახვას მოითხოვს, რომ გადაღლილი „ცისფერი“ (და მით უმეტეს, მესამე კატეგორიის – „ყვითელი“) შეიძლება სერიოზულად ჩაფიქრდეს ჩემოდნის ჩალაგებასა და „ლაჟვარდივივანი ზღაპრის“ დროზე ადრე დამთავრებაზე. 1975 წლიდან, მას მერე, რაც ორგანიზაციამ, სახელწოდებით „საყოველთაო ბრძოლა გარყვნილი ჰუმანიზმის წინააღმდეგ“, ფესტივალის სასახლეში ყუმბარა ჩადო, კანში საგულდაგულოდ ამონმებენ არა მარტო უურნალისტების, არამედ ვარსკვლავების ჯიბეებსა და ჩანთებს. მაგრამ „ცისფრებისა“ და „ყვითელებისთვის“ ეს მხოლოდ პირველი ეტაპია დარბაზში მოსახვედრად. ამის შემდეგ, „ცისფერმა“ – ბუნებელისა და ბაზენის დარბაზთან, „ცისფრების“ რიგი უნდა დაიკავოს, „ყვითელი“ თავისიანებს მოუდგეს უკან და ელოდოს, სანამ „ვარდისფერებისთვის“ არ ინებებენ მოსვლას. ერთ-ორ „ცისფერს“ შეიძლება ბედმა გაულიმოს, თუკი ერთი საათით ადრე დაიკავებს რიგს... სხვებს კი, ბოდიში... არ ხართ „პრიორიტული“ და თავში ქვა გიხლიათ; სადაც გენებოთ, იქ წაბრძანდით. თუ გნებავთ, კინოვარსკვლავების ხელების ანაბეჭდით დატკბით (ამ ტრადიციას ფესტივალის სასახლეთან 1984 წელს ჩაეყარა საფუძველი), ანდა „წითელი ხალიჩის“ წინ დადგით სკამები, კიბე, ველოსიპედი... რაც ხელთ გაქვთ... და ასე დაიკავეთ ადგილი საღამომდე,



რათა ცოცხალ ვარსკვლავს დაუქნიოთ ხელი და ვინ იცის, იქნებ ავტოგრაფიც დაცინცლოთ (თუმცა არც ამ შემთხვევაში გაქვთ გარანტია, რომ მიზანს მიაღწევთ. მაგალითად, ბრედ პიტმა წელს ძალიან გაუტეხა გული თავის თაყვანის-მცემლებს – „პაბილონის“ პრემიერამდე რამდენიმე საათით ადრე განაცხადა, რომ ვერ ჩამოდის კანში, რადგან ეშინა, ანჯელინა ჯოლის მშობიარობის „რი-

ტუალი“ არ გააცდინოს)... ბოლოს და ბოლოს, კრუაზეტის პლაჟებზე წამონეჭით, სილიკონიან გოგოებთან და კუნთმაგარ ბიჭებთან ერთად!

სეანსზე მოხვედრის შანსი „ცის-ფრებს“ და „ყვითლებს“ მხოლოდ დილის 8 საათზე აქვთ ძმები ლიუმიერების დარბაზში, რომელიც 2300 მაყურებელს იტევს. მაგრამ თუკი „ცისფრი“ გიყიდიათ გულზე და ყველა საკონკურსო

ფილმის ნახვა გინდათ, საღამოს „ლიუ-მიერებზე“ ორჯერ უფრო მცირე დარბაზში, „დებიუსიში“ მოგიწევთ მისვლა („ლიუმიერებში“ ამ დროს საკონკურსო ფილმის ოფიციალური ჩვენება ეწყობა, სმოკინგებითა და დეკოლტეებით), ე.ი. ერთი საათით ადრე უნდა დაიკავოთ რიგი და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოსული ოთხიათასი უურნალისტის დიალოგს უსმინოთ (ფრანგ



სონრელ ამ კალრში გამოჩდება
პეტროვა – სოფი ლორენსის და
ანა მანიანის „ჰიბრიდი“, რომელიც
ისეთი ლაგაზია, სუსტევა შეეკვრება
კაცს. გადალებების დროს, პეტროვას
ფალამისთან დაურჩავს. პეტრო
ლაგაზე იღებს ფილმს, უთქვამს...
„არ გაშიგვილოს მაგ გარყვნილა“
– ყვიროლა თურმა ტალიფონში
დალამისი. „რას ამბობ, დელა, 8
კილო მომახატებინა, „ლორეალა“
შეიძლება კონტრაქტი შემიყვიდოს.“
– დაუჩივლია პეტროვა კრუზს.

კრიტიკოსებს თუ დავუმატებთ, ათი ათასი გამოდის). ინგლი-
სური ვინც იცის, ბედნიერია – რას არ გაიგებს ამ რიგში!
თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კანში გაცილებით უფრო
ნაკლები რუსია, ვიდრე ბერლინში, რუსულ სიტყვა-პასუხს
აქაც ხშირად გაიგონებთ.

გაყვლეფილ ქართველ კრიტიკოსს ამ დიდ შუალედში ისღა
რჩება, მუქთად წამოწვევს „ნითელი ხალიჩის“ პლაუზე და
„ხორცები“ ათვალიეროს. ცოტათი შეიძლება „ეგო“ მოიფხა-
ნოს გულზე დაკიდებული აკრედიტაციით – პლაუს გოგოები
და ბიჭები ხომ მაინცდამაინც ვერ ერკვევიან აკრედიტაციის




კოლორიტულ ნიუანსებში. ამიტომ, უმრავლესობა გიყურებს, როგორც კანის ფესტივალის სტუმარს, რომლისგანაც რაღაც ხეირი შეიძლება იყოს. არ არის გამორიცხული, ავტოგრაფი გთხოვონ, ან გამოგელაპარაკონ, როგორც სავარაუდო პროდიუსერს (აბა, მე კინოვარსკვლავი ხომ არ ვეგონებოდი ვინმეს!), რომელსაც შეუძლია მისი ფიგურის „მონაცემები“ შეაფასოს. გარკვეული პრობლემები იქმნება მოგვიანებით, „დებიუსის“ დარბაზში შესვლისას, როცა დაცვა მოითხოვს ამოქექმ ყველაფერი, რაც ჩანთაში გიდევს – გაშალო სველი საბანაო კოსტიუმი და ქვიშიანი პირსახოცი. პირველად შეიძლება შეგრცხვეთ კიდევ, როცა თქვენი პირსახოციდან კანის გაკრიალებულ საფესტივალო დარბაზში პლაჟის ქვიშა დაიყრება; იქ, სადაც ცოტა ხნის წინ უიურის წევრი, მონიკა ბელუჩი დაფარფატებდა (ლერთო ჩემო, როგორ ჰავას ეს ქალი ქართული მულტფილმის, „ხელმარჯვე ოსტატის“ ერთ პერსონაჟს, „ატვიორტკას“, რომელიც მლერის „ჩავაქრე სანთელი...“)… მაგრამ ერთი-ორი დღის მერე, მას შემდეგ, რაც მიხვდებით, რომ ფრანგული რევოლუციის მონაპოვარი, „ეგალიტე“, ე.ი. „თანასწორობა“ ან დიდი, დიდი ტყუილია, ანდა მხოლოდ და მხოლოდ სურვილი, განუხორციელებელი ოცნება, თავისუფლად უჩვენებთ დაცვის გოგო-ბიჭებს თქვენს სველ საბანაო კოსტიუმებსა და ქვიშიან პირსახოცებს. „შეხე-

დეთ, ბატონებო, შეხედეთ და დატკბით! კინოკრიტიკოსს კინოს არ მანახებთ, „პრიორიტეტულად“ ის ხალხი მიგაჩინიათ, ვინც მხოლოდ რეპორტაჟებს წერს თქვენზე... თუ ასეა, აიტანეთ ჩემი საბანაო ავლა-დიდება!“

როგორც კი დარწმუნდებით, რომ საფესტივალო დაცვა მხოლოდ ბომბებს ექის და დიდად არ ანალენებს, სხვა რა გიდევთ ჩანთაში, გაბრაზება გაგივლით. ამასობაში აქაურობას შეეჩვევით, კანის რბილი ჰავა და რაღაც გასაოცარი სიმშვიდე, „დაცულობის“ გრძნობა მართლაც რომ სამოთხეში ყოფნის ილუზიას შეგიქმნით... დარწმუნდებით, რომ კანის კინოფესტივალზე ყველანაირი კომფორტია შექმნილი უურნალისტისთვის – მიირთვით უფასო ყავა და წვენები პრესცენტრში (წლევანდელი ფესტივალის სპონსორი „ნესკაფე“ იყო), იკითხეთ უურნალები, რომლითაც ყოველდღიურად იქსება თქვენი პრეს-ბოქსები... ბოლოს და ბოლოს, რიგში დგომაც კი გესამოვნებათ – რას არ გაიგებს კაცი კინოკრიტიკოსების რიგში!

გაბრაზება მხოლოდ ერთხელ შეიძლება „შეგიბრუნდეთ“, ფესტივალის დახურვაზე, როცა უური თქვენს ფავორიტებს მთავარი პრიზის გარეშე დატოვებს; როცა ფესტივალის პრეს-ცენტრში დამონტაჟებულ უზარმაზარ ეკრანზე სმოკინგებსა და „დეკოლტეიან“ კაბებში გამოწყობილ ქალბატო-



ლიკანური ეკონომიკური კონსალტინგი

თანამდებობა თბილისის
სავიზიტო ბაზარი

AXISTOWERS
A-ქუთას ბიზნეს ცენტრი

თბილისი, ავტონომია 25

+995 32 55 34 34

INFO@AXIS.GE

WWW.AXIS.GE

ნებსა და ბატონებს დაინახავთ, აფრიკელი ხალხის დამოუკიდებლობის ჰიმნს რომ მღერიან. ბრილიანტებით შემოსილნი, აფრიკელ ხალხს უცხადებენ სოლიდარობას! ფესტივალის დახურვის ცერემონია აუცილებლად გაგახსენებთ 68 წელს – კანის ერთადერთ ფესტივალს, როცა კინემატოგრაფისტებმა თავად თქვეს უარი მსოფლიოს ნომერ პირველი კინოფონუმის წვრილბურჯუაზიულ პათოსზე (ტრიუფომ გაიხარის!)... მაგრამ მერე დანებდნენ – მიხვდნენ, რომ კანის კინოფესტივალი დიდი კარნავალია, რომელშიც, გინდა თუ არა, მაინც უნდა მიიღო მონაწილეობა, კანის კინოფონუმის მთავარი პრიზი კი საუკეთესო შანსია იმისთვის, რომ გამარჯვების შემდეგ, გულხელდაკრეფილი იჯდე, დაისვენო, ანდა, მინიმუმ, ათი წელი ალარ იყო დამოკიდებული პროდიუსერების კაპრიზებზე; გააკეთო ის, რაც მოგესურვება. განა ტარანტინო ასე არ მოიქცა? ვინ იცის, როგორ ფილმებს გადაიღებდა დღეს, „კრიმინალურ საკითხავს“ კანის „ოქროს პალმა“ რომ არ მოეპოვებინა.

კენ ლოუჩი სმოკინგში! ყველაზე მემარცხენე კინემატოგრაფისტი მსოფლიოში, ლამის ტროცესტობა რომ ალიაროს, გაპრანჭულ-გამაძლარი სწობების გვერდით. ამას ვერასდროს წარმოვიდენდი; ანდა პედროს შეხედეთ – ალმოდოვარი ფრაკის მსგავს ჯანდაბაში! ნეტა იმაზე თუ ფიქრობდნენ, რომ მათი ბედი „ატვიორტკას“ უნდა გადაეწყვიტა – მონიკა ბელუჩის! რომ იცოდეთ, როგორ მაინტერესებს, რას ამბობდა ეს დედაკაცი უიურის სხდომაზე, როგორ მეტყველებდა, როგორია მისი სიტყვების მარაგი, რატომ დაუჭირა მხარი, მაგალითად კენ ლოუჩის ფილმს „ქარი ამოვარდება“ და დაიწუნა „დაბრუნება“? ანდა აკი კაურისმიაკიმ რა დაუშავა – წლევანდელი ფესტივალის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმის, „გარეუბნის ჩირალდნების“ ავტორმა? მონიკა ბელუჩი შეიძლება შურით გასკდა პენელოპაზე, შეიძლება სწორედ მისი იდეა იყო, ერთი თხილის გულივით გაეყოთ „პალმა“ ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლისათვის და ალმოდოვარის ფილმში მონაწილე ყველა მსახიობი დაეჯილდოვებინათ. რა ნიშნავს ეს? რატომ დაამცირეს პენელოპა კრუზი, რომელმაც ასეთი დიდი როლი შეიძლება ვერასდროს ითამაშოს?

დაჯილდოვების ცერემონიალის დასრულების შემდეგ, ალმოდოვარმა განაცხადა, ამ ფესტივალზე ფავორიტობა დაწყევლას ნიშნავს. „დაბრუნება“ დასაწყისში უჩვენეს. ალმოდოვარის სურათი, ფესტივალის ბოლო დღემდე, კრიტიკოსთა რეიტინგებში პირველი იყო. მაგრამ პედრო დამარცხდა, როგორც 1999 წელს, როცა „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“ მხოლოდ უიურის პრიზით დაჯილდოვდა, საეჭვო ნიჭის (და საეჭვო ვნებების) ფრანგი რეჟისორი ბრუნო დიუმონი კი ფესტივალის „გრან-პრით“... წელსაც ასე მოხდა. „გრან-პრი“ – დიუმონის ფილმს „ფლანდრია“ ერგო, რომელშიც სექსი და

ომი ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, როგორც ცხოვრებაში და მეორეხარისხოვანი პრიზი კი – ალმოდოვარს.

ცუდია, რომ ჩინელი ესთეტის, ჩვენში ძალზე პოპულარული ფილმის, „სასიყვარულო განწყობილების“ ავტორის, ვონგ კარ ვაის უიური არ დაესწრო „Volver“-ის ჩვენებას პრესის-თვის, „ლიუმიერების დარბაზში“. ლამის ასი წლის გავხდე და არასდროს მინახავს, პუბლიკას ფილმის პირველივე კადრის-თვის გაემართა ოვაციები; შესავალ ტიტრებამდე ლამანჩელი ბებერი და ახალგაზრდა ქალები, ყაყან-ყაყანით აკრიალებენ წინაპრების საფლავებს („შაბათობა“ სასაფლაოზე), თან, აქაურ ქარსა და მტვერს ებრძვიან დონ-კიხოტებივით... სწორედ ამ კადრში გამოჩნდება პენელოპა – სოფი ლორენისა და ანა მანიანის „ჰიპრიდი“, რომელიც ისეთი ლამაზია, სუნთქვა შეეკვრება კაცს. გადაღებების დროს, პენელოპას დედამისთან დაურევავს. პედრო დედებზე იღებს ფილმსო, უთქვამს... „არ გაშიმშილოს მაგ გარყვნილმა“ – ყვიროდა თურმე ტელეფონში დედამისის. „რას ამბობ, დედა, 8 კილო მომამატებინა, „ლორეალმა“ შეიძლება კონტრაქტი შემინვიტოს.“ – დაუჩივლია პენელოპა კრუზს.

პრიზი ალმოდოვარის ყველა ქალს – სადიზმის გამოვლინებას ჰგავდა. კარმენ მაურა ცოტა დაბნეული უყურებდა პენელოპას, რომელსაც ვერ გაეგო, უნდა გახარებოდა თუ წყენოდა. პედროც მხრებს იჩეჩავდა და დაკვირვებით ათვალიერებდა თავის მუზას, პენელოპა კრუზს (კარმენ მაურამ დიდი ხანია დაკარგა ეს როლი ალმოდოვარის ცხოვრებაში)... არ არის გამორიცხული, დიდ მსახიობადქცეულ ჰოლივუდის ეგზოტიკურ თოჯინას ტირილ-ტირილით დაეტოვებინა კანი; ისე, როგორც მონიკა ვიტიმ გააკეთა ეს 1960 წელს.

ნეტა აუჩიუებდა გულს პენელოპას ეს უცნური გამარჯვება ტანტ ნანიკს? კანის ფესტივალის უიურის უსამართლო გადაწყვეტილებაზე როცა ვფიქრობდი („უცნაურად უსამართლოზე“, რადგან კენ ლოუჩი შეიძლება უფრო მეტადაც მიყვარს, ვიდრე ალმოდოვარი), კიდევ ერთხელ გავიაზრე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა – ინგლისურის არცოდნა და რუსულ-ფრანგულ კულტურულ სივრცეში „გაჭედილობა“. რომ არა ეს სივრცე, არასდროს მომინდებოდა მსოფლიოს ნომერ პირველ კინოფესტივალზე გამგზავრება და კრუაზეტის სანაპიროზე ნანნალი – იქ, სადაც ბებერი ქალები სილიკონიანი ტუჩებითა და ძუძუებით, დიდი მონდომებით ასეირნებენ თავიანთ ცუგას, რომელსაც დროდადრო ასე მიმართავენ: „შეხედე, საყვარელო... ეს ბრიუს უილისია, ეს კი – მონიკა ბელუჩი!“.

მაგრამ ამ სივრციდან თავის დაღწევა რაღა დროსია. ლამის ასი წლის გავხდე. ამიტომ, მომავალ წელს ისევ მომინდება კანში. გთხოვთ, დამაფინანსეთ!

მოპილურზე საუჩარი ხალიჩასთან, სეასის დაწერამალე ერთი საათით აპრე.

(რესულად) „ბორია, საყვარელო, არ გააბრაზო ბებიაშენი, კარგად ჭამ? ვერ წარმოიდგენ, აქ რა ხდება — ყველა ფრაკებში დადის. ყოველ სალამოს „ფართია“... ჩვენი „ფართი“? ხვალ გვაქვს... წითელ ხიზილალასა და ბლინებზე მთელი ჰოლივუდი დავპატიუეთ“.

p.s. კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაზე დაწვრილებით უურნალ „კინოს“ პირველ ნომერში გიამბობთ.





ალექსავლეთი
კორტეგიები
(კორტეგი I)

ავტორი: გიორგი ლომაზაძე / ილუსტრაცია: ჯიბრაელ ხალილ ჯიბრაელი



მეოცე

საკუთარი სასახლის ნანგრევებში

სასიკვდილო სარეცელზე, როცა უკანასკნელი აღსარებისათვის მოძღვარი მოიხმეს, ჯიბრან ხალილ ჯიბრანმა ხუცესის შეკითხვას – იყო თუ არა ქრისტიანი – არა, უპასუხა და აღსარების ჩაბარებაზე უარი განაცხადა.

არა მგონია, ეს ნაბიჯი მხოლოდ ტკივილებით გატანჯული ადამიანის ახირება ყოფილიყო. ჯიბრანს ტკივილი არასოდეს აკლდა, მაგრამ ძლიერი გონება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღებისას ასპარეზს მხოლოდ ლოგიკას უთმობდა და ემოციას ფრთხებს ლალად არ გააძლევინებდა.

იქ კი რა მოხდა? რატომ არ ინება 48 წლის გენიალურმა მომაკვდავმა საბო-

ლოოდ ელიარებინა თავისი რწმენა და უფალთან მშვიდად, აუმღვრეველი სინდისით წასულიყო?

სხვათა შორის, მოძღვარმა ის შეკითხვა დაუსვა კაცს, რომელმაც 1926 წელს ინგლისურად გამოცემულ კრებულში „ქვიშა და ქაფი“ ასეთი რამ ჩანსრა:

„ჯვარცმულო, შენ ჯვარს ეცვი ჩემს გულზე და ლურსმნები, მაჯებში რომ გაგიარეს, ჩემი გულის კედლებს მიემსჭვალნენ...

ხვალ კი შემთხვევითი გამვლელი, ამ გოლგოთას გვერდს რომ ჩაუგლის, ვერ გაიგებს, რომ აქ სისხლი ორმა და-ათხა.

მას იგი ერთი ადამიანის სისხლი ეგონება.“

ეგებ, სწორედ ამიტომ:

ჯიბრანმა უარი თქვა, აღსარება ჩაებარებინა არა მოძღვრისათვის, არამედ შემთხვევითი გამვლელისთვის, რომელსაც გოლგოთაზე დათხეული სისხლი ერთი კაცისა ჰქონებოდა და იქ სხვათა, მათ შორის ჯიბრან ხალილ ჯიბრანის, სისხლის შეფეხი ვერ გამოერჩია.

ან ეგებ იმიტომ, რომ:

ქრისტიანობა უდიდესი პასუხისმგებლობაა და სერიოზულად აღიარება იმისა, რომ ქრისტეს მიმდევარი ხარ, უპირველესად საკუთარ ნაკლოვანებათა გააზრებისაკენ გიბიძგებს. ეს

ნაკლოვანე-

ბანი კი ისეთ ღრმა უფსკრულს

აჩენს შენსა და სარწმუნოებრივ იდეალებს

შორის, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო რწმუნდები:

ვერ შეასრულებ ქრისტეს უპირველეს მითითებას: „იყავით თქვენ
სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს“...

ვერ იქნები ისეთი სრული, რომ ამქვეყნიურმა უსამართლობამ ყოველწამს
გულგვამი არ ამოგიტრიალოს და უზენაესი სამართლის სრულქმნილებამი არ და-
გაეჭვოს...

მით უმეტეს, როცა პატარა ქვეყნის შვილი ხარ, რომელსაც ქვეყანა არც კი ეთქმის, რადგან
ოსმალური თურქეთის მიერ დაპყრობილი სირიის ნაწილია და ლიბანი – ცალკე აღებული – ანექ-
სირებული ტერიტორიის სტატუსითაც კი არ არსებობს.

როცა ლოთი მამა გყავს, რომელიც ცოტა ხანში ბედის ანაბარა გტოვებთ შენ და შენს დებს და საშო-
ვარზე წასული შინ, განამებულ მეუღლესთან აღარასდროს ბრუნდება.

ერთადერთი ნათელი წერტილი კი მღვდელი ბაბუაა – დედის მამა, რომელიც ბავშვობიდან ზეპირად
გასწავლის სახარებას და ასე ცდილობს შური იძიოს მოღალატე სიძეზე და თან, შენც მყარი საყრდენი მოგცეს:
მიწიერი მამა ზეციური მშობლით ჩაგინაცვლოს...

სახარებით შურისძიება კი – თუნდაც უპასუხისმგებლო სიძეზე – როგორი სათქმელია?!...

მაგრამ ეს მღვდელი ბაბუის ფარული ზრახვებია. შენ კი, შენს პატარა სოფელ ბიძარს რომ არ გასცილებიხარ,
ჯერ სამყაროც უშურველად გეძლევა და წმინდა წერილის ყველა სიტყვაც გულსა და გონებაში ძალდაუტანებლად
გებეჭდება. ხედავ, როგორ შრომიბს მარტო დარჩენილი დედა, როგორ იტანჯებიან უფროსი დები, მაგრამ ჯერ
უფლის სამართალი არ გაეჭვებს, რადგან მომავალი მაინც იმედიანი გერვენება.

სწორედ მომავლის იმედით ტოვებს ჯიბრანების ლარიბი ოჯახი მშობლიურ ლიბანს და ათასობით სხვა თანამემა-
მულის მსგავსად, ლუკმაპურის საშოვნელად ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ მიეშურება.

იმ დროისათვის, 1883 წლის 6 იანვარს დაბადებული ხალილ ჯიბრანი 12 წლისაა და დედა იმდენს ახერხებს, რომ
გოგონები თუ არა ეს ნაბოლარა ვაჟი მაინც ატაროს სკოლაში.

**ვერ იქნები ისეთი სრული, რომ ამავენიურმა უსამართლობა უზენაესი
სამართლის სრულებრივაში არ დაგავაზონ... მით უხატეს, როცა
ლოთი მამა გყავს, რომელიც გელის ანაბარა გტოვებთ შენ და შენს დებს
და საშოვარზე წასული შინ აღარასდროს სრულდება.**

ისინი ბოსტონის გარეუბანში, უღატაკეს ჩინურ კვარტალში ბინადრობენ და სული მხოლოდ დედის ჭაპანნყვეტის
წყალობით უდგათ.

ჯიბრანი ემიგრანტთა შვილებისთვის განკუთვნილ სკოლაში დადის. მონდომებით სწავლობს ინგლისურს, თა-
ვისუფალ დროს კი ხატვას განაგრძობს – საქმიანობას, ჯერ კიდევ მშობლიურ ბიძარში რომ მოჰკიდა ხელი და
რომელმაც ისეთი შვება მიანიჭა, რაც მანამდე არასდროს განეცადა. მიხვდა: სწორედ აქ შეეძლო სამყარო თავის
ნებაზე მოეწყო და რეალურ ცხოვრებაში თუ ვერაფრის შეცვლას ახერხებდა, მხატვრობაში, ანდა მხატვრობის
მეშვეობით მაინც შეეტანა კორექტურა ღვთის მიერ დაწერილ გენიალურ ტექსტში, რომელიც რატომლაც, უამრავი
შეცდომით „დაებეჭდათ“.

ბუნებრივია, აქ გრამატიკული შეცდომები არ იგულისხმება. თვითონ ჯიბრანი ხომ ამას მხოლოდ მინიმალურ
მნიშვნელობას ანიჭებდა. მოგვიანებით, „ქვიშა და ქაფში“ ჩანერა კიდეც:

„პოეზია სიხარულის, ტკივილის, გაოცებისა და რაღაც გრამატიკული წესების ნაზავია.“

ამიტომაც წესებს არად დაგიდევდათ და როგორც შეეძლო, ისე არღვევდა, რაკილა გრძნობდა, რომ თანამედროვე
სამყაროში ღვთის მცნებებს თითქოს ძალა დაპკარგოდა, რადგან არც სამყარო და არც ადამიანის სული აღარ იყო
მთლიანი, ჰარმონიული და ანყობილი სისტემა. სამრეწველო-ტექნიკურ პროგრესს ეს, ოდესალაც მოწესრიგებული
და გაუგზავნი მთლიანობაც ისე დაერღვია, რომ უნინდელი ჰარმონიის კვალიც კი არსად დაეტოვებინა. ამიტომაც
სტანჯავდა ჯიბრანს იმისი შეგნება, რომ:

„პოეტი ტახტიდან ჩამოგდებული მეფეა. ის თავისი სასახლის ნანგრევებში ზის და ამ იავარქმნილი სასახლის
სურათი გამაონებლად შემზარავი იყო..... ტილოზე კი შავი ფერი სულ უფრო და უფრო მკვეთრდებოდა...“

1898 წელს, ოჯახის დაჟინებით, ჯიბრანი არაბული და ფრანგული ენების შესასწავლად მშობლიურ ლიბანში
დაბრუნდა და იქ 1902 წლამდე დარჩა. სწორედ ამ წლებში გამომჟღავნდა პირველად მისი მწერლური ნიჭიც. რო-





გორც ჩანს, მშობლიურ ენასთან მიბრუნებამ მასზე მაგიურად იმოქმედა და მალე ხატვასთან ერთად, პატარ-პატარა ესკიზების წერაც წარმოიწყო. ამ ესკიზებმა – უკვე სრულყოფილებამდე აყვანილმა და სათანადოდ გადამუშავებულმა – მოვინანებით პოეტის ორ წიგნში მოიყარა თავი. ინგლისურად დაწერილ „შლეგსა“ და არაბულად შექმნილ „ქვიშა და ქაფში“.

ლიბანში ცხოვრების ბოლო წელს კი, თავის მეგობარ იუსუფ ალ-ჰუვაიქთან ერთად დაარსა ჟურნალი „ალ-მანარა“ და სწორედ იქ გამოაქვეყნა პირველი არაბული ნაწერები თუ გრაფიკული ესკიზები.

1902 წელს ჯიბრანი ბოსტონში მცხოვრებ ოჯახს დაუბრუნდა. თუმცა ამერიკაში დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე, მისი 14 წლის და, სალტანა ჭლექით გარდაიცვალა. ამ მოვლენამ, თან სიკვდილთა მთელი ჯაჭვი რომ მოიყოლა, პოეტის ანენილი სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. თუმცა, მეორე მხრივ, მისი მწერლური და შემოქმედებითი ნიჭიც მეტად გააღრმავა და მალე ბოსტონის ლიტერატორთა და ხელოვანთა წრეებში, ეს ახალგაზრდა, ფერმურთალი ჭაბუკი, ყოველმხრივ დაფასებული და საყვარელი ხელოვანი გახდა.

იმ დროისათვის ჯიბრანზე რამდენიმე წლით უფროსი მწერალი ქალი ჟოზეფინ პიბედი მო-

მეტებულად დაინტერესდა ჯიბრანის პიროვნებით და ბიშარში ხალილ ჯიბრანის ცხოვრების შესახებ – რასაკვირველია, საკუთარი წარმოდგენების მიხედვით – ვრცელი პოემაც კი დაწერა, რომელსაც სათაურად „მოციქული“ უწოდა. უეჭველია, რომ ეს კავშირი და პიბედის ეს პოემა გახდა ბიძგის მიმცემი ჯიბრანის ერთ-ერთი შესანიშნავი წიგნის „მოციქულის“ შესაქმნელად, რომელზეც პოეტი რამდენიმე წელიწადს მუშაობდა.

სწორედ 1923 წელს, „მოციქულის“ გამოქვეყნების შემდეგ, ჯიბრანმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ამით მის ხანგრძლივ შიმშილობასა და უკიდურეს სიღატაკესაც წერტილი დაესვა.

მანამდე კი, ჯიბრანის ცხოვრებაში უდიდესი როლი კიდევ ერთმა ქალმა ითამაშა.

1904 წლის ზაფხულში, ბოსტონში ჯიბრანის ესკიზებისა და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, რომელმაც ხელოვნების კრიტიკოსთა დიდი ყურადღება მიიღო. თვითონ ჯიბრანისთვისაც ამ გამოფენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სწორედ ამ დროს გაიცნო ბოსტონის ქალთა გიმნაზიის დირექტორი მერი ჰასეელი. ამის შემდგომ, ჯიბრანის ცხოვრებაში ჟოზეფინ პიბედის ადგილი მერი ჰასეელმა





„მერი, ჩემო ძვირფასო მარი, ლართო ჩემო, როგორ შეგიძლია მაითხო, ჩვენს შეხველრებს ჩემთვის ტკივილი უფრო მატი მოაქვს თუ სისარული? რაა ტკივილი ადლა სისარული, ან კი შეიძლება – გავიპაროთ ერთი მეორისგან? ძალა, ჩვენ რომ ერთმანეთისაკენ გვიბიძგებს, სისარულისა და ტკივილის ნაზავია...“

დაიკავა და ამ მოვლენამ მისი ლიტერატურული შეხედულებანი თუ ცხოვრებისეული გეზი ძირეულად შეცვალა, რადგან სწორედ მერი ჰასქელმა შეაცვლიანა, რომ თავისი არაბული თხზულებანი, ინგლისურად თარგმნის მაგიერ, პირდაპირ ინგლისურადვე ეწერა. ამ ინგლისურ თხზულებათა რედაქტირება კი თავის თავზე აიღო.

მერი ჰასქელი იმდენად იყო გატაცებული ჯიბრანის პიროვნებითა და შემოქმედებით, რომ ერთხანს არაბულის სწავლა-საც შეეცადა, რათა ჯიბრანის სტილსა და თვითგამოხატვის ყაიდას ამრიგად უკეთესად გაცნობდა.

სხვათა შორის, ქალბატონი ჰასქელიც ჯიბრანზე ათი წლით უფროსი გახლდათ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შემდგომში სწორედ ასაკობრივი სხვაობის გამო, მერი ჰასქელმა ჯიბრანის საქორნიზო წინადადება უარყო, თუმცა ამით მათ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა. სიყვარული და პატივისცემა უნინდებურად თავის ადგილას დარჩა ისე, რომ სხვა კაცზე გათხოვების შემდეგაც კი, მერი ჰასქელს არაბი პოეტისთვის ზრუნვაზე, მისი ბედისნერის თანაგანცდასა და მის ცხოვრებაში თანამონაწილეობაზე ხელი არ აუღია.

იმსანად ჰასქელმა დღიურის წერაც წამოიწყო, სადაც ჯიბრანთან თავისი შეხვედრებისა და საუბრების უმნიშვნელო წვრილმანებსაც კი აღნუსხავდა. ეს დღიური 1931 წლამდე, ანუ ჯიბრანის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა და შემდგომში დიდი არაბი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო წყაროდ სწორედ მერი ჰასქელის ჩანაწერები იქნა აღიარებული.

თვითონ ჯიბრანი კი, როგორც ჩანს, თავისი ცხოვრების ამ ორი საოცარი ქალის წყალობითაც აკეთებს დასკვნას, რომელიც ჩანაწერების წიგნში ასეთ სახეს მიიღებს:

„ყოველ მამაკაცს უყვარს ორი ქალი: ერთი მისივე ფანტაზიითაა შექმნილი, ხოლო მეორე – ქვეყნად ჯერ არ დაბადებულა.“

ცხადია, აქ სულ სხვა რამაა ნაგულისხმევი, მაგრამ, თავის-თავად, ეს პატარა ჩანაწერი შეიძლება იმის კარგ მაგალითად გამოვგადგეს, როგორ აისახება და ტრანსფორმირდება მწერლის პირადი ცხოვრება მისსავე ნაწერებში.

და კიდევ ერთი:

„მრავალი ქალი ეუფლება მამაკაცის გულს, შენარჩუნებით კი მხოლოდ ზოგი ინარჩუნებს.“

ყოველ შემთხვევაში, ამ ორმა ქალმა – იმის მიუხედავად, ფიზიკურად მის გვერდით იყვნენ თუ არა – ჯიბრანის გულის შენარჩუნება ბოლომდე მოახერხა.

თუმცა, როგორც ჩანს, მერი ჰასქელს ეს საკითხი მაინც აეჭვებდა, რაკიდა ჯიბრანის ერთ-ერთ საპასუხო ბარათში ვკითხულობთ:

„მერი, ჩემო ძვირფასო მერი, ლმერთო ჩემო, როგორ შეგიძლია მკითხო, ჩვენს შეხვედრებს ჩემთვის ტკივილი უფრო მეტი მოაქვს თუ სიხარული? ერთი მითხარი, რა ზეციურმა ან მინიერმა ძალამ ჩაგაგონა ასეთი აზრი?“

რაა ტკივილი ანდა სიხარული, ან კი შეიძლება – გავმიჯნოთ ერთი მეორისგან? ძალა, ჩვენ რომ ერთმანეთისაკენ გვიბიძგებს, სიხარულისა და ტკივილის ნაზავია და, რითაც ის

ესპანური ფოტომოთხოვები

ავტორი: დათო ჭურაშვილი



ურთია

ესპანელები ჩვენსავით უცნაური ხალხია და მადრიდში იმ ქუჩას, სადაც სერვანტები ცხოვრობდა, ლოპე დე ვეგას სახელი ჰქვია და პირიქით — ის ქუჩა, სადაც ლოპე დე ვეგა ცხოვრობდა, სერვანტების სახელობისაა. შეიძლება ამ უცნაურ მოვლენას ესპანური ხასიათის თავისებურება განაპირობებს, რომელიც ძალიან ჰგავს ქართული პირველობის თავგადასავალს და ლოპე და ვეგასა და მიგელ სერვანტების დაპირისპირება აუცილებლად გაგახსენებთ ჩვენი ილიასა და აკავის ან აკავისა და ვანო მაჩაბლის ურთიერთობის ისტორიას. მართალია ამ მხრივ ესპანელი კლასიკოსები ჩვენსავით შორს არ წასულან, მაგრამ ესპანელებმა, ქუჩების გამოცვლით, მაინც გადაწყვიტეს, ასე უცნაურად აეხსნათ ორი ესპანელი გენიოსისთვის, რომ ისინი, ორივენი, ბედკრული ესპანეთის შვილები იყვნენ და მათი ჩამომავლებისთვის სულერთი იქნებოდა, ვინ იყო იდესლაც მათ შორის მართალი.

თუმცა ეს ორივე ქუჩა მადრიდის ერთსა და იმავე უბანში მდებარეობს, რომელსაც ადრე ჰუერტას ერქვა, რაც ქართულად ბაღჩა-ბაღებს ნიშნავს და მაშინ ეს ადგილი მადრიდის გარეუბანი იყო, სადაც ძევლ მადრიდელებს ბაღბოსტნები ჰქონდათ, როგორც გაბაშვილებს ვერაზე, მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ვერა თბილისის გარეუბანი იყო. იმ მამულებიდან გაბაშვილებს მხოლოდ ერთი, ისიც დროებითი ოთახი დარჩათ ყოფილი მადათოვის კუნძულის წინ, კულტურის სამინისტროში და მადრიდში კი უერტა ახლა მხოლოდ ერთ ვიწრო ქუჩას ჰქვია. ამ ქუჩაზე სტაფილო და ჭარხალი (ან თუნდაც კომბოსტო), დიდი ხანია აღარ მოჰყავთ, მაგრამ ამ ქუჩაზე გავლისას, სტაფილოს გარეშეც იზრდები და თანაც საგრძნობლად, რადგან ეს ყველაზე ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ქუჩაა მადრიდში, ესპანეთსა და ალბათ მთელს მსოფლიოში.

ეს ქუჩა ვიწრო კია, მაგრამ ისეთი გრძელია, რომ თითქმის მთელი ესპანური ლიტერატურა ზედ ეტევა და თუ სწავლა გეზარება და გავლა გირჩევნია, ამ ქუჩაზე უნდა გაიარო და სანამ ბოლოში გახვალ, იმდენ მნიშვნელოვან ფრაზას ამოიკითხავ ესპანური ლიტერატურიდან, რომ ცოტა იმაზე უკეთესი (ვიდრე ხარ) აუცილებლად გახდები. თანაც ლიტერატურული ტექსტების გარდა,

ესპანური ფოტომოთხოვები

ავტორი: დათო ჭურაშვილი



ურთია

ესპანელები ჩვენსავით უცნაური ხალხია და მადრიდში იმ ქუჩას, სადაც სერვანტები ცხოვრობდა, ლოპე დე ვეგას სახელი ჰქვია და პირიქით — ის ქუჩა, სადაც ლოპე დე ვეგა ცხოვრობდა, სერვანტების სახელობისაა. შეიძლება ამ უცნაურ მოვლენას ესპანური ხასიათის თავისებურება განაპირობებს, რომელიც ძალიან ჰგავს ქართული პირველობის თავგადასავალს და ლოპე და ვეგასა და მიგელ სერვანტების დაპირისპირება აუცილებლად გაგახსენებთ ჩვენი ილიასა და აკავის ან აკავისა და ვანო მაჩაბლის ურთიერთობის ისტორიას. მართალია ამ მხრივ ესპანელი კლასიკოსები ჩვენსავით შორს არ წასულან, მაგრამ ესპანელებმა, ქუჩების გამოცვლით, მაინც გადაწყვიტეს, ასე უცნაურად აეხსნათ ორი ესპანელი გენიოსისთვის, რომ ისინი, ორივენი, ბედკრული ესპანეთის შვილები იყვნენ და მათი ჩამომავლებისთვის სულერთი იქნებოდა, ვინ იყო იდესლაც მათ შორის მართალი.

თუმცა ეს ორივე ქუჩა მადრიდის ერთსა და იმავე უბანში მდებარეობს, რომელსაც ადრე ჰუერტას ერქვა, რაც ქართულად ბაღჩა-ბაღებს ნიშნავს და მაშინ ეს ადგილი მადრიდის გარეუბანი იყო, სადაც ძევლ მადრიდელებს ბაღბოსტნები ჰქონდათ, როგორც გაბაშვილებს ვერაზე, მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ვერა თბილისის გარეუბანი იყო. იმ მამულებიდან გაბაშვილებს მხოლოდ ერთი, ისიც დროებითი ოთახი დარჩათ ყოფილი მადათოვის კუნძულის წინ, კულტურის სამინისტროში და მადრიდში კი უერტა ახლა მხოლოდ ერთ ვიწრო ქუჩას ჰქვია. ამ ქუჩაზე სტაფილო და ჭარხალი (ან თუნდაც კომბოსტო), დიდი ხანია აღარ მოჰყავთ, მაგრამ ამ ქუჩაზე გავლისას, სტაფილოს გარეშეც იზრდები და თანაც საგრძნობლად, რადგან ეს ყველაზე ლიტერატურულ-საგანმანათლებლო ქუჩაა მადრიდში, ესპანეთსა და ალბათ მთელს მსოფლიოში.

ეს ქუჩა ვიწრო კია, მაგრამ ისეთი გრძელია, რომ თითქმის მთელი ესპანური ლიტერატურა ზედ ეტევა და თუ სწავლა გეზარება და გავლა გირჩევნია, ამ ქუჩაზე უნდა გაიარო და სანამ ბოლოში გახვალ, იმდენ მნიშვნელოვან ფრაზას ამოიკითხავ ესპანური ლიტერატურიდან, რომ ცოტა იმაზე უკეთესი (ვიდრე ხარ) აუცილებლად გახდები. თანაც ლიტერატურული ტექსტების გარდა,



ამ ქუჩაზე ამოტვიფრულ რჩევებზეც დაფიქრდები, როგორი ზარმაციც არ უნდა იყო და ნეპტუნის მოედანზე უკვე ისეთი დაბრძენებული ჩახვალ, რომ პრადოს მუზეუმში (რომელიც იქვეა) აღარ შეხვალ. ალბათ იმიტომ, რომ კვირაობით უფასოა, მაგრამ რიგებია და თანაც დიდი მუზეუმიდან გამოსვლა დიდი ქირნილიდან შინ დაბრუნებას ჰგავს, როცა სწორედ იმის გამო, რომ დიდი არჩევანია, მშიერი რჩები და სახლში მისული, მხოლოდ შემწვარ კვერცხზე ფიქრობ და მაცივარში მიძვრები.

ამიტომაც ჯობია გზა გააგრძელო და იქვე, დედოფალ სოფიას მუზეუმში შეხვიდე, სადაც პრადოსავით დიდი არჩევანია, მაგრამ არც მარჯვნივ უნდა გაიხედო, არც მარცხნივ და პირდაპირ პიკასოს „გერნიკას“ უნდა მიადგე და სწორედ გერნიკას წინ არის სალვადორ დალის „გოგონა ფანჯარაში“...

თუ იცით, რომ მადრიდიდან თბილისში დაბრუნებულს, აუცილებლად შეგეკითხებიან პრადოს შესახებ და ტყუილის თქმა კი არ გიყვართ, მაშინ შეგიძლიათ მაინც შეიაროთ პრადოში, მაგრამ იქ დიდხანს ნუ გაჩერდებით (განსაკუთრებით ბოსხის ტილოებთან), რადგან მუზეუმის წინ, ისეთი წიგნები იყიდება, მხოლოდ სათაურების წაკითხვასაც ნახევარი დღე სჭირდება. აქ, პრადოს ხეივანში ნებისმიერი წიგნის ყიდვა შეიძლება და თანაც გაცილებით იაფად, ვიდრე ნებისმიერ მაღაზიაში, მაგრამ თუ საქმარისი თანხა მაინც არ აღმოგაჩნდებათ, მაინც ნუ იდარდებთ, რადგან შეგიძლიათ კიდევ ერთხელ მიიღოთ უფასო განათლება უერტას ქუჩაზე. გარდა იმისა, რომ გამეორება ცოდნის დედაა, მადრიდის ყველაზე ლიტერატურულ ქუჩაზე ქვემოდან ზემოთ, აღმა ასვლას ერთი სერიოზული უპირატესობაც აქვს და მხოლოდ აღმართზე ნელა ასვლისას თუ შეამჩნევთ ამ ქუჩაზე არსებულ ერთ უნიკალურ

მაღაზიას. ეს არის რუკების მაღაზია (მგონი რუქა უკეთესად ჟღერს), საიდანაც ნებისმიერი ქართველი ძალიან ამაყად გამოვა, რადგან ნებისმიერ რუკაზე შეგიძლიათ ნახოთ სიტყვა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აღნიშნავს და რომელსაც ნებისმიერი ქართველი ინსტინქტურად მაინც ეძებს, როცა რუკასთან დგას ან გლობუსს ატრიალებს. ყველაზე საამაყო და სასიხარულო კი ის არის, რომ ამ მაღაზიაში უძველესი, უნიკალური რუკები იყიდება და ნებისმიერ მათგანზე საქართველოც არის აღნიშნული, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის არსებობდა – ყოველ შემთხვევაში, არსებობდა უკვე მაშინ, როცა ადამიანებმა პირველი რუკების შედგენა დაიწყეს.

თუმცა ზემოთქმულის გამო, სიამაყე ამ მაღაზიიდან გამოსვლის შემდეგ შეიძლება ძალიან სწრაფად, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისთანავე გაგიქრეთ, როცა აღმოაჩენთ, რომ მხოლოდ წარსულით ცხოვრება საკმარისია არ არის თანამედროვე სახელმწიფოს შესაქმნელად და ესპანელები ამას, ჩვენგან განსხვავებით, უკვე მიხვდნენ. თუმცა მიხვდნენ აგერ სულ ახლახანს, ოციოდე წლის წინ და ალბათ ადრე თუ გვიან, ჩვენც მივხვდებით, რომ ჩვენი ამპარტავნობა და ამბიციები წარსულის ტვირთივით გზაზე უნდა დავტოვოთ და გზა მათ გარეშე გავაგრძელოთ.

უერტაზეც თუ აღმა გააგრძელებთ გზას, წმინდა ანას მოედანს მიადგებით, სადაც ყოველ სალამოს სწორედ ყველაზე თავისუფალი ადამიანები იკრიბებიან და განსაკუთრებით კი პარასკევს და შაბათს. ამ მოედანზე დგას ფედერიკო გარსია ლორკას ძეგლი (ცხენის გარეშე) და სწორედ ამ მოედანზე იგრძნობთ ყველაზე მეტად, როგორ გვაკლია სახელმწიფოს შესაქმნელად ყველაზე მთავარი – აზროვნების თავისუფლება.



თავისუფლება

თავისუფლება აზროვნების კატეგორია უფრო არის, ვიდრე რომელიმე დეკარაციის შედეგი და ჩვენც სწორედ ამით განვსხვავდებით დასავლური ცივილიზაციისაგან — იმ ადამიანებისაგან, რომლებიც თავისუფალ საზოგადოებაში ცხოვრობენ და მათი ხელისუფლებაც, ჩვენი ხელისუფლებისაგან უპირველესად თავისუფლების ხარისხით განსხვავდება.

თავისუფლების დეფიციტი არა მხოლოდ ქართული ხელისუფლების პრობლემა და თავისუფალი ცნობიერების ნაკლებობას ქართული საზოგადოებაც საკმაოდ განიცდის, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი მაინც ხელისუფლებას ეკუთვნის. დასავლეთში კი პირიქითაა და ევროპული ცივილიზაციის მთავარი მონაცოვარი სწორედ თანასწორობა და თავისუფლებაა და ამიტომაც დგას ამ შენობის წინ ერთადერთი პოლიციელი.

ეს ერთადერთი პოლიციელიც ფორმალურად დგას ესპანეთის მთავარი საკანონმდებლო შენობის წინ, რომელიც მუდამ ღიაა რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის, ისევე როგორც სამეფო სასახლე ან პრეზიდენტის რეზიდენცია და პრეზიდენტის დაცვასაც ვერასოდეს შეამჩნევს ესპანეთის რიგითი მოქალაქე და მათგან შეწუხებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამას წინათ, რეზიდენციის წინ მდგარ ესპანეთის პრეზიდენტს (ჩვენსას ჯვარი სწერია), ველოსიპედით დაეჯახა რეზიდენციის წინ მოსეირნე ბავშვი, რომელიც არათუ არ დახვრიტეს, არც კი დააპატიმრეს და პირიქით — ესპანეთის პრეზიდენტმა თვითონაც მიიღო მონაწილეობა იმ დაზიანებული ველოსიპედის შეკეთებაში, მიუხედავად იმისა,

რომ დამნაშავე ის ბავშვი იყო და არა საპატერო.

ჩვენს პრეზიდენტს (და სხვებსაც) ჯვარი სწერიათ და შვედეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე, სტოქჰოლმის ერთ-ერთი კინოთეატრის შესასვლელთან, ბილეთების რიგში მოკლეს. შვედეთის ყოფილი პრემიერი ცოლათან ერთად იდგა საღამოს სეანსის მოლოდინში და რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსვლია, რომ ურიგოდ, რიგში მდგომი რიგითი ადამიანების გვერდის ავლით ეყიდა კინოს ბილეთი. იდგა და ელოდა თურმე სიკედილს და სჯეროდა, რომ თუ შენი ქვეყნისა და ხალხისთვის (ყველას ჯვარი წერია კიდევ ერთხელ) სიკედილი არ შეგიძლია, ქვეყნის მმართველი არც უნდა გახდე.

ალბათ ტელეკურანებზე მაინც ყველას უნახავს ლონდონში, დაუნინგ-სტრიტზე, ათ ნომერში (სადაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაა), როგორ ხვდება ბრიტანეთის პრემიერი რომელიმე მის კოლეგას სხვა ქვეყნიდან, როცა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი თვითონ უდებს კარს სტუმარს და იქვე, რეზიდენციის წინ, ტროტუარზე და ქუჩაზე მოძრაობა არც წყდება. აზრადაც არავის მოსდის, რომ ქუჩა და ტროტუარი გადაკეტონ და ბრიტანეთის რიგითი მოქალაქეები შეაწუხონ ან დისკომფორტი შეუქმნან, რადგან სჯერათ, რომ სახელმწიფოში მთავარი რიგითი ადამიანების ლირსებაა და სწორედ ამით განსხვავდება დემოკრატიული და ევროპული ცივილიზაცია საბჭოური და პოსტსაბჭოური ასფალტისაგან...

ესპანური იფოტომოთხოვები

ავტორი: დათო ჭურაშვილი



მთავარი მოიდანი

სწორედ იმ წელს, როცა სერვანტესი გარდაიცვალა, მა-დროიდში მთავარი მოედნის მშენებლობა დაიწყეს და სამეფო კარი და ქალაქის მოსახლეობა ისეთი დაკავებული აღმოჩნდა, რომ სერვანტესის საფლავი, მისი გარდაცვალებიდან მოკლე ხანში, უბრალოდ დაიკარგა. სერვანტესი შეიძლება ამ მოედ-ნიდან ძალიან ახლოსაც კი დაკრძალეს, მაგრამ ქალაქის გა-რეუბანშიც რომ დაეკრძალათ, მგონი, ვიღაცას მაინც უნდა დაემახსოვრებინა მისი დაკრძალვის ადგილი, თუმცა, საფლა-ვი მაინც დაიკარგა. “დონ კიხოტე” უკვე დაწერილი იყო და როგორც ხდება ხოლმე, წიგნზე უფრო მეტად იზრუნეს, ვი-დრე ავტორზე. ესპანეთის მაშინდელი მეფე ფელიპე მესამეც გიუდებოდა ამ წიგნზე, მაგრამ ამ წიგნის ავტორი შიმშილით კვდებოდა იმ ქვეყანაში, სადაც ის მეფე იყო.

მეფე ფელიპე ერთხელ თურმე სასახლის აივნიდან ბალში მოკალათებული კაცი დაინახა წიგნით ხელში, რომელიც კი-თხელობდა და სიცილით კვდებოდა. მეფემ თქვა, — ეს კაცი ალბათ “დონ კიხოტეს” თუ კითხულობს, რადგან მხოლოდ სერვანტესს შეუძლია ასე გააბედნიეროს მკითხველით და კაცი ჩააგზავნა ამბის გასაგებად და მართალიც გამოდგა. ამიტომაც არ უყვართ ფელიპე მესამე, რომელმაც კარგად იცოდა სერვანტესის ფასი და სერვანტესი კი მისი მეფობის დროს სილატაკესა და სიმარტოვეში გარდაიცვალა. სერვან-ტესის ძეგლი მადლიერმა ესპანელებმა მოგვიანებით, მხო-ლოდ მეოცე საუკუნეში დადგეს მადრიდში, ფელიპე მესამეს კი ეს პატივი სიცოცხლეშივე ერგო და მისი ძეგლი ახლა იქ დგას, სადაც ფელიპე მთავარი მოედნის აშენება ბრძანა. უფრო სწორად, ბრძანა მოედნის გაფართოება, სადაც უკვე არსებობდა ხორცის დახლი და პურის საცხობი და უკვე გა-

ფართოებული მოედნის გარშემო კი სახლები ხუან დე მორას პროექტით ააშენეს. ამ სახლებს მთავარ მოედანზე გამავალი 437 აივანი აქვთ და ამ აივნებიდან, აქ მცხოვრები ადამია-ნები ესპანეთის მთავარ მოვლენებს შინიდან გაუსვლელად ადევნებდნენ თვალს. თუმცა აქ ზოგჯერ ისეთი საშინელი ამბებიც ხდებოდა, შინ შესვლა და აივანზე გამავალი კარის საგულდაგულოდ ჩარაზეა ჯობდა, რადგან კარნავალებისა და დღესასწაულების გარდა, ამ მოედანზე ზოგჯერ აუტო-დაფეც იმართებოდა, როგორც ადამიანთა დასჯის სამაგა-ლითო ფორმა. ხშირად კორიდორსაც აწყობდნენ და მოედნე-ბზე კორიდები იმართებოდა მანამ, სანამ მთელს ესპანეთში ხარებისათვის სპეციალურ საპრძოლო არენებს ააშენებდნენ. მადრიდის მთავარ მოედანზეც უკანასკნელი კორიდა 1847 წელს გაიმართა, ისაბელა მეორეს პატივსაცემად და იმ დღეს, მოკალული ხარების ხორცი, ხარების ყველებთან ერთად, დე-დოფლის საქორნილო სუფრაზე უამრავ სტუმარს მიართვეს. იმ ქორწილში სტუმართაგან ერთ-ერთმა პირველად იხუმრა — კიდევ კარგი მატადორებმა იმარჯვეს და არა ხარებმაო. ეს უშინ ხუმრობა ესპანეთში ახლაც არსებობს, მაგრამ ალარ არსებობს ის ძეგლი პურის საცხობი და ხორცის მაღაზია და მადრიდის მთავარი მოედანი ახლა სულ სხვაა — აქ, ძირი-თადად, ტურისტები დადიან და ადგილობრივი მხატვრების სურათებს ყიდულობენ. ყიდულობენ ძველ მონეტებსაც კვი-რაობით; შაბათობით კი, ღია ცის ქვეშ, უფასო კონცერტებს უსმენენ. ცა მადრიდში ყოველთვის ღიაა. ყოველ შემთხვევაში, მადრიდზე დაწერილ ყველაზე პოპულარულ სიმღერაში ზუსტად ასეა — მადრიდის ცა ყოველთვის ღიაა, იქიდან კი მთავარი მოედანი მართლა ძალიან ლამაზია...



ებრო

სანტანდერი, კანტაბრიის დედაქალაქი, ჩრდილოეთ ესპანეთში მდებარეობს, მაგრამ მაღრიდიდან სანტანდერისკენ მიმავალ გზაზე, აუცილებლად გაივლით გურიას. თუმცა ულელტეხილზე ისიც მოგეწვენებათ, რომ კანტაბრიის მთები ლეჩეუმსაც ჰგავს და ალაგ-ალაგ კი იმერეთსაც; ხოლო როცა სანტანდერისკენ დაშვებას დაიწყებთ, საბოლოოდ დარწმუნდებით, რომ ბათუმში ჩადიხართ არა ფოთის გზით, არამედ გურიის გავლით. სანტანდერში ჩასვლისთანავე კი, თუ ზღვას ზურგს შეაქცევთ და უკან, მთებზე შეფენილი სოფლებისკენ გაიხედავთ, კი ალარ გაგაკვირვებთ ბათუმთან მსგავსება, არამედ უბრალოდ გაგეცინებათ ამ საოცარი დამთხვევის გამო და რომ ესპანეთში ხართ და არა აჭარაში, ამაში დასარწმუნებლად ისევ ზღვა დაგეხმარებათ. ზღვა კი ჰქინია ბისკაის ყურეს, მაგრამ კანტაბრიის ზღვას ზუსტად ისეთი ტალღები აქვს, როგორც მხოლოდ ოკეანეს და ამიტომ ამ ზღვას ზურგს დიდხანს ვერ შეაქცევთ. ამინდსაც მნიშვნელობა არა აქვს; შეგიძლია მთელი დღე იჯდე ნაპირთან ძალიან ახლოს და საკუთარი თვალით ნახო ის, რაც მხოლოდ კინოში ან ტელეეკრანზე გინახავს — როგორ ეძებენ და ელოდებიან ადამიანები ყველაზე ბობოქარ ტალღებს. სერფინგისთვის სწორედ ყველაზე დიდი, გრძელი და ძლიერი

ტალღებია საჭირო და ალბათ ძალიან იშვიათად აქვთ ადამიანებს ასეთი სახეები ზღვასთან მიახლოებისას, რადგან იშვიათად თუ მოაქვს ამდენი ადრენალინი რამეს, გარდა ამ გრძელი, ულამაზესი ტალღებისა. ესპანეთში მხოლოდ კანტაბრიაშია დარჩენილი უძველესი კელტურ-იბერიული გუდასტვირი (როგორც რაჭაში და შოტლანდიასა და აჭარაში), რომელსაც კანტაბრიელები ზღვაში შესვლამდე აჭყვიტინებენ და ეს ჯადოსნური მუსიკა თურმე იმისთვის სრულდება, რომ სწორედ ის ტალღები გამოიხმონ ზღვიდან, ყველაზე მეტად რომ სჭირდება ნარმატებულ სერფინგს. კანტაბრიელები ამ გუდასტვირებით თავიანთი წინაპრების სულებსაც იძახებენ თურმე და მათი წინაპრები კი უძველესი ევროპელები არიან — ყველ შემთხვევაში, მხატვრები მაინც, რადგან სწორედ კანტაბრიის მთებში არის ალტამირას გამოქვაბული, სადაც ადამიანმა ხატვა დაიწყო. თუმცა, ქართველებისთვის კანტაბრიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მდინარე ებროა, რომელსაც უკან, მაღრიდისკენ მომავალ გზაზე მეორედ გადაივლით და იქნებ წამით მაინც შეყოვნდეთ ამ მდინარესთან, რადგან იბერიული, ჩვენი საერთო წინაპრების ცივილიზაცია სწორედ აქ, ამ მდინარის ნაპირებთან დაიწყო...

...

მთაში, მიტოვებულ ჭაში, ბაყაყები ცხოვრობდნენ. მათ ასე მიმართეს დუნხაის — აღმოსავლეთის ზღვის უზარმაზარ კუს: “რა სახალისოა ჩვენი ყოფა! ამოვხტები ხოლმე, ჭის კიდეზე ვლალობ, ჭაში კი აგურის კედლების ღრიფოებში ვისვენებ, ხან წყალში ვისველებ ფეხებსა და თავ-პირს, ხან ტალახში ვვარდები, უკანა ფეხებს შლამში ვმარხავ. ჭია-ღუას, კიბორჩხალებსა და თავკომბალებს რომ ვუყურებ — ვერავინ ცხოვრობს ჩემსავით. თანაც, მთელი გუბურა ჩემია, შემიძლია მიტოვებულ ჭაში ჩემს ნებაზე ვისეირნო — ფრიად სასიხარულო რამაა. ბატონო ჩემო, მაშ, რად არ გვესტუმრები ხოლმე?”

მაგრამ ზღვის კუმ მარცხენა ფეხის ამონევაც ვერ მოასწრო, რომ მარჯვენა ჭასთან გაეჭედა. ნელ-ნელა უკან მოუწია დახევა და ზღვის შესახებ უამბო ბაყაყს: “ზღვა — ო, რომა თქვა, ათასი ლის სიგანისააო, იგივეა, რომ არაფერი თქვა მის სიდიადეზე. რომა თქვა, ათასი ლიაო მისი სიღრმე, იგივეა, რომ არაფერი თქვა მის მოცულობაზე. სიანის ხანაში, იუს დროს, ათი წლიდან ცხრა წელინადს თან წყალდიდობები სდევდა, მაგრამ სულაც არ მოუმატია ზღვაში წყალს. შანის ხანაში, ტანის დროს, რვიდან შვიდი წელინადი დამღუპველად გვალვიანი იყო, მაგრამ ზღვის ნაპირს არაფერი დაკლებია. მისი მოცულობა დროს არ ემორჩილება, და წყლის სიუხვე მიქცევ-მოქცევაზე გავლენას ვერ ახდენს. ეს სიხარული გვავსებს დუნხაში — აღ-მოსავლეთის ზღვაში!”

ამის მსმენელი ბაყაყი გაოგნდა. იგრძნო, რომ არარაობა იყო, ერთი ციდა. უმალ წაუხდა ნირი, თითქოს ძალზე მნიშვნელოვანი რამ ჰქონდა დაკარგული.



聖誕快樂

樂

火鍋



ძანი და კუ მწყემსები იყვნენ, ორივემ ცხვარი დაკარგა. ძანს ჰქითხეს, ცხვარი რად დაკარგეო. მან თქვა, კომბალი იღლიაში ამოვიდე, ხელში წიგნი მეჭირა და ვეითხულობდიო.

კუს ჰქითხეს, მან მიუგო, კამათელს ვაგორებდიო.

სხვადასხვა საქმით იყვნენ დაკავებული, ცხვარი კი ორივემ დაკარგა.

ხოიძი ამბობდა: „ჩემთან უზარმაზარი ხე იზრდება, ამ ჯიშს ჩოუჭო ჰქვია. ეს ხე ფუჭია, მშენებლობისათვის არ ვარგა, ტო-ტები ებრიცება, ნაკეთობისათვის ვერ გაასწორებ. ტყუილად გაიზარდა, ოსტატები ზედაც არ უყურებენ. შვილო ჩემო, დღეს შენი სიტყვები გრძელი იყო და ფუჭი, ყველა ისე ნავიდა, ბოლომდე არ მოუსმენიათ“.

დილით სამი, სალაშოს ოთხე

სამეფო სუნში ერთ კაცს უამრავი მაიმუნი ჰყავდა. რათა მათთვის უკეთ მოევლო, უთხრა: „საჭმელი ცოტალა დაგვრჩა. დღეიდან დილ-დილობით თითოეულს სამ-სამ რკოს მოგცემთ, სალამოობით კი — ოთხ-ოთხს. რას იტყვით?“ მაიმუნები აჯანყდნენ, ხტოდნენ, ყვირილი ატეხეს. იფიქრა კაცმა და თქვა: „მაშინ დილით ოთხ-ოთხს მოგცემთ, სალამოს კი — სამ-სამს, კარგი?“ ამჯერად მაიმუნებმა გაიხარეს, გაჩუმდნენ, ძირს დასკუპუდნენ და საჭმლის მოლოდინში თათი გაუწოდეს პატრონს.

ოქანის შემყურე ოხრავს

მოდიდდა შემოდგომის წყლები, ხუანხეს შეუერთდა დიდი და პატარა ნაკადები. ხუანხე ადიდდა, გაიშალა. მდინარის სული ფრიად კმაყოფილი იყო საკუთარი თავით და ზღვამდე მიაგორა ტალღები, მაგრამ გამძვინვარებული ზღვის დანახვაზე ისე-თი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ერთი ციდა, სუსტი შენაკადი იყო, მდინარეს ვერც უწოდებდი. რომ მიმოიხედა და ზღვისა და ოკეანის შორეთი დაინახა, დაირცხვინა. მაშინ ასე მიმართა ჩრდილოეთის ზღვის სულს: „შენთან რომ არ მოესულიყავი, ოკეანე რომ არ მენახა, განა დავიწყებდი ზღვაზე ოხვრას?! და კვლავაც რომ მეამაყა, ხომ სასაცილო ვიქნებოდი დიადთა თვალში?!“



რუპიკის კუბი და ბრეზნევის კუბი

წარმოდგენა არ მაქვს, რატომ შეარქევს ქართველებმა „საპოუნიკი“ კინომექანიკოსს, რომელსაც აპარატში ფირო ეჭვდება ხოლმე. რა საერთო აქვს ფილმის ჩვენებას ფეხსაცმლის შეექვებასთან? შესაძლოა, ეს სახელი თბილისში გამართულ პირველ კინოსანსებს უკავშირდება; შესაძლოა, პირველი მექანიკოსები (ისევე როგორც მენალეები) თბილისელი სომხები იყვნენ.

მოვა დრო და, ალბათ, გამოჩნდება პატიოსანი კაცი, ვინც ქართული „კინომექანიკის“ ისტორიით დაინტერესდება.

ჯერ-ჯერობით კი, მოდით ვაღიაროთ, რომ „საპოუნიკი“ და კინომექანიკოსი სულაც არ არის ხელნამოსაკრავი, აბუჩად ასაგდები პროფესიები... საბჭოთა ხანაში კინომექანიკოსს ხანდახან მართლაც ეჭვდებოდა ფირო; უფრო მეტიც, ფირი ზოგჯერ იწვებოდა კიდეც, მაგრამ რატომ ბრალდებოდა ყველაფერი უპაერო ჯინურში მოკალათებულ მშრომელ კაცს, როცა ყველამ კარგად იცოდა – ამ ქვეყანაში საპროექციო აპარატს კი არა, ნემსსაც კი ვერ ამზადებენ ხარისხიანად... საბჭოთა ფირზე ხომ ლეგნდები დადიოდა. კინოფირის მწარმოებელ ფაბრიკა „სვემას“, 1982 წლის 24 მაისს, როცა ხელისუფლებამ ე.წ. „სამომზარებლო პროგრამა“ დაამტკიცა (ამ დროისთვის რიგები კარაქტერი, სარეცხ ფხვნილზე, შექარზე უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა), პირდაპირ მიუთითეს, მაქსიმალურად დაუზოგათ ქიმიკატები.

„ეკონომიკა ეკონომიკური უნდა იყოს!“ – ეს ლოზუნგი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის კინონარმოებასაც შეეხო. რამდენიმე წლით ადრე, ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმი „კინფორმისტი“, რომელიც ფერადოვანი გადაწყვეტის თვალსაზრისით, დღესაც ყველა დროის შედევრად ითვლება, „სვემას“ მშრომელებმა შავ-თეთრ ფირზე გადაიტანეს. მოგვიანებით იტალიის კომპარტიის წევრი ბერნარდო ბერტოლუჩი, რომელსაც მოსკოველმა კომუნისტებმა, ფაქტობრივად, აპატიეს „უკანასკნელი ტანგო პარიზში“, საბჭოთის დედაქალაქს ეწვევა და მოსკოვში რუსულად გახმოვანებული „კონფორმისტის“ ნახვას მოინდობებს.

კინოთეატრიდან გამოსული ბერტოლუჩი იტყვის: „მე ამ ქვეყანაში არასდროს ჩამოვალ!“

„კინფორმისტის“ საბჭოთა ვერსია დიდი ხანია შევიდა გინესის წიგნში, როგორც ცენზურის მიერ ყველაზე დასახირებული ფილმი. ჩვენი მაყურებელი, უბრალოდ, ვერ მიხვდა, რა სჭირდა სურათის გმირს, მარჩელო კლერიჩის; ვინ იცნო მან სურათის ფინალურ ეპიზოდში, როცა ომის დასრულების შემდეგ, იტალიელები მუსოლინის ქანდაკებას ნაკუნებად შლიან.

მოსკოვში მთლიანად ამოიღეს ფილმის ცენტრალური სცენა, რომლითაც ირკვევა, რომ მარჩელო ბავშვობაში მისი მშობლების მძღოლმა, ვინმე ბრუნომ შეაცდინა. ამ ტრაგმამ დააფრთხო კლერიჩი, ამ ტრაგმამ აიძულა მოერგო „მაგარი კაცის“ ნიღაბი და მასსავით „მაგარ კაცებთან“, იტალიელ ფაშისტებთან დაეწყო თანამშრომლობა. „კინფორმისტის“ ფინალში კლერიჩის ნავსაყედელი ინგრევა – ფაშისტები მარცხდებიან. ბრუნო კი იტალიელი ანტიფაშისტების გვერდით აღმოჩნდება.

ბერტოლუჩის აუხსნეს, რომ ჯანმრთელი და მორალურად მტკაცე საბჭოთა მაყურებელი ვერ გაიგებდა ამ „პერვერსიულ ნიუანსებს“, ჩვენს მშრომელებს არ მოენიშნებოდათ ფილმი, რომლის ავტორი ამტკიცებს – ფაშიზმი არა ისტორიული, არამედ ფსიქოლოგიური მოვლენაა, ძალადობა არა მარტო ძალადობას ბადებს... ძალადობა ქმნის გარემოს, სადაც ადამიანებს საკუთარი ცხოვრებით არსებობის უფლება ნართმეული აქვთ.

მაგრამ ბერნარდო ბერტოლუჩის ვერ გააგებინეს, რატომ გადაიტანეს ყველაფერი შავ-თეთრ ფირზე.

„ვერცხლის ამბავია. შავ-თეთრი ფირი რომ დაძველდება, ასლებს გაანადგურებენ, ნარჩენებით კი ვერცხლს მიიღებენ“ – აგვისნა უნივერსიტეტის კინოდარბაზის მექანიკოსმა, ჯონიმ, როცა აქაური პროფესორ-მასნავლებლები „კინფორმისტის“ საბჭოთა ასლის ბედით დავინტერესდით.

25 წლის მასწავლებელი რაღაც სიურეალიზმია, მაგრამ საბჭოთა საქართველოში სიურეალიზმი, როგორც სტილი, უკვე ბარაქიანად იყო დამკავიდრებული. ბოლოს და ბოლოს, სიურეალიზმი ხომ მხოლოდ სალვადორ დალი არ არის! ის დალი, რომლის ილუსტრაციები ჩვენმა ხალხმა პირველად „ოქსაში“ გახსნილ ბრიტანული წიგნის გამოფენაზე იხილა. („გოქსი“ – უცხოეთთან ურთიერთობის რაღაც „მოკაგებებინიკო“ ორგანიზაცია იყო). დალის წითელი ალბომის დასათვალიერებლად, ქართველი გიუბი – ე.ი. მე, 25 წლის მასწავლებელი და უნივერსიტეტის „მეორადი ფაკულტეტის“ სტუდენტები, რიგს დილიდან ვიკავებდით. დალის ინგლისური ალბომით ვტკებოდით და ცხელ-ცხელ დასკნებს ვაკეთებდით. მაგალითად ასეთს: სიურეალიზმია „არაჩეულებრივი გამოფენაც“, რადგან წესით და რიგით, არ შეიძლება სცენა სასაფლაოზე იყოს გადაღებული და მაყურებელს ეცინებოდეს.

„მეორად ფაკულტეტზე“ ტატა თვალჭრელიძემ მიმიყვანა. რომელიც ჩემი გადაცემა ნახა ტელევიზიით, მეორე დღეს დარეკა და უნივერსიტეტში დამიბარა. თავიდანე შევთანხმდით, რომ თბილის კინოგაქირავებიდან ფილმებს მეექვსე კორპუსში მივიტანდით და კვირაში ერთხელ ვუჩვენებდით სტუდენტებს – მომავალ ფიზიკოსებს, ბიოლოგებს, მათემატიკოსებს, ფილოლოგებს, რომლებიც სალამობით „მეორადის“ კინომცოდნებაზე სწავლობდნენ.

პრინციპში, „მეორადის“ გარემოც თავისებური სიურეალიზმი იყო – ლირიკოსები და ფიზიკოსები ერთად. თუმცა ჩემს „მზერაში“ სიურეალიზმისთვის აუცილებელი თანასწორება მაინც დაიღვა, რადგანაც ყოველთვის „ფიზიკოსებს“ ვანიჭებდი უპირატესობას – ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ მათ უკეთ ესმოდათ კინო, ვიდრე ეგრეთ წოდებულ „პუმანიტარებს“.

„კინფორმისტის“ საუნივერსიტეტო სეანსის დასრულების შემდეგ, „ლირიკოსებმა“ ვიშვიში ატეხეს, რაღაც ნარმოუდგენელი ვნებით საუბრობდნენ არასრულთასოვნების კომპლექსზე, რომელიც „მაგარ კაცებს“ სუნთქვის უნარს უკარგავს ხოლმე. „ფიზიკოსებს“ კი სულ ფეხებზე ეკიდათ ტრენტინიანის მარჩელო კლერიჩი. ამათ უფრო შავ-თეთრი ფირის ამბავი აინტერესებდათ; როცა

Rubik's
CUBE

ჯონიმ თავისი ჯიხურიდან თავი გამოყო და ვერცხლზე დაიწყო საუბარი, ფიზიკოსებმა, მათემატიკოსებმა, ბიოლოგებმა ეკრანის წინ მოკალათებულ 25 წლის მასწავლებელს ზურგი შეაქციეს. წარმტაცი სურათი დაიხატა – კინოდარბაზში პუბლიკა ზურგს აქცევს ეკრანს, ზევით იხედება და შესცემერის აპარატს, საიდანაც შუქი ეცემა ეკრანს; შესცემერის სარკმელს, რომელშიც ყველა კინომანის ღმერთი – კინომექანიკოსი იჭყიტება.

ზურგის შექცევა რატომძაც უზრდელბად ითვლება. მაგრამ არა მგონია ყველას აღიზიანებდეს. აი, შეყვარებული რომ გაგებცევათ, უფრო სწორად ზურგს რომ შეგაქცევო, რა მოგდით მაშინ? გამო-რიცხულია, რომ არ გაეკიდოთ (თუკი გიყვართ, რა თქმა უნდა) და გამორიცხულია, დევნის პროცესში სიამოვნება არ იგრძნოთ! ეჭვია-ნობა ვიღაცას ანგრევს, ანადგურებს, ვიღაცას აკვლევინებს კიდეც თავის დეზდემონას, მაგრამ ჩჩენ, სიურეალიზმის მოყვარულებს, ეჭვიანობა სტიმულს გვაძლევს – „ასე ჳო? ახლა დავუმტკიცებ, ვი-ნაა უკეთესი – მე თუ ის დამპალი, ვისთანაც მიღალატა!“

დასრულების შემდეგ ცოცხლად დარჩენილი მოსახლეობის აღნერა დაიწყება, „რუბიკის კუბის“ ყველაზე კალორიული პროდუქტი აღმოჩნდა. ფერადმა კუბმა ვიღაცების ცხოვრებიდან სექსიც კი განდევნა; შემთხვევით არ იყიდა ჩინეთის ხელისუფლებამ უნგრული სათამაშოს ლიცენზია სწორედ 1982 წელს, როცა გაირკვა, რომ აქაურმა მოსახლეობამ მიღიარდს გადააჭარბა.

გავრცელდა სხა, რომ ფერადი მოზაიკის სწორად აწყობა სამ-ტრედაშიც შეძლეს. აქაური პროფექტინიურის მოსაზღვემ თავის შეყვარებულ გოგოს უთხრა თურმე, ნახე რა მაგარი ვარო და ერთ წევთში ააწყო რუბიკის კუბი. თუმცა ეს ამბავი, როგორც ჩანს, თა-ვად სამტრედიელებმა მოიგონეს. პირადად მე, აწყობილი „რუბიკი“ არსად მინახავს.

სწორედაც რომ პირიქით ხდებოდა; გაბრაზებული ხალხი კუსს, რომელსაც ვერაფერი მოუხერხეს, ტრანსპორტიდან აგდებდა, ფეხებით თელავდა და „შენი დედაცო“, ბლაოდა. მაგრამ კუსს „დედა“ არ ჰყავდა. იგი მამაკაცმა შობა. სწორედ აზარტის მოყვარულმა უნგრელმა მამაკაცმა გაგვისხნა გზა ვირტუალური რეალობის მიმართულებით. მართალია საბჭოთა ბავშვების ახალი გატაცებთ შეშფოთებული მშობლები აღშფოთებას ვერ მაღავდნენ ინსტრუქციაზე, რომელიც სათამაშოს მოცყვებოდა („ეს სათამაშო

როცა პონია ჯისურილა თავი გამოყო და ვერცხლზე დაიცვო საუბარი,
ფიზიკოსება, მათემატიკოსება, ბიოლოგება ეკრანის წინ მოკალათაგალ
25 წლის მასშავლებელს ზურგი შეაკციის. ნარმდები სურათი დაიხატა –
კინოლარგაზე კაბლიკა ზურგს აქცივს ეკრანს, ზოვით ისელება და შესძერის
აკარატს, საიდანაც შეჭი ეცემა ეკრანს; შესძერის საჩერალს, რომელშიც
ყველა კინომანის ლიართი – კინომანიკანიკოსი იჭყიდვა.

დება, მერე სხვა თემას უერთდება, თან ეპრძეის, თან „უყვარს“ და ვერ თავისუფლდება მისგან, მაშინაც კი, როცა ეს ახალი, „შემოსული“ თემა ნელ-ნელა გაუჩინარდება ხოლმე. „ფიზიკოსებმა“ იციან, რომ მონადირე ძალას ადვილად ნანადირევი ფრინველის ხოლცი არ უყვარს. აზარტი ძალისთვისაც კი ნეტარება!

ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ენრო რუბინემა არქიტექტურის სწავლა დაიწყო. მაგრამ „უნგრული ხრუშჩოვების“ დაპროექტებაზე უარი თქვა და... სათა-მაშოებმა გაიტაცა. 1974 წელს, მან ერთ კუბში 26 პატარა კონს-ტრუქცია გააერთიანა და თავისი ფერადი კუბის ლიცენზია უნგრე-თის სათამაშოების ფაბრიკას მიჰყიდა.

ცოტა ხანში, „რუბიკის კუბის“ წარმოება ამერიკასა და კანადაში დაიწყეს. ენრო რუბიკი კომუნისტური ბლოკის ქვეყნების პირველი მილიონერი გახდა. 1982 წელს, ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვება ვიეტნამელმა სტუდენტმა, რომელმაც 23 წამში ააწყო ჯადოსნური კუბი. ამავე წელს, „რუბიკის კუბი“ საბჭოთა კავშირშიც გამოჩნდა.

მეტრობში, სკვერებში, ტროლეიბუსში, ფაბრიკებშა და ქარხნებში, უნივერსიტეტებშა და სკოლებში ბავშვებს, მოხუცებს, ვაცებს, ქალებს – ყველას რუბიკის კუბი ეჭირა ხელში და მის აწყობას ცდილობდა. ეს უკე მართლაც სიურეალიზმი იყო – გეგონებოდათ ქვეყანას სხვა არაფერი აინტერესებიდა. „სამომხმარებლო პროგრამის“ მიღების შემდეგ, როცა ხალხი შაყირობდა, „პროგრამის“

ლოგიკურ აზროვნებას და სტრუქტურულ ხედვას ავითარებს"), აზარტის ვნებას წინააღმდეგობას ვერავით გაუწევდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ხალხს აღარ ეცნობოდა მარაზმში გადავარდნილი ბრუნვების გამოსვლებზე, თუნდაც ბაქოში წარმოთქმულ მის სიტყვაზე, რომელიც ცეკას მდივანმა ასე დაიწყო: ~Дорогие рабочие Афганистана!~

...როცა ქვეყნიდან გაქცევის სურვილი უმრავლესობისთვის ცხოვრიბის ნორმაზ იტ/კა.

„კაგებე სერიოზულადაა დაინტერესებული ჩვენი ფაქულტეტით. ლექციებზე ფრთხილად იყავი!“ – გამაფრთხილა ტატა თვალჭრელიძემ, როცა შეიტყო, რომ 25 წლის მასნავლებელი არასდროს კი-თხულობს სტუდენტების სიას და ლექცია-კინოსეანსებზე ეპატიუება ყველას, ვისაც კარგი კინოს ნახვა უნდა. ასეთ დროს, ეჭვიანი კაცი ან კარს დაუკეტავდა სტუდენტებს, რომლებიც „მეორადზე“ არ სწავლობდნენ, ანდა უფრო ყურადღებით შეათვალიერებდა აუ-დიტორიას და სტუდენტებს შორის კაგებებნივის ძებნას დაინწყებდა. „ვინ მუშაობს სუკისოვის? ნუთუ ეს ცისფეროთვალება ბიჭი, რომე-ლიც გატაცებით წერს ლექსებს კომკავშირზე?“ (დღეს იგი ერო-ვნეულ ფასეულობებს იცავს და თავის ყოფილ მასნავლებელზე ბინ-ძერ სტატიიბს ასხობს).

მაგრამ ტატას გაფრთხილება მხოლოდ და მხოლოდ ახალი აზარტის იმპულსი გახდა. ცხადი იყო, რომ კაგებეშნიკების ძიების პროცესი „ჰელი ენდით“ ვერ დასრულდებოდა და ტეულიად დამაკარისის მიზანისათვის.



გვინებდა ყველაზე ძვირფასს მათ შორის, რაც ღმერთმა მარგუნა – დროს... ჩემი თავი დავარწმუნე – კაგებეშნიკი ლექციაზე მადლია, რომელიც ორ ენაზე ერთდღოულად, სიმულტანურად ლაპარაკს გასწავლის... როცა ერთს ამბობ, გამომეტყველება კი „საპირისპირო“ გაქვს; როცა ყვები რაღაცას და პაუზებში მიანიშნებ, რომ სიმართლეს სწორედ პაუზებში ამბობ... უფრო სწორად, ფიქრობ სიმართლეზე.

არ ვიცი, როგორ აგხსნა. უნდა მხედავდეთ ახლა და გიჩვენებდით.

დავუშვათ, ვყვებით მარჩელო კლერიჩიზე. წინ გვიდევს რომელიმე საბჭოთა იდეოლოგის წიგნი, რომელშიც დეტალურადაა მოთხოვბილი „კონფორმისტის“ სიუჟეტი (როცა ეს იდიოტები ბერტოლურის ფილმს ასახიჩრებდნენ, დაავიწყდათ, რომ „კონტრპროპაგანდისტული წიგნები“ დასავლური კინოს ტენდენციების „ანალიზით“, უზარმაზარი ტირაუით გამოიცემოდა საბჭოთა კავშირში). „კონფორმისტის“ სიუჟეტი შოკივით მოქმედებს ცისფეროვალება კომკავშირელ ბიჭუნაზე (მარჩელო კლერიჩიში თავის თავს ხედავს). დგება და კითხულობს, ბატონო გოგი, თქვენი აზრით, რატომ ამოჭრეს ეს ეპიზოდი?

ამ დროს უნდა გაილიმო. იმხელა პაუზა უნდა სტყორცნო, რომ

ჩვენს „მარჩელობს“ თავად აუჩქარდეთ გული, თავად მოეკვეთოთ ფეხები. ასეთი პაუზის მერე, დარბაზში ყაყანი იწყება

„შავ-თეთრ ფირზე? ეს როგორ? რატომ?“

„წარმოდგენა არა მაქვს. მოდით, ჯონის ვეითხოთ“. სტუდენტები ზურგს აქცევენ ლექტორს და ზევით, კინომექანიკოსის ჯიბურისკენ იყურებიან. „ცისფეროვალებაც“ იძულებული ხდება იქტენ მიტრიალდეს და თავისი სამიზნის ჯვარცმას თავი დაანებოს.

ჯონი ჯიბურის სარკმლიდან თავს ყოფს და ვერცხლის ეკონომიზე ყვება.

ჯონი ანგელოზია, რომელმაც განსაცდელისგან გიხსნა; ანგელოზი, რომლის ნავსაყუდელიდან ბნელ დარბაზში სინათლე შემოდის.

ჯონისთვის მადლი ფირის გაჭედვაა. ჯერ ერთი, უნივერსიტეტის მექენიკების კორპუსის კინოდარბაზში „საპოუნიკს“ არავინ ყვირის. მეორეც: გაჭედილი და დაგლევილი ფირი სამახსოვროდ გიტოვებს კადრებს, რომლებიც შეგიძლია თან წაიღო, მერე სინათლეზე გახედო და დაინახო ის, რაც შეიძლება გამოგეპაროს კინოდარბაზში, როცა ფილმის სიუჟეტს ადვენებ თვალყურს.

„რუბიკის კუბის“ მსგავსად, დაგლევილი ფირის პატარა ნაკუნიც ვირტუალურ რეალობასთან კონტაქტის საშუალებას იძლევა, ერთი

ამ რეალიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია კაუზა, რომელიც „ეპ“-ს უცა მოჰყვეს. კაუზის დროს, სტულეტების უმრავლესობა უცა მოჰყვეს; რომ ცისფერთვალება ნაბიჭვარის კითხვამ გული აუჩქარა, ფეხის კუნთები დაუსუსტა; რომ თანამოაზრებისგან დაბარებას ელის.

აიძულო, რომელიმე სხვა სტუდენტი ადგეს და ჩვენს „ცისფერთვალებას“ დებილი უწოდოს.

არა, არ ვარგა. არაპედაგოგიურია. მერე ამ სტუდენტს გამოიძახებენ და შეიძლება ლექტორიც ზედ მიაყოლონ.

„ფაშისტებს შორის პომოსექსუალისტი ბევრი იყო. ამ ეპიზოდების დატოვება კი გამოიწვევდა დისკუსიას, რომელიც სულ სხვა გზით წავიყისავნდა. თუკი ფაშიზმი ავადმყოფბაა, გულუბრყვილო ადამიანებს მათ მიმართ თანაგრძნობა გაუჩნდებოდათ.“

როგორი აძსურდია! ასეთ ენაზე რომ დამერყო ლაპარაკი, როგორ უნდა შემეხედა მერე თვალებში ჩემი საყვარელი „ფიზიკოსებისთვის“?

მაგრამ მეორე ენაც ხომ არსებობს – მუსიკალური სონატის ენა, როცა ერთი თემა მოულოდნელად წყდება ახლით და დროებით გავინებს მთავარს.

„ეპ... ეს ეპიზოდი კი არა, ბიუროკრატებმა მთელი ფილმი დაასახირებს – ფერადი „კონფორმისტი“ შავ-თეთრ ფირზე დაბეჭდეს!“

ამ რეპლიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია პაუზა, რომელიც „ეპ“-ს უნდა მოჰყვეს. პაუზის დროს, სტუდენტების უმრავლესობა უნდა მიხვდეს, რომ ბატონ გოგის ძალიან უჭირს; რომ ცისფერთვალება ნაბიჭვარის კითხვამ გული აუჩქარა, ფეხის კუნთები დაუსუსტა; რომ თანამოაზრებისგან დაბარებას ელის.

მინიმალურია შანსი, რომ ასეთი პაუზის მნიშვნელობა „ლირიკოსებმა“ იგრძნონ (აკი მოგახსენეთ, „ცისფერთვალება“ ლექტორებს წერდა-მეტქი). მაგრამ „ფიზიკოსები“ აუცილებლად დაგეხმარებიან – მთელ დარბაზში „გაუშვებენ“ თავიანთ უარყოფით ენერგიას, რომელიც ქართველ კლერიჩის უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. „ეპ“-ის მერე პატარა პაუზა სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ

განსხვავებით – არ განვალებს, დედას არ გაგინებინებს, საჭურისად არ გაქცევს. დაგლევილი ფირის პატარა ნაკუნი არ არის „კალირიული პროდუქტი“. ესაა აღბეჭდილი დრო, სახეებში აღბეჭდილი წამი, რომელიც შეგიძლია ჯიბით ატარო. მაგალითად, ჯიბეში ჩაიდო ინგრიდ ბერგმანის სახე „შემოდგომის სონატიდან“ და ყველაზე ლამაზი ქალი კინოს ისტორიაში შენი საკუთრება გახადო.

ჩვენს ეკრანებზე „შემოდგომის სონატა“ ინგრიდის გარდაცვალების შემდეგ, 82 წლის ოქტომბერში გამოვიდა. ჩემი უფროსი კოლეგები ინგრამ ბერგმანის ფილმს დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ. დედა-შვილის შეხვედრისა და გამორჩების ამ ისტორიამ ქართველი მანდილოსნები ორ წანილად დაბჟყო – ზოგი ევას, ე.ი. ლივ ულმანის პერსონაჟს ამართლებდა; ამბობდა, წახეთ რა დღეში ჩააგდო ეგიოსტმა დედამო; ზოგს კი შარლოტამ, ე.ი. ინგრიდ ბერგმანის პერსონაჟმა აუზუყა გული – უნიჭო და არარეალიზებულ შვილს შურს სახელგანთმული პიანისტი დედის და ამიტომ, ეგიოზმსა და გულგრილობაში ადანაშაულებსო.

„ლირიკოსებს“ შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც „შემოდგომის სონატა“ არ მოეწონა – აბა ეს კინოა? გადატვირთულია დიალოგებით, თვალი რომ დაბუჭო, მაიც ყველაფერს გაიგებო.

11 წოებერს, ჯონიმ „შემოდგომის სონატის“ ყუთები, ეგრეთ წოდებული იაუფები უნივერსიტეტში მოიტანა. სტუდენტების უმრავლესობას ფილმი წანახი ჰქონდა. ჯონის ვთხოვე, შოპენის ნოკტიურნის სცენის დაწყებამდე ფილმის ჩვენება შეეწყვიტა და დარბაზში შექი აენთო.

ხომ გახსოვთ ეს ეპიზოდი? ლივ ულმანის გმირი მოულოდნელად გამოუცხადებს დედას, რომ ხანდახან როიალზე უკრავს ხოლმე. შარლოტა სთხოვს ქალიშვილს, მისთვის რამე დაუკრას. მცირეოდე-



ნი ყოფილის შემდეგ, ევა თანხმდება და შოპერის მეორე ნოკტიურნის ნოტებს გადაშლის.

ესას ერთ-ერთი ყველაზე პატარა პიესა მუსიკის ისტორიაში. მხოლოდ ორი წუთი გრძელდება, მაგრამ შოპერი ასწრებს ორი თემისგან კვანძის შექმნას. მარჯვენა ხელის თემა უსაშველოდ რომანტიკულია და წელ-წელა „იკლებს“. მარცხენა ხელის მელოდია თავიდან აკომპანერენტად აღიქმება. მაგრამ სადღაც ერთი წუთის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ეს დაბალი ბერები, დიდ-დიდი პაუზებით, ხიფათს უქმნის მთავარ თემას, თითქოს ემუსტება და ცდილობს მისი დაცემა შეაჩეროს. ფინალში, ცოტა არ იყოს, დამფრთხალი რომანტიკულ-ლირიკული თემა სრულიად კარგავს ძალას და სადღაც იღვრება. მაგრამ „ლირიკულის“ გაუჩინარება ასუსტებს ძლიერსაც. აკომპანერენტი აგრესიულობას კარგავს, რადგან რომანტიკულის გარეშე არსებობა არ შეუძლია!

შეუქი რომ აინთო, მათ, ვინც ინგმარ ბერგმანის „ლიტერატურულობაზე“ ლაყბობდა, ვთხოვე თვალი დაეხუჭათ და მხოლოდ ეკრანისთვის მოესმინათ. მერე კი ხელმეორედ ენახათ ეს ეპიზოდი და

დისკუსია უდეა დაგვეცყო, რომ კინოეპანიკოსის ჯისურიდან პონი გამოყო თავი. „ხალხო, გაიგეთ რა ხდება? ბრეზენვი მომკლარა!“ გასაოცარი განცყობა შეიძნა. სიცილი ვერავინ გაბეჭა, მაგრამ აშკარა იყო, დარბაზი ახალი ეპოდის დაცულებას ბრძნობდა; წესით, მარაზმში გადასული ბებრის სიკვლილე „კუპი- რუბიკით“ მასტიურბაციის ეპოქა უდეა დაისრულებინა.

განსხვავებისთვის თავად მიეგნოთ.

ევას დაკრულს შარლოტა ჯერ პატარა პაუზით პასუხობს, მერე ამბობს, „შვილო...“ და ისევ სტყორცნის პაუზას.

„არ მოგეწონა... მითხარი, რომ არ მოგეწონა, ახლა მაინც იყავი გულწრფელი, დედა“

შარლოტა ჯერ იტყვის, კი, როგორ არ მომეწონაო. ცოტა ხნის შემდეგ კი, ხვდება, რომ მისი ეს „ბერები“ ყალბია. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად იგი ინსტრუმენტს მოუჯდება

„შოპერი ვერ იტანს სენტიმენტალიზმს!“ – უხსნის ქალიშვილს სახელგანთქმული პიანისტი და თავად იწყებს დაკვრას. ამ კადრში ინგმარ ბერგმანი დედისა და ქალიშვილის ორ ახლო ხედს ირჩევს.

შარლოტა უკრავს. ევა უყურებს. შარლოტა შოპერის რომანტიკულ თემას ემსაგავსება (ცხადი ხდება, რომ „შოპერი ვერ იტანს სენტიმენტალიზმს“ – შარლოტას პრობლემა უფროა, ვიდრე ევასი), ევა კი მის „სუპერ-ეგოს“, აკომპანერენტს, რომელიც მთავარ თემას ანადგურებს, მაგრამ მის გარეშე არსებობა არ შეუძლია.

მიდი და ალიქვი ეს ყველაფერი ისე, რომ არ უყურო, მხოლოდ უსმინო ბერგმანის ფილმს. არაფერი გამოვა! ვერ დაინახავ ევას მზერის ცვლილებას, ვერ დაედევნები მის ემოციებს – სიძულვილსა და აღფრთოვანებას ერთდროულად, შურსა და მონინებას სიმულტანურად. ვერ დაინახავ იმას, რასაც დიახაც, რომ დედა-შვილის სიყვარული ჰქვია... „სიყვარული“, რომელიც არ შეიძლება იყოს წვინტლიანი ემოცია, გულისამაჩუყებელი ვნება, არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ კომფორტს უქმნიდეს ადამიანებს, რადგან სიყვარული – აზარტია, შრომაა, სხვაში შესვლა და თუ გნებავთ, სხვასთან ერთად სიკვდილი... ზუსტად ისე, როგორც შოპერის მეორე ნოკტიურნში, რომელშიც ორი თემის სიყვარულს პეპელასავით ხანმოკლე სიცოცხლე უნდრია – მხოლოდ ორი წუთი!

ფილმი რომ დამთავრდა, ჯონის შუქის ანთება დაავიწყდა. რამდენიმე წუთი სიბნელეში ვისხედით. მინდოდა გამეხსენებინა, სად იჯდა ამ დროს ჩემი „ცისფეროთვალება კაგებეშნიკი“. ვერ ვედავდი მას, ამიტომ ადვილად შემეძლო წარმომედგინა თვალცრუმლიანი „ლირიკოსი“, რომელიც ბერგმანის ფილმმა განვლილ ცხოვრებაზე დააფიქრა; რას გაიხსნებადა? როგორ სცემდა მამა ბავშვობაში? ან მერე, სტუდენტობის წლებში როგორ საყვედურობდნენ სახლში, ლექსები რა კაცის საქმეა, მომავალზე იფიქრეო? იქნებ საერთოდ არ ჰყავს მამა, ბავშვობაში მიატოვა დედამისი, ან ჰყავს, მაგრამ არასდროს არაა სახლში, გვიან ბრუნდება მთვრალი და ცოლს ურტყამს?

რატომ შეიძლებოდა 20 წლის ბიჭი კაგებეშნიკი გამხდარიყო? იქნებ „დაავერბოვეს“? რაღაც ჩაიდინა და გამოიჭირეს? იქნებ დღესაც ვიღაცას ემსახურება, თავის გაზეთში მორალს რომ გვიკითხავს და ერის მტრებს ამხელს? ანდა, იქნებ გაცილებით უფრო მარტივადა საქმე – ამ კაცს არასდროს ყვარებია ვინმე?

როგორც კი შეუქი აინთო, ჩემი ცისფეროთვალება „ლირიკოსი“

ძებნა დავიწყე. სადღაც უკანა რიგში იჯდა. როგორც კი შევხედე, მივხვდი, რომ ინტუიცია თითქმის არასდროს მღალატობს. ჩვენს კაგებეშნიკებს თვალები ცრემლებით ჰქონდა საგსე.

ო, როგორი კმაყოფილი ვიყავი! ო, როგორ გადავუხადე სამაგიერო! ადგეს ახლა და კიდევ დამისვას პროვოკაციული კითხვები! ამ-კარა იყო, რომ „შემოდგომის სონატამ“ ამ პატარა არარაობაში რაღაც შეძრა, რაღაცაზე დააფიქრა. ისეთი სიყვარულით მიყურებდა, ვიფიქრე, არასდროს, არასდროს არ დაწერს ჩემზე რაპორტებს.

როგორ ვერ ვისნავლე, რომ ხელოვნებას ადამიანის გაკეთილშობილება, სამწუხაროდ, არ შეუძლია... როგორ ვერ დავიმახსოვრე აქამდე?!?

ის-ის იყო, დისკუსია უნდა დაგვეწყო, რომ კინომექანიკოსის ჯისურიდან ჯონიმ გამოყო თავი.

„ხალხო, გაიგეთ რა ხდება? ბრეზენვი მომკვდარა, ახლა გამოაცხადეა!“

„ფიზიკოსებმა“ ეგრევე გაუშვეს თავიანთი ენერგია დარბაზში – რაღაც გასაოცარი განწყობა შეიქმნა. სიცილი ვერავინ გაბედა, მაგრამ აშკარა იყო, რომ დარბაზი ახალი ეპოქის დაწყებას გრძნობდა; წესით და რიგით, მარაზმში გადასული ბებრის სიკვდილს „კუბიკ-რუბიკით“ მასტიურბაციის ეპოქა უნდა დაესრულებინა.


სტუდენტები არ იშლებოდნენ. „რა დროს ბრეზენვია, ბერგმანზე ვილაბარაკოთ!... – მგონი ხათუნა გოგორიშვილმა დაიძახა დარბაზიდან.

სკამიდან მხოლოდ ჩემი ცისფეროთვალება „ლირიკოსი“ წამოხტა. შეფშოთებული მზერით დაგოვა დარბაზი და თავჭუდმოგლეჯილი სადღაც გაიქცა.

„ეპ!“



აკა მორჩილაპის სხვისი წიგნებიდან ამოხეული ფურცლები



შეაგროვეთ „აკა მორჩილაპის სხვისი წიგნებიდან ამოხეული ფურცლები“ სატყოდალი -ის

10 ლიანის განეავლობაში { XI.2005 – VIII.2006 } ღა საზოგად მიმღება აკა მორჩილაპის

ახალი წიგნი „მისზორ ლიქსლის მღვარი ყუთი“ ავტორიალით ■

ილუსტრაცია: მაია სუმაძე

სახით მოკრიცები



ცოტა ელამი ბიჭი კი იყო და თავისი ელმობის გამო, „სოვეტ კვაშაში“ ზღვისკენ მდინარეებად მომდინარე რუსის გოგოების-გან დაწუნებული, არ ჩანდა.

სადგურზე როგორც ჩახვალთო, ბილეთების ფორტოჩკაში მიდით და იქ ვინც იქნება, კითხეთო, სპასანელი სირიოგა სად ვნახოთო, სინი გეტყვანო და სირიოგასთან რო მიხვალთო, სირიოგა მაგრა საკაიფო მოგაწყობით ორ-ორკოიკან თახებშით. ხო, სირიოგას უთხარით, ტბილისსკი ბრაძიაგის ძმები ვართ და უფრო საკაიფო მოგაწყობთო. ალბთა წყალმაშველ სირიოგას შორეულ „სოვეტ კვაშაში“ სხვანაირი გული ჰქონდა ჩუღურეთელ მრჩეველის მიმართ.

კიდევ ერთი ცალკე გემოიანობა ამ ადგილისა ის არისო, ამბობდა კეთილი ჩუღურეთელი, რო ქართველობაში სრულიად უცნობი ადგილია, ანუ ქართველს იქ ძნელად თუ გადაეყრებით, რაც კიდევ ერთ თავისებურ ხიბლსა სძენს „სოვეტ კვაშას“: იქნებით თქვენთვის, სკურნათ და საკაიფოთ; ხოლო ვინაც იცოდა, თუ რაგვარი ფასი აქვს განავარდებისას იმას, რომ იქ თანამემამულეთა სხვა გუნდს არ გადაეყრები, იმის-თვის ამ ბოლო შეტყობინებას განსაკუთრებულად ტკბილი ფასი ექნებოდა, რახანდა ცნობილია: თუ განავარდებისას, გუნდად მყოფი, შენებურთა სხვა გუნდს გადაეყარე, თავს მთლად ტკბილად ვერ გრძნობ, ვინაიდან იმას ფიქრობ, ის გუნდი აბა რას ფიქრობს ჩვენს გუნდზეო და რახან ის გუნდც ამასვე ფიქრობს, განავარდებას გემო აკლდება. ესეც არ იყოს და იმათანა ჩამუხამბაზებაც მოგიწევს, გინდა თუ არა. რახან ქართველობა ხართ, უცხო მხარეში ერთიმეორეს უნდა გაეცნოთ და ხელის განვდენა-გამოწვდენაც უნდა ატყდეს, ურთიერთდაბმრებაც გამოვლინდეს და ეს კი ეგებ არც გეხალისძოდეთ, არც თქვენა და არც იმათ, მაგრამ რას იზამთ, თუკი ქართველობა ხართ? ერთობის წესი ასეთი ყოფილა იმ ძველ დროში, ხოლო ყოველივე ამით, ლალი განავარდებისა და თავისუფლების ამბავი გაიდლაპნება ხოლმე და თავგადასავალი ქეიფობას დაუთმობს ადგილს, მაშინ, როცა გარშემო დივიზიე-

ალევის ხეები ქარისგან იზნიქებოდნენ.

ასეულელებმა არ იცოდნენ, რომ საბერზინე ჯიხური, სადაც ერთი წითელხელბანი საბრალო ყოფილი პენსიონერი მსახურობდა, ბედნიერი ცხოვრებისაკენ სავალ ბილიკზე მებრძოლების უკანასკნელი იმედი იყო. ამ ჯიხურის გრძა, ყველაფერი დაეკარგათ და მას ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც მყვინთავი – უანგბადის დოქს.

ლაპარაკის შედეგად, გარდაიცვალა ჯიხურში მომუშავე წითელ, სიცივისგან სამუდამოდ ხელებდამსკადარი კაცი, რადგან მოლაპარაკეთა შუაში მოხვდა და ისე გამოვიდა, რომ ყოველი სიტყვა, რომელიც იქ წარმოითქმოდა, მის გულს ლახვარივით ეცემოდა, თუმცალა ეს სიტყვები მისთვის არ იყო განჯუთვნილი.

ლაპარაკმა მოხუცისაგან ჯიხურში საგულდაგულოდ ჩალაგებული კანისტრების გამოლვიდება და აფეთქება გამოიწვია, რაც მოსალოდნელი იყო, რადგან ცნობილია შიგთავსის შუშუნა ხასიათი და ხმამაღალ და მღელვარე ლაპარაკთან მისი შეუთავსებლობა. ამ აფეთქებიდან გამომდინარე, გაუჩინარდა ჯიხურიც, რომლის უკანაც ასეულელები ჩასაფრებულიყვნენ.

რადგან ჯიხური ზეცას შეუერთდა, ასეულელებს დასცათ და შაქროს ნახევარი სახე და სალაპარაკო ხელი გაუწითლდა, ხოლო ბედინაშვილს სხეული დაუმძიმდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლაპარაკი გამკაცრდა, ხოლო გლუხიო, რადგან შემთხვევითი კონტუზის მიზზით, ადრიდანვე ცოტათი ყრუ იყო, განსაკუთრებით ნახდა. ცხარე და მკაცრი ლაპარაკის არსი უცებ ვერ გაიგო. შემდეგ გლუხიო ძალიან უცნაურ ადგილას მოხვდა, რომლის აღნერაც შეუძლებელია.

მებრძოლთა მხრიდან, ლაპარაკი უკეთესად გამოვიდა: ერთი შეხედვით იმიტომ, რომ სამართალი მათ მხარეს იყო, მაგრამ უფრო კი იმის გამო, რომ რადგან ლაპარაკი ადრევე გადაწყვითეს, უკეთესადაც მოემზადენ.

ლაპარაკმა ოდნავ დაახარალა მათი მანქანა, რომელსაც „ლენდ კრუზერი“ ერქვა და რომელიც ამ ლაპარაკს სამოცდა-

(...) საქმე ისე გამოვიდა, რომ მესამე ასეულის ყოფილ ბიჭებს – შაქრის, გლუხოსის და ბედინიშვილს „მებრძოლის“ საძმოს ყოფილ ბიჭებთან უთანხმოება მოუხდათ.

„მებრძოლის“ საძმო დაშლილი იყო მაშინ: ყველაზე გულ-ცელნი ალსრულებულიყვნენ იმთა და ჭირთა შინა, ყველაზე ჭკვიანნი სწორედ ახლა გარიდებოდნენ სიმშვიდესა და, აქედან გამომდინარე, სამრთალსა, ხოლო ყველაზე სულელნი კვლა-ვაც დაძვრებოდნენ საძრომიალოებში და ნაირგვარ საქმეთა მოკვარაძეჭინებას ცდილობდნენ. სწორედ ესენი იყვნენ ალპათ ყველაზე თავზეხელალებულნი.

თავის მხრივ, გაუქმებულიყო მესამე ასეულიც, რომელსაც მესამე ერქვა სახალხოდ, თორემ ქადალდებზე ერქვა მეფე ერეკლესი. ასეულის მონინავენი ჩაეხოცათ ომებში. ეს შაქრო, გლუხოსი და ბედინიშვილი მერე შესულები იყვნენ, მოხალი-სენი. თუმცა, არც რამე სადაც საკითხებს გამოაკლდებოდნენ. ამიტომ კარგი სახელი დაიგდეს.

მებრძოლთა მხრიდან, უთანხმოებაში მონაწილეობდნენ უნცროსი ბერიშვილი, ნიკა სალახაშვილი, კონო და დიდმანიძე. მათ ეცვათ კარგათ, დროის შესაბამისათ: სამჯურებიც ეკეთათ.

ასეულელებს ეცვათ ცუდათ, ბათინკები ასეულიდან გამოპყოლოდათ, ოქროს ჯვრები, ნაირგვარი ამბებიდან.

უთანხმოება შეეხებოდა ერთ საბენზინე ჯიხურს, სადაც ასეულელებმა სამჯერ ჩასხეს ნისიაზე და მეოთხედაც მივიდნენ.

ეს ქალაქის განაპირას იყო: მეოთხედ მისულებს იქ დაუხდენ მებრძოლთა წევრები და ლაპარაკიც იქ მოხდა.

ლაპარაკი ხმაურიანი გამოვიდა, მრავალნერტილებით, რომლებიც ავტომატის ჯვრებს ჩამოჰვავდა. იყო წერტილებიც. თუმცა, მრავალნერტილებთან შედარებით, არცთუ შთამბეჭდავი.

ეს იყო ადგილი, სადაც საბენზინე ჯიხურის ახლოს სამი ალვის ხე იდგა. ამიტომ, ვერაფერს მოეფარებოდი, ჯიხურსა და საკუთარი მანქანის გარდა.

2

ბად მოწყობილი რუსის ქალები ვარჯიშობენ.

ჩუღურეთელი ამ ადგილის არაელიტურობას არად დაგი-დევდათ. თუ მარიაში კაცი არა ხარ, თუ შენთვის მთავარი დაგომისობა არ არი, თუ გაგრის ბარ-რესტორნები და ეგ „კარაველები“ არ გვესება, თუ ლამით გოგოს გულისხმის ჩხუბი, დაინის ტრიალი და რამები არ გხიბლავს, ანდა მერე მილიციებში ფულით სირბილი, მაშინ „სოვეტ კვაუ“ პირდაპირ მისწრებაა, პო-ონტია, ქალის გულისხმის ჩხუბი მოგივიდეს. აკი მოგახსენებდით, ერთ კაცზე თხუთმეტი ქალი მოდის და თუ, კაროჩე, გიუ არა ხარ, საჩხუბარი არაფერი არ არი. თან ვის უნდა ეჩხუბო, ქართველი იქ არ არი, აფხაზი იქ არ არი; საერთოთ, კავკასიელი იქ არ არი და რუსები კიდე, არ ჩხუ-ბობენ, მოგეხსენებათ. თვით პრიბალტიერის პალანგასაც კი არ გაცვლი „სოვეტ კვაუ“, იქური ზღვა უვარგისია და ქალები კი დიდასანს საჩალიჩო და თან ან გამოგივა, ან – არა. რა თავში იხლი ლამაზად მოწყობილ რესტორნებსაო.

შთამბეჭდავი მოყოლა სცოდნიყო ამ ჩუღურეთელს, ფრენა კი მაშინ იაფი იყო და რადგან ზაფხულიც მოახლოებულიყო, გადაწყვიტეს, ორი კვირით წავიდეთო, ოლონდ ოცდლიანი ვივა-რაუდოთო და ადგნენ და ნავიდნენ შვიდნი „სოვეტ კვაუს“: ჯერ იფრინეს, მერე მატარებლით იჩაქჩაქეს, მერე სპასატელი სი-რიოგა ნახეს და ჯამურად კი, ოცდაორი დღე გამოუვიდათ (...)

ახალი შოტოცახი

სამ ნახვრეტს გამორჩა, ხოლო მებრძოლებისგან, მისი ასეთი ერთგულების გამო, მხოლოდ ორს, სალახაშვილს და კონის მიადგა ზიანი: პირველს იმიტომ, რომ მისთვის მოულოდნელად ციდან მსკოდომი საგანი ჩამოვარდა, და რომ არა სალახაშვილის დიდი პირადი გამოცდილება, ის იმნამსვე დაკარგავდა გადაადგილების ბოძებულ უნარს. ასე კი, ეს უნარი მხოლოდ ნაწილობრივ დაკარგა, რაც მალე თითქმისვე დაუბრუდა, ოლონდ ერთი ლამაზი, კოხტად მოვარაყებული და ლაკგადას-მული ჯოხი კი სამუდამიდ შერჩა ხელში. იმ დროიდან, სალახაშვილს ირივე ხელი დაკავებული ჰქონდა, რადგან ერთში ყოველთვის ჯოხი ეჭირა, მერეში კი ან სიგარეტი, ან ჰაერში სატრიალო ძენკვი, ანაც რამე სხვა აკრძალული საგანი, რომელთაგან ყველაზე მიმტევებლურად გამოიყენებოდა ზეგავინის მოყავილობის ღილაკიან დანა, რომლის პირის შესრიალება-გამოსრიალების ხმა ძალიან სიმოვნებდა ამ სალახაშვილს.

კონის კი, ამ ცხელი ლაპარაკისას, ერთი შეცდომა მოუხდა: ერთ მოულოდნელ წამს, რომლის წარმომავლობა ეგრეც ვერ გაირკვა, ის მოულოდნელად წამოხტა და ღრიალით: ნიკას მოარტყეს, ტო!!!!... – ჯერაც ადგილზე მდგომი ჯიხურისაკენ უმამაცესი შეტევა წამოინყო, ღღონდაც ღრიალის ძალა სრულიად შეუმნეველი აღმოჩნდა ყოფილი ასეულის წევრთათვის და სიმამაცეც ბრმა თავგანწირვას უფრო გაუტოლდა, რახანდა კონი მოცელილივით დაეცა. მოგვიანებით, მხოლოდ მეგობართა მხერვალე ღოცვამ და ექიმთა მიმართ გამოთქმულმა იმ საოპერაციოსთან იქამდე გაუგონარმა სიტყვებმა დააბრუნა იმ ადგილიდან, სადაც მას ასეულელი გლუხოსი ელოდა, რათა მტურად მიეღო, ვითარცა ტოლსწორი, რადგან იმ ადგილას საბენზინე ჯიხურები არ ყოფილა, რათა ადამიანებს რამე შეექნეთ გასაყოფა და თანაც, ტანჯალთ, თურმე, ერთად ყოფნა ურჩევნიათ, რათა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდონ: ეგებ ტანჯალ შეგვიმსუბურედესო. ის კი არ იციან, რომ წინათ მომხდარ ლაპარაკებს იმთავითვე ხელის ჩაკიდება სჯობდა და ახლა კი ასე ყოველი გვიანია.

ლავდა კიდეც, ეშმაკეულ ნეტარებათა გახსენებისგან. ერთ ბოთლა ვარდის ყირიმულ შამპანურათო, ნახევარი დუჟინი ქალი დაბმებაო. ქალს ამბობდა, თორე თავის კბილა გოგოს გულისხმისმობდა. არ ვიცი, საიდან მოდიანო, მაგრამ „სოვეტ კვაუს“ არის ადგილი, სადაც მთელი რუსეთის პალატი ნაშა-გვილობა იყრის თავსა. ისინი კი არ არიან, ბალერინები, ამის ერთგვარი დანანებით ამბობდა, რადგან იმ დროში ითვლებოდა, რომ თუკი რუსის ბალერინა გაგიხერხებია სადმე, რალაცის ჩემპიონი ყოფილხარ. ბალერინები კი არაო, მაგრამ პალალი, უბრალო გოგოები, მაგარი კაი გოგოები, დედას ვფიცავარო. ცუდი არ არსებობს, მაღალ-დაბლობას არ გიამ-ბობთ, ისეთი არ შეგვედება, გული რო არ მიგივიდეს. არაო, ლიუბო კაიაო, მეტ-ნაკლებობით მართალია, მაგრამ კარო-ჩეო, რას მალაპარაკებთ, ჩახვალთ და ნახავთ და თუ მაგრა არ გაგისწორდეთ, აქა ვდგავარ, ამოდით და მითხარით, რატო გვასიაბანდეთ და თავს დავხრი და წავალ.

თანაცო, ერთი დიადი უცნაურობა ამ „სოვეტ კვაუს“ დუჟინ მოარტყო გოგოებისა ის არის, რომ კაცები არ ახლავანო. მომკალი და ათიადან ერთს თუ ახლავს კაციო. სად არიან მაგ რუსების კაცები, არ ვიციო. მგონი, რუსეთში მარტო ქალები ცხევრობენო.

თუ მაინცდამაინც ისეთი გოგო მოგეწონათო (ის ქალს ამბობდა, შეგადაშიგ კი იმ სიტყვასაც, რაც მთავარ რამედ უზანდა ქალში), რომელსაც კაცი ახლავს, ეგეც არ არი, პრობლემათ, იმ კაცებს, მამენტი, კიდიათო; თუ დაალევინებ-ვაბშეო, თუ არაო და გოგოსაც თუ დეევასეო, მიაძინებს და გამოძერება, ტანცებზე ან სადაც.

საერთოდ არ პრობლემათ, ეგეთი ადგილი, ვააბშე არ არიო, სკურნათ, საკაიფოთ იქნებითო, თუ მენენა გასატრაკე-ბლათ და თავზე დასამხობათ არ მიდიხართო. ეგეთი ადგილი არ არიო, რო მაგარი რესტორნები და პარებულებებით არ ვაშე სკურნებოთ. ეგეთი ადგილი მოგივიდეს...
2

(...) ეს იყო განავარდება, რომელსაც ზოგიერთები დღესაც იფონებენ, მაშინ კი მსმენელი მრავლად ჰყავდათ.

ხუმრობა ხომ არ არის? შვიდნი წავიდნენ და ისეთი გაქანება დაატრიალეს, რომ ყოველდღიურ მოსაყოლად მთელ ოცდათ დღეს ეყოთ.

სხვები კი უსმენდნენ: ზოგნი ვითომ ისე რა, მაგრამ გულში ჭიის ღიტინით, ზოგნი კი, უფრო აღალნი, აღტაცებით, სიცილითა და ტაშისევრით.

იმდენი ფული ნამდვილად არ ჰქონდათ, რომ დაგომისას ადგილები დაეხურათ, მაგრამ იმდენი კი მოაგროვეს, რომ ჭიშმარიტად სახალხო კურორტი მოევლოთ.

სტუდენტები იყვნენ და ერგებოდათ წელინადში ერთი ნამდვილი განავარდება, იმ ბეჭელ და მოტკბი დროუპაში; იმ განავარდებას, პაესტკა რომ ენოდებოდა. ამის ფულს სახლში ყოველთვის გამოვიდონენ, რაც უცხოელისთვის გასაკვირი იქნებოდა, ასეთი ქვეყნის და ასეთი ამბების არსებობა რომ ეჭვად მაიც სცოდნობდა.

ო, დიადი განავარდება იყო, შვიდნი წავიდნენ, გზა კი ერთმა ჩულურეთელმა ასწავლა ერთ-ერთ მათგანს.

არის ადგილიო, ყირიმის მიწა-კლდეზე, სთქვა იმ გამოც-დილებით პირთამდე სავსე ჩულურეთელმა; არის ადგილიო, რომელსაც ენოდება „სოვეტ კვაურა“. რას ნაშავს ეგ „სოვეტ კვაურა“, ვერ გეტყვითო, მაგრამ იოლი მისაგნები ადგილია. მთავარია, ყირიმის ჩაფრინდეთ როგორმები.

ეს არის სამოთხე ადგილი, თუ ფული ბევრი არ გაქვს და თუ მამაშენი ოქროს არ აცხობსო, სამოთხე ადგილიაო: კაი სუფთა ოთახებიო, კოიკა სამი მანეთიო, ზღვა ჯადოსნურიო, ანუ საკაიფოო, ჩერესჩურ საკაიფოო, ხოლო ვარდის ყირიმული შამპანური ორი და სამოციო. იმდენ შამპანურს იყიდიო, რო ათნი იყოთ, ვერ დალევთ, დაგრჩებათო და რო დაგრჩებათო, ჩუქებას დაწყებთო.

ხოდა, მაგ ჩუქებიდან იწყებაო.

და აქ ნაცადი ჩულურეთელი თვალებს აატრიალებდა, მილუ-

ოლონდაც, ცხოვრებაც ისეთი რთული რამ არის, რომ ასეულელები და მებრძოლები ვერაფრით ჩაჰკიდებენ ხელს ერთმანეთს და ამიტომ, მხოლოდ იმქვეყნად გაინევენ ხოლმე ურთიერთდმობისენ, განიცდიან, გვიანიაო: ჰოდა, უნდა განიცადონ კიდეც, რახანდა ისეთ ადგილას მოხვედრილან, სადაც სხვა აღარაფერი დარჩენიათ, განცდებით ტანკვეის გარდა.

კონსა და სალახაშვილის მომჯობინებამ სრულიად ვერ და-ამშვიდა ყოფილი მებრძოლები, ვინაიდან ახლა აღარც ჯიხური ჰქონდათ, აღარც ბენზინი და ის საწყალი ჩამომსხმელიც გზა-ჯვარედინზე დაცილებულიყო გლუხოსი – სხვა მხარეს წაყვანათ, რითარცა წესიერი ეაცი.

ამიტომ, მორიგი ლაპარაკის სურვილი გაჩნდა, რომელიც თავის მხრივ, დამწერ და დადაგულ შაქროსაც სურდა და ასევე ბედიანიშვილსაც, თუნდაც იმიტომ, რომ მათ გლუხო აღარ ჰყავდათ, მის გარეშე სიცოცხლე კი ვერ წარმოედგინათ, რადგან მოყვარულნი იყვნენ ძმობისა და ერთგულნი ფიცისა.

ამიტომაც, ორივე ნაპირზედ იკრიბებოდა ლაშქრები, რათა ლაპარაკი უკეთესი და უფრო შთამბეჭდავი გამოსულიყო. თუმც, ამ დიდ ლაპარაკს ასრულება არ ეწერა, რადგან დიდი ლაპარაკების საშუალება თანდათანობით მოსპობილიყო, საქვე-ყნო ამინდის ცვლილების გამო (...)

სხვი შოტოცალი



ვიღაც კაცი ახლდა, ლოჯის ფანჯარასთან იდგა მათგან ზურ-გით, მხრებს ინურავდა მალიმალ, თითქოს პიჯაკს ირგებსო.

– და რამე გაიგეთ...

– შენ ჩემი შვილის ცოლი ხარ. ასე უთხარი ყველას. და იმ კაცთან ერთად წავიდა.

ცოლმა თავისი ქმრის დედას დაურეკა.

– თქვენთანაც იყო?

– ჩვენ ერთმანეთს არ ველაპარაკებით... რა გითხრა, გეხ-ვეწები მითხარი.

– არაფერი... ჩემი შვილის ცოლი ხარო.

– ღმერთო ჩემო... მოვკვდები.

ისინი ტიროდნენ ტელეფონში. დედა ხმამაღლა, ცოლი – ტუჩების კვნეტით.

– მოდი ჩემთან, გეხვეწები, – უთხრა ბოლოს დედამ.

ორი კვირის შემდეგ, მამამ დარეკა.

– მისმინე, – უთხრა იქედან, – საღამოს კაცი მოვა, რაღა-ცებს მოგიტანს...


– მითხარით, რა ვქნა?... მითხარით... გვითხარით... მოკლეს?

– ატირდა ცოლი.

– შენ ჩემი შვილის ცოლი ხარ, – იყო პასუხი. (...)

სხვი შოტოცალი

სახლი შოთარავი



მან დილით მძინარე ცოლს აკოცა, რომელმაც კოცნა ვერ იგრძნო, რადგან ლრმა ძილი იცოდა. მერე გარდერობის ზედა თაროდან რევოლუცირი გამოიღო, შეამოწმა და უკან, ქამარში გაირჩო.

მერე პიჯაკი მოიცვა და სამარტინოში გავიდა, სადაც პურს ყუა მოაგლიჯა და მაცივარი გამოაღო. მაცივარში პომიდორს მისწვდა და ჩაკბიჩა. მერე პომიდორი მაგიდაზე მიაგდო და ფანჯრიდან გადაიხედა. მერე მობრუნდა და ისევ გამოაღო მაცივარი, გაზტურაზე მდგომ ჩაიდანს გახედა, ონგანი მოუშევა და ჭიქა შეუშერია.

მერე ისევ მოკბიჩა პომიდორი და ისევ გამოაღო მაცივარი. ყველის მოზრდილი ნაჭერი გამოიღო და ისიც ჩაკბიჩა, მერე უჯრა გამოსწია, დანა ამოიღო და ყველს მონაკერი ადგილი ჩამოაჭრა. მერე ისევ ნაატეხა პურს და ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს იქ იდგა, თან ილუქმებოდა, თან კიდევ სიგარეტს ეწეოდა.

მერე სიგარეტი ფანჯრის მინაზე მიაქრო, იმიტომ, რომ საფერფლე ვერ იპოვა და აბაზანში შევიდა კბილების გამოსახესად. კბილები გამოიხესა და პერანგის შესველებულ გულისპირს თითები ჩამოჰკრა, როგორც გიტარას და საწოლ თახაში შებრუნდა, ცოლს საბანი შემპარავად გადახადა და ფრთხილად უყურებდა მძინარეს.

ცოლი წიგნებზე ინვა, სამი წიგნი მოეგდო ქვეშ.

მან ფრთხოლად გამოაძრო ერთი და მერე მეორე, თუმცა, იცოდა, რომ ცოლს არ გაეღვიძებოდა, იმიტომ, რომ ამბობდა: ისე გძინავს, როგორც გამოირთულ ტელევიზორს.

მან წიგნები იატაკზე დააწყო, საწოლთან ჩაიმუხლა, ცოლს ცხვირზე აკიცა და მძიმედ წამოდგა.

მერე ისევ სამზარეულოში გავიდა და ფანჯრიდან გადაიხედა. კედელზე საათს შეხედა, პომიდორს კიდევ ერთხელ უკბიჩა, ჰოლში გავიდა და კიბეზე ჩაირბინა.

ის სადარბაზოდან გავიდა, მანქანის წინა კარი გამოაღო, ჩაჯდა და მანქანა დაიძრა.

მანქანა იყო შავი, დაბალი და ლონიერი.

მას შემდეგ, ალარავის უნახავს.

2.

მისი ტელეფონის ნომერზე დარჩენილი ზარების პატრონები აღმოჩნდნენ ცოლი, დედა, მიმა და დედინაცვალი, ასევე ძმა. აეროპორტის სიებში აღმოჩნდა მისი სახელი და გვარი: გაფრენილა ქალაქ მოსკოვში.

გაქრა მისი რევოლუცირი. პაპორტი, პიჯაკი, ტელეფონი, ფეხსაცმელი, სახთებელა, „მარლბოროს“ კოლოფი, გასაღებების ასხმულა, შავი ნინდები, ცისფერი ცხვრისახოცი, ცისფერ და თეთრზოლებიანი პერანგი, შავი შარვალი, რევოლვერის სათადარიგო მჭიდი, ოქროს ძენკვი, ოქროსავე ჯვრით, ოქროს სამაჯური, საათი — ოქროსი არა, მაგრამ ძვირფასი. შავი სათვალე, ძალიან სერიოზული, როგორც იტყვიან ხოლმე სათვალისმოყვარე გვიან გამდიდრებულები და მათი შთამომავლები.

არ გაქრა მისი საპარსი მოწყობილობა და ო დე კოლონები, შეკიდი ბოთლი, საპურებლები, ფრჩხილების საკვნეტი. სოლიდურობის და დახვენილობის მფრქვეველი ერთი გარდერობი ტანსაცმელი, ფეხსაცმელების ჩათვლით. ასევე, მეორე პისტოლეტი, ორი სათადარიგო მჭიდით. ანტრესოლში ბრტყლად შეხახული ავტომატი და სანადირო თოფები, ტვიდის კეპი, რომელიც არასოდეს დაუხურავს, საგადასახადო ქაღალდები, ბინის ქაღალდები და კურვოზიესა და არმანიაკის თითო გაუხსნელი ბოთლი.

მამა ვენიდან ჩამოფრინდა თბილისში, მერე კი მოსკოვში გაფრინდა.

ერთ თვეში ჩამოფრინდა მოსკოვიდან და ისე, რომ არაფერი თქვა, უკან, ვენაში გაფრინდა.

გაფრენამდე შემოუარა დაბნეულ და გულარეულ რძალს, რომელსაც უთხრა:

— შენ ჩემი შვილის ცოლი ხარ.

— რამე გაიგეთ? — პკითხა რძალმა.

— შენ ჩემი შვილის ცოლი ხარ...



ვაკეს საცურაო აუზი და ფიტნეს კლუბი VAKE SWIMMING POOL AND FITNESS CLUB



ეკა, რომორსაც არ ისნობთ



>>> დასაცყისი გვ.18

აი, ამ სავალალო მდგომარეობაში, ეკას მეგობარ თეა გობეჭიშვილს ახალგახსნილ რესტორანში, შოუში მონაწილეობა შესთავაზის. ერთგვარი „კოტონ კლუბის“ ამბავი იყო, მოგეხსენებათ, იმხანად თბილისშიც არანაკლები წარმატებით ისროდნენ. თეა, რომელიც ასევე მოცემული და თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული გახსლავთ, საგონებელში ჩავარდა: ერთი მხრივ, კარგია ცეკვაც და შემოსავალიც, მეორე მხრივ კი რაღაც საეჭვო „ვერნისაჟის“... თან ეკას ვერ აიყოლებდა – ის ორსულად იყო.

მაგრამ თეამ „ვერნისაჟის“ სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება – და ძალიან კარგი ქნა. იქ საეჭვო არაფერი მომხდარა.

ხანში, მას ეკაც შეუერთდა, და ისინი ბევრს ცეკვავდნენ, და თვითონაც კმაყოფილები იყვნენ, და მრავალსაც მოუტანეს სიხარული იმ სევდიან ნილებში.

ეკას დღესაც უნდა ცეკვა, მენატრებაო, ბრძანა. მთავარია, მიუშვათ. მერე ეკაშიცის.

...

ეკატერინე ნიუარაძე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. ის სარდაფისა და თავისუფალი თეატრის სცენებზეც თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ფაულტეტს კინოსა და დრამისა ერქვა, მიაჩნია, რომ იმას, რაც ინსტიტუტში უნდა ესწავლა, ახლა ეპარება – კერძოდ, კინოს.

თუმცა უკვე არაერთ მოკლემეტრაჟიან თუ მხატვრულ ფილმში მიიღო მონაწილეობა – ხომ გახსოვთ “თბილისი, თბილისი”? – და ამჟამად რუსთავი 2-ის ახალ სერიალშიც თამაშობს. ეკა თვლის, რომ ახლა იწყებს კინომსახიობობას. მისი ერთ-ერთი ოცნებაც ამასთანაა დაკავშირებული: „მინდა, ვიჯდე და სცენარებს ვკითხულობდე. როგორც დასაკლეთის კინოს ვინმე ვარსკვლავი. წავიკითხე – არ მომენტია – ზურგსუკან მოვისროლე. კიდევ წავიკითხე – კიდევ არ მომენტია... მერე რომელიმეზე ვიფაქერე, პოო, ამას ძილის წინ გადავიკითხავ...“ ჯერ-ჯერობით ეს არ მომხდარა, მაგრამ ეგ არაფერი. აუცილებლად მოხდება.

როცა ოცნებებზე მიდგა საქმე, ეკამ თქვა ის, რაზეც ალბათ ყველა ქალი ოცნებობს: უნდა ძლიერი მამაკაცი, და როგორც ყველა ოცნებას, ამასაც თითქოს ახდენის პირი უჩანს – მგონი, ისაა... ამბობენ, ბაყაყს რომ აკოცებ, ზღაპრულ უფლისწულად გადაიქცევა... თავად ეკაც არაა სუსტი და იოლად ხელნამოსაკავი ქალი, უბრალოდ, ნამდვილ, ძლიერი მამაკაცი უნდა. ისეთი კი არა, თავიდან რომ მაგარი გვინია და მერე ნელნელა ჩაქრება და გაუბედურდება. არა, აი, ისეთი, სულ რომ ეცოდინება, რომ გვერდით ძლიერი მამაკაცი ჰყავს.

ეკამ მიამბო, რომ როცა პატარა გოგო იყო, მამას კინოში დაჲყავდა ხოლმე, და გზად სულ ღელვა უწევდა: დაგვაგვიანდება, დაგვაგვიანდება! რადგან მამა ყველა შემხვედრ ნაცნობს მონიშნებით უხდიდა ქუდს და გულითადად მოიკითხავდა ხოლმე. არადა, იმხანად ხომ მთელი რუსთაველი ნაცნობი იყო, შენიანი. ახლა კი ეკას თავადაც უნდა, რომ ქუჩაში ისეთი კაცი ხედებოდეს, ქუდს რომ მოუტდის და გულითადად მოიკითხავს, იმიტომ კი არა, რომ რაღაცა, არამედ იმიტომ, რომ ასეთია. ცოტათი მაინც მამასნაირი.

გაიხარეთ, ჩემს მიერ უდიერად მოხსენიებულო ფსიქოანალიტიკოსებო! კარგი კაცის გოგოს აუცილებლად კარგი კაცი უნდა, ისე რა კაცზე თანამა არაა. ეს ერთადერთია, რაშიც უდავოდ მართლები ბრძანდებით.

83 წელი საქართველომდე



>>> დასაცყისი გვ.66

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს არაოფიციალური ელჩი გახდა. იმავე პერიოდში გაირკვა, რომ საქართველოში დისიდენტთა – ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფები იქმნებოდა. ის კი, თავისი მხრივ, კველადევრს აკეთებდა, რაც შეეძლო.

დიდი წუხილის მიუხედავად, სალომე ზურაბიშვილს რომება ბევრი დაუგინერი წუთები და მოგონებები აჩუქა. სწორედ რომები გაიცნო თავისი პირველი მეუღლებაც.

გორჯესტანი. ისიც ქართველი და ისიც სხვა მინაზე დაბადებული.

კოკის ნამდვილი გვარი გუგუშვილია, „გორჯესტანი“ კი სპარსულად „საქართველოდან მოსულს“ ნიშნავს. მე-20 საუკუნის დამდეგს, კოკის მამა სპარსეთში წავიდა. ახალი ქვეყანა, ახალი შესაძლებლობები – ამან მიიზიდა. ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდებამ და საქართველოში წითელარმიელების შესვლამ კი მას საქართველოში დასაბრუნებელი ყველა გზა მოუჭრა. მეორე რევოლუციამ კი, რომელმაც შაპი დამხმა, იძულებული გახადა შეილებთან, ამერიკაში წასულიყო.

ერთმანეთის მიმართ ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ ორივეს თითქმის ერთნაირი წარსული (ნინაპრების ემიგრაცია) ჰქონდა, ორივე ქართველი იყო და, ამავე დროს, სხვა ქვეყანაში დაბადებული და სხვა ქვეყნის მოქალაქე.

პირველად რომში, ნავონას მოედანზე ისაზმეს. ქალბატონმა სალომემ, იმის მაგივრად, რომ პირველი პაემანის შესაფერისი, რომანტიული დიალოგი წამოეწყო, საქართველოზე ისაუბრა. აინტერესებდა, როგორ მიიღებდა მის გატაცებას ადამიანი,

ვისთვისაც, შესაძლოა, მომავალი დაეკავშირებინა.

რომიდან, ყოველგვარი სინანულის გარეშე, სხვა ქალაქში გადავიდა, ატლანტის ოკეანის გადალმა...

ნიუ იორქი...

იცოდა, რომ არც მოგონებები დაწყვეტდა გულს, არც სინანული გაუჩინდებოდა, არც შედარებებს მოახდენდა და, უბრალოდ, იცხოვრებდა.

ნიუ იორქში მანამდეც უცხოვრია – კოლუმბიის უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, მაშინ. მაგრამ ეს ნიუ იორქი საგრძნობლად განსხვავდებოდა სტუდენტობის პერიოდის ნიუ იორქისგან.

ნიუ იორქში 1977 წლის ივლისში ჩავიდა. მომავალი სასწავლო წლისათვის უნდა მომზადებულიყო. თვითმფრინავიდან ჩასვლისთავე, საშინელი გაუცხოების შეგრძნება და გაქცევა უნდოდა.

პირველი შთაბეჭდილებაც ასეთივე უსიამოვნი იყო: ამსტერდამის გამზირის ჭუჭყანი კაფე, რომლის შავენანი მიმტანიც თეორენიან სალომე ზურაბიშვილს ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს მისი ხმა არ ესმოდა. ისეთი

შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვერავინ ხედავდა – იყო, არსებობდა, მოძრაობდა, ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ვერავინ ამზევდა.

ქალაქის დათვალიერება აზრადაც არ მოსვლია. ნიუ იორკის ემინონდა. კოლუმბიის უნივერსიტეტის ტერიტორიიდან მაშინ გადიოდა, როდესაც ეს აუცილებელი იყო. ერთხელ, სტუდენტთა ბიურომ სოციალური დაზღვევის წიგნაკი მოსთხოვა, რომელიც უნივერსიტეტის ახლოს მდებარე დანესტებულებიდან უნდა წამოედო. მითითებული 125-ე ქუჩისკენ გაემართა. მიდიოდა და ხედავდა, რომ სურათი ნელ-ნელა იცვლებოდა: შენობები უფრო ჩამონგრეული და ნაცრისვერი ხდებოდა, თეთრკანიანები თანდათან ქრებოდნენ და მათ შავკანიანები ცვლიდნენ; სულ უფრო და უფრო მეტი ტროტუარებზე წამონოლილი მათხოვარი ხვდებოდა. მიდიოდა და ფიქრობდა, რომ სხვაგან მოხვდა, მაგრამ გზას მაინც აგრძელებდა; აგრძელებდა იქამდე, სანამ ტაქსის მძლოლის კატეგორიული მიმართვა არ მოესმა. მძლოლი მანქანში ჩაჯდომისკენ მოუწოდებდა. ქალბატონმა სალომემ ვერაფერი გაიგო მანამ, სანამ ტაქსი არ ჩაჯდა, მძლოლმა მინა არ ააწევინა და კარი არ ჩააეტინა. არ შეიძლება თქვენი აქ გავლა, თეთრკანიანი ხართ და თან უცხოელი, გაფრთხილებთ, შუა ჰარლემში ფეხით არასოდეს გათაროთ, – უთხრა მძლოლმა. იმ კეთილსინდისიერმა ადამიანმა სალომე დანიშნულების ადგილამდე მიიყვანა, დაელოდა და უკან, უნივერსიტეტში მიიყვანა.

მშობლებმა რომ ჩააკითხეს, მან მთელი უურნალ-გაზეთები გადამალა, რომ თავიანთი თვალით არ წაეყითხათ იმ საშინელებზე, რაც ამ ქალაქში ხდებოდა. მაგრამ უურნალ-გაზეთების გადამალვა საქმეს არ უშევლიდა: ქუჩის გადალმა პარკი იყო, რომლის შესასვლელშიც ტრაფარეტები იყო გამოკრული: “It's crime zone! Do not enter!”

ასეთ უცნაურ სამყაროში თავი მარტოდ და უსუსურად რომ არ ეგრძნო, ატლანტის ოკეანის მიღმა დატოვებულ სითბოს თავის ევროპელ და ქართველ მეგობრებთან ექებდა – თავიდან მათთან ცხოვრობდა.

უცნაურია, მაგრამ პირველად სწორედ ნიუ იორქში გათხოვდა; თან ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. არავის გაუფრთხილებია. ქორწინება მეტად მოკრძალებული იყო, ყოველგარი თეთრო კაბებისა და საქორწილო ატრიბუტიების გარეშე. კოკი გორჯესტანს და სალომე ზურაბიშვილს ორი შევილი შეეძინათ – ქეთევანი და თემიტურაზი. 1988 წელს მეუღლეს გაეყარა და ორ შვილთან ერთად, ვენაში წავიდა.

მართალია, მეუღლესთან განშორება მისი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ პირველ ხანებში გაუჭირდა და, ალბათ, ამიტომაც არ იყო

ვენა ის ქალაქი, სადაც ბედნიერად ცხოვრებას შეძლებდა. იქაური ცხოვრებითაც იცხოვრა; გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა; მონანილებოდა საახალწლო მეჯლისებში, სადაც ვენის მდიდარი ფენა ცდილობდა, არისტოკრატიის როლი ეთამაშა, მაგრამ არ გამოსდიოდა; სრიალებდა თხილამურებით, რაც ყველაზე სასიამოვნო აღმოჩნდა მთელი იმ სამი წლიდან, რაც ავსტრიაში გაატარა. სამი წლის შემდეგ კი, არჩევანი წჯამენაზე შეაჩერა. ...

ყველა გზა წჯამენაში არ მიდის. ის არ არის მარადიული და ღია ქალაქი. ის არც ევროპაშია და არც ამერიკაში. ის აფრიკის შუაგულშია, ჩადში. წჯამენა ჩადის დედაქალაქია.

სალომე ზურაბიშვილის დიპლომატიური და პირადი ცხოვრება სამი წლით წჯამენაში გრძელდება. იქ 1989 წლის აგვისტოში ჩავიდა, ორი შევილთან ერთად. საერთოს სასტუმრო სახლში მისვლიდან რამდენიმე წუთში, მის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე გაემგზავრა, მაგრამ მანამდე მასთან შავკანიანი ქალი მივიდა. აღმოჩნდა, რომ ეს შავკანიანი ქალი, რომელსაც ბერნადეტი ერქვა, თემიტურაზის და ქეთევანის მომვლელი იყო. ცოტა არ იყოს შეეშინდა, პირველივე სალამის ბავშვები ამ ქალთან როგორ დავტოვო, მაგრამ ბავშვები ბერნადეტთან უყოფმანოდ დარჩნენ.

იმ სამი წლის განმავლობაში, რაც სალომე ზურაბიშვილმა თავის შვილებთან ერთად წჯამენაში გაატარა, ბერნადეტი ნამდვილი აფრიკელისთვის დამახასიათებელი უანგარობითა და დიდულოვნებით ემსახურებოდა მათ. სალომე ასე იხსენებს მას: “იგი მხარში გვედგა, როგორც სტიქიური ძალა, როგორც ჭეშმარიტი ნავთსაყუდელი, სანდო მეგობარი; როცა გადაწყვეტილების მიღებისას ვყოფმანობდა, როცა პატარა თუ დიდი განსაცდელის წინაშე ვიდეტი, ვერძნობდი, რომ იგი ჩემს გვერდით იყო.” თემს და ქეთეს (თემიტურაზი და ქეთევანი) სიყვარულს და სითბოს არ აკლებდა. როცა საყიდლებზე მიდიოდნენ, ქალბატონ სალომეს ხელს ჩაკიდებდა და ისე დადიოდნენ, მარტოს ერთი წამითაც არ ტოვებდა.

ერთხელ, ვეინი დამე იყო. ქალბატონ სალომეს, ჩვეულებისამებრ, უნდოდა ბავშვებისთვის დაქედა, დარწმუნებულიყო, რომ მშვიდად ეძინათ. მათი ოთახის წინ, დერეფანში, გრძელი, შავი თასმა შენიშნა. უცებთასმა ამოძრავდა და როგორც კი ეს დაინახა, დაუფარებლად აიღო იქვე მიგდებული ჩოგბურთის ჩოგანი და იქამდე ურტყა, სანამ თასმამ მოძრაობა და კლაკვნა არ შეწყვიტა. გათენებამდე ხელი არ უხლია მისთვის,

დილას კი მსახურს დაუძახა, რომ თავიდან მოეშორებინა და დაედგინა, შხამიანი იყო თუ არა. ბერნადეტმა კი უთხრა: “ქალბატონი, იგი ძალიან სახიფათოა მათთვის, ვისაც კეთილი გული არა აქვს...” ასეთი იყო ბერნადეტი, სიდინჯეს და სიმშვიდეს არასოდეს კარგავდა.

